ევროპის უნივერსიტეტი

# ხარისხის განვითარების წლიური ანგარიში

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის,

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის და სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის საქმიანობის

შედეგების ანალიზი

2020-2021 აკადემიური წელი

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

## სარჩევი


თავი 1. ხარისხის უზრუნველყოფის რეგულირება და პრინციპები ..... 4

თავი 2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები ..... 6

თავი 3. სწავლა-სწავლება და მომსახურება ..... 7

3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ..... 7

3.1.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ..... 7

3.1.2. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ ..... 8

3.1.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ..... 11

3.1.4. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გზით ..... 11

3.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის მდგრადობის კუთხით ..... 17

3.2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება ..... 17

3.2.1. აკადემიური პერსონალის შეფასება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით ..... 17

3.2.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობის მიხედვით ..... 33

3.2.3. ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასება სტუდენტების მიერ ..... 37

3.2.3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით. ..... 38

3.3. სასწავლო პროცესის შეფასება ..... 45

3.3.1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის და მონიტორინგის მეთოდოლოგია ..... 45

3.3.2. ზოგადი კმაყოფილების კვლევები: სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა ..... 46

3.3.3. სტუდენტების კმაყოფილების კვლევა მათთან შეხვედრების ჩატარების გზით ..... 55

3.3.4. საგამოცდო პროცესების შეფასება სტუდენტების მიერ ..... 56

3.3.5. პრაქტიკის კომპონენტის შეფასება სტუდენტების მიერ ..... 61

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY


3.3.6. საერთაშორისო აკადემიური მობილობის შეფასება სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ........ 64

3.3.7. მობილობით გადასული და მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვა ........ 66

თავი 4. კვლევა ........ 68

4.1. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასება ........ 68

4.2. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის შეფასება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის გზით ........ 69

4.3. საგრანტო პროექტების მიმდინარეობისა და შედეგების მნიშვნელობის შეფასება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ ........ 73

4.4. პლაგიატის შემთხვევების შეფასება ........ 76

თავი 5. მართვის პროცესები ........ 78

თავი 6. ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მიდგომები. 81

თავი 7. შეფასების შედეგების გამოყენება ........ 89

თანდართული ანგარიშები/მტკიცებულებები ........ 156

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

## თავი 1. ხარისხის უზრუნველყოფის რეგულირება და პრინციპები

ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად ღირებულებებს, მიდგომებსა და პრინციპებს ევროპის უნივერსიტეტში განსაზღვრავს დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა" (დამტკიცებულია მმართველი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით, ოქმი №6). პოლიტიკის თანახმად, ხარისხის მართვა ევროპის უნივერსიტეტის საქმიანობის ყოველდღიური ნაწილი და პროცესში ჩართული ყველა პირის პასუხისმგებლობაა. საუნივერსიტეტო საქმიანობის ხარისხი გამომდინარეობს საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრთა კომპეტენციისგან, პასუხისმგელობისგან და ეთიკური ქცევისგან.

ევროპის უნივერსიტეტში, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით საქმიანობის მთავარი ღირებულებები და მიდგომებია: გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს პრინციპით: დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე. აღნიშნული პრინციპის დაცვით სისტემის ფუნქციონირება უზრუნველყოფილია ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საშუალებით.

უნივერსიტეტში შემუშვებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დასახული მიზნების მისაღწევად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან/თანამდებობის პირთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს დოკუმენტით „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები" (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №96 ბრძანებით), რომელიც აჯამებს ხარისხის შიდა და გარე შეფასების პროცესებს, აღწერს თუ რა დამატებით დოკუმენტაციას ეყრდნობა იგი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში, ასევე, აღწერს თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებით ხორციელდება შეფასების პროცესი და თუ როგორ ხდება შეფასების შედეგების გამოყენება, პროცესებისა და მიღებული შედეგების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობის პროცესში დამატებით ეყრდნობა უნივერსიტეტში მოქმედ შემდეგ სამართლებრივ აქტებს:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი;
- პერსონალის შერჩვის წესი;
- სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა;
- კმაყოფილების კვლევის ჩატარების სახელმძღვანელო;
- საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი;
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების წესი;
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები;
- კვლევის დაფინანსების წესი;
- პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი;
- ევროპის უნივერსიტეტის დებულება.

## თავი 2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს ხარისხის შიდა და გარე შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები ითვალისწინებს:

ა) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ავტორიზაციის, აკრედიტაციის და მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ / იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს / გასაუმჯობესებელ ასპექტებს;

ბ) საერთაშორისო ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის შედეგად გამოვლენილ/ იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს/გასაუმჯობესებელ ასპექტებს;

გ) ადგილობრივი ან საერთაშორისო მოწვეული ექსპერტების მიერ გამოვლენილ/იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს/ გასაუმჯობესებელ ასპექტებს;

დ) პრაქტიკის ობიექტების, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული ასოციაციების და სხვა გარე შემფასებლების მიერ გამოვლენილ / იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს / გასაუმჯობესებელ ასპექტებს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ძირითად ასპექტს მოიცავს და სამ ძირითად მიმართულებად იყოფა:

ა) სწავლა-სწავლება და მომსახურება - საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის და სასწავლო პროცესის შეფასება;

ბ) კვლევა - კვლევითი საქმიანობის, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება და ანალიზი;

გ) მართვის პროცესი - ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება.



## თავი 3. სწავლა-სწავლება და მომსახურება

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ერთ-ერთი მიმართულება, სწავლა-სწავლება და მომსახურება სამ ძირითად ასპექტს გულისხმობს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება

გ) სასწავლო პროცესის შეფასება

### 3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით, ყველა დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, კერძოდ:

**3.1.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ.** საგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა პროგრამის ხელმძღვანელების მიერ სხვადასხვა მიმართულებებით, როგორიცაა, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით შეფასება (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, გამოკითხვის შედეგები), კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების მოკვლევა და შეფასება, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, ექსრტაკურიკულურ აქტივობებში მონაწილეობის შეფასება, პროგრამის განხროციელებისთვის საჭირო მატერილურ-ტექნიკური ბაზის, საბიბლიოთეკო რესურსის შეფასება. მიღებული შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარედგინა მექანიზმების ფარგლებში წინასწარ შემუშავებული ანგარიშის სახით. ამავე ანგარიში პროგრამის ხელმძღვანელი აღწერს მიღებული შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის განვითარებისა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით განხორციელებულ აქტივობებს, როგორიცაა, პროგრამის სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა, პეროსნალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საბიბლიოთეკო რესურსების განახლება და ა.შ. 2020-2021 აკადემიურ წელს აღნიშნული შეფასება ევროპის უნივერსიტეტში პროგრამის ხელმძღვანელების მიერ განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე. შეფასების მიღებული შედეგები გამოყენებულ იქნა პროგრამების განახლებისა და განვითარების მიზნით. შედეგების გამოყენების შესახებ ინფორმაცია აღწერილია პროგრამის წლიური შეფასების ანგარიშში, რომელიც ანგარიშგებისა და შეფასებისთვის გაეგზავნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (დეტალებისთვის იხ. დანართი #1 - საგანმანათლებლო პროგრამების წლიური შეფასების ანგარიშები).

### 3.1.2. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა დაინტერესებული მხარეების მიერ, კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით. დაინტერესებული მხარეები აფასებენ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს, პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, პროგრამის სასწავლო გეგმას, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ სასწავლო კურსებს, ასევე, სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი სამუშაო საათების მოცულობას. ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღნიშნული გამოკითხვის პროცესის უზრუნველსაყოფად იყენებს ელექტრონულ პლატფორმას SurveyMonkey. დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგები გაეგზავნათ პროგრამის ხელმძღვანელებს ანალიზისა და რეაგირებისთვის, მიღებული შედეგების პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით გამოყენებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელები პროგრამის კომიტეტებთან ერთად განიხილავენ გამოკითხვის შედეგებს, აანალიზებენ მიღებულ შედეგებს, მსჯელობენ და იღებენ გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით ცვლილებების საჭიროების შესახებ. შეფასების მიღებული შედეგების ანალიზი, ანალიზის შედეგად გამოყოფილი საყურადღებო საკითხების შესახებ ინფორმაცია, ასევე, ანალიზის საფუძვლეზე პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორომაცია პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ანგარიშის სახით ეგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. 2020-2021 აკადემიურ წელს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა დაინტერესებული მხარეების მიერ მათი გამოკითხვის გზით, წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით. გამოკითხვის შედეგები დადებითია, ყველა დაინტერესებული მხარის მიერ საგანმანთლებლო პროგრამები მაღალი ქულით იქნა შეფასებული: შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ საგანმანათლებო პროგრამის სასწავლო გეგმა“, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4 ქულა ან მეტი:

## ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი




## მედიცინის ფაკულტეტი



## სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი




გამოკითხვის შედეგები გაანალიზდა და გამოყენებულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელებისა და კომიტეტების მიერ პროგრამების განვითარების მიზნით. მიღებულ შედეგებზე რეაგირებისა და შედეგების გამოყენების შესახებ ანგარიში პროგრამის ხელმძღვანელების მიერ გაეგზავნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანგარიშგებისა და შეფასებისთვის. რეაგირების ანგარიშები ცხადყოფს, რომ დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელდა ლოგიკური ცვლილებები (დეტალებისთვის იხ. დანართი #2 - დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები).

**შენიშვნა:** დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგები არ არის წარმოდგენილი ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომლის მნიშვნელოვანი განახლება ამჟამად მიმდინარეობს და შესაბამისად განახლების ეტაპზე განხორციელდება პროგრამაში მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ცვლილებები (ფინანსების საბაკალავრო პროგრამა), მათ შორის დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის საფუძველზე მიღებული შედეგების გათვალისწინებით. შეფასების შედეგები ასევე არ არის წარმოდგენილი იმ საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაშიც, რომელთა შემუშავებაც მიმდინარეობდა 2020-2021 აკადემიურ წელს (განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო/საშუალო საფეხურის ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა, ვეტერინარიის ინტეგრიერებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა), თუმცა რათქმაუნდა აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში ჩართული

იყო ყველა დაინტერესებული მხარე და ხდებოდა მათი მოსაზრებების გათვალისწინება პროგრამების შემუშავების ეტაპზე.

**3.1.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.** საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ასევე ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, სტანდარტებთან, სხვა გარე და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. სწავლის შედეგების შეფასების (აკადემიური მოსწრების ანალიზის), დაინტერესებული მხარეების მიერ პროგრამების შეფასების, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების შეფასების თუ ხრისიხის უზრუნველყოფის მექანიზმებით გათვალისწინებული პროგრამის შეფასების სხვა საშუალებების გამოყენების შედეგად მიღებული შეფასების შედეგების საფუძველზე, პროგრამების ხელმძღვანელებისა და კომიტეტების მიერ პროგრამების განახლებული ან ახლადშემუშავებული ვერსიები ფაკულტეტის საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ, ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მოქმედ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ან ახლადშემუშავებული პროგრამის შესწავლისა და შეფასების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მზადდება დასკვნა თითეული განახლებული პროგრამის ან ახლადშემუშავებული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის საბოლოოდ დადგენის მიზნით. დასკვნა წარედგინება მმართველ საბჭოს მოქმედ პროგრამაში ცვლილებების ან ახლადშემუშავებული პროგრამის დამტკიცების მიზნით. 2020-2021 აკადემიურ წელს მნიშვნელოვნად განახლდა რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამა (მაგალითად, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა), პროგრამების განვითარების მიზნით ცვლილებები შევიდა უნივერსიტეტში მოქმედ ყველა საგანმანათლაბლო პროგრამაში. შემუშავდა რამდენიმე ახალი საგანმანათლებლო პროგრამა (განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო/საშუალო საფეხურის ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა). ზემოაღნიშნული დასკვნა 2020-2021 აკადემიურ წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში ნებისმიერი ცვლილების ინიცირებისა და დამტკიცების, ასევე ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შემთხვევაში.

**3.1.4. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გზით.** საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ასევე

ხორციელდება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გზით. აღნიშნულ პროცესში გამოიყენება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები.

**ა) სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდებით შეფასების** მიზნით კეთდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი. ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების შესაბამისად, ანალიზის შედეგად იკვეთება საყურადღებო საკითხები. აკადემიურ მოსწრებაზე დაკვირვება ხორციელდება დინამიკაში, კერძოდ, ხორციელდება ბოლო სამი წლის შედეგებზე დაკვირვება, რაც ხელს უწყობს რეალურად საყურადღებო საკითხების გამოყოფას და გამორიცხავს ძლიერი და სუსტი ჯგუფების შემთხვევაში მიღებულ შედეგებს. აკადემიური მოსწრების მონაცემები შესწავლისა და ანალიზის მიზნით, ასევე ანალიზის შედეგების საფუძველზე საყურადღებო საკითხების გამოვლენის მიზნით ეგზავნებათ პროგრამის ხელმძღვანელებს რეაგირებისთვის, კერძოდ, საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლის და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ცვლილებების განხორციელების მიზნით. რეაგირება შესაძლებელია გულისხმობდეს, სასწავლო გეგმაში კონკრეტული ცვლილებების განხორციელებას, სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული წინაპირობების შეცვლას, სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდოლოგიის შეცვლას, გამოყენებული ლიტერატურის განახლებას და ა.შ. პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარედგინება ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების ანგარიშები. აკადემიური მოსწრების ანალიზი აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად ევროპის უნივერსიტეტში განხორციელდა 2020-2021 აკადემიურ წელსაც, უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. დაკვირვებისა და მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული საყურადღებო საკითხები და რეაგირებების საჭიროება, რაც განხორციელდა კიდეც საგანმანთლებლო პრორამების ფარგლებში. რათქმაუნდა დაფიქსირდა დადებითი შედეგებიც (სამიზნე ნიშნულების შესრულება), რომლის მიხედვითაც დაკვირვების საფუძველზე არ იკვეთება რეაგირების საჭიროებები. ასევე აღსანიშნავია სამიზნე ნიშნულებიდან მნიშვნელოვანი გადახვევის შემთხვევები თუნდაც ერთი წლის მონაცემების შესწავლის საფუძვლეზე, რაც ასევე პროგრამის ხელმძღვანელების დაკვირვების, ანალიზისა და მიზეზების შესწავლის საფუძველია, თუმცა ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია დაკვირვება სამი წლის მონაცემებზე, რადგან კვლავ მაქსიმალურად დასაბუთებული იყოს დასკვნები. დაკვირვების შედეგად იკვეთება არავალიდურო მონაცემების არსებობის შემთხვევებიც, კერძოდ, ჯგუფში არასაკმარისი რაოდენობის სტუდენტების (10-ზე ნაკლები სტუდენტის) არსებობა, ანდა მნიშვნელოვნად განახლებული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევებში, იგივე შინაარსის სასწავლო კურსებთან დაკავშირებით წინა წლების მონაცემების არარსებობა, ამ შემთხვევებშიც რათქმაუნდა მნიშვნელოვანია დაკვირვების გაგრძელება და მოანცემების შემდგომი ანალიზი, ვალიდური დასკვნების გაკეთებისა და ცვლილებების საჭიროებების გამოვლენის მიზნით.

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საყურადღებო საკითხების შეჯამება და განხორციელებული რეაგირებები შემდეგნაირად გამოიყურება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით:

| საგანმანათლებლო პროგრამა | დინამიკაში დაკვირვების საჭიროება | | არავალიდური შედეგების შემთხვევები | | პროგრამის საფუძლიანად განახლება | | ანალიზის საფ. განხორციელებული რეაგირებები | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სემესტრი | | სემესტრი | | სემესტრი | | სემესტრი | |
| | I | II | I | II | I | II | I | II |
| ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | | | ✓ | |
| ტურიზმის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა | ✓ | | ✓ | | ✓ | | ✓ | |
| დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამა | ✓ | | | | | | | |
| სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამა | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | | |
| სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი პროგრამა | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | | |
| მასწავლებლის მომზადების (60 ECTS) პროგრამა | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | | | | |
| საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| სამართლის საბაკალავრო პროგრამა | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა | | | ✓ | ✓ | | | ✓ | ✓ |

დეტალებისთვის იხ. დანართი #4 - სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება, აკადემიური მოსწრების ანალიზი, ანგარიშები ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების შესახებ.

**შენიშვნა:** აკადემიური მოსწრების ანალიზი არ განხორციელებულა გარკვეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რამდენიმე მიზეზით, კერძოდ, პროგრამის განხორციელება უნივერსიტეტმა დაიწყო 2020-2021 აკადემიურ წელს (დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა), პროგრამაზე ირიცხებოდა მხოლოდ პირველი კურსის სტუდენტები რისი ანალიზიც არ იძლეოდა შეფასების ვალიდურ შედეგებს; ან საგანმანათლებლო პროგრამა ახლადშემუშავებული/შემუშავების პროცესში იყო (განათლების ადმისნიტრირების სამაგისტრო პროგრამა, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო/საშუალო საფეხურის ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა), პროგრამაზე ჯერ არ ირიცხება სტუდენტები და შესაბამისად არ არსებობდა მონაცემები ანალიზისთვის, ანდა პროგრამის მნიშვნელოვანი განახლება ამჟამად მიმდინარეობს და შესაბამისად განახლების ეტაპზე განხორციელდება პროგრამაში მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ცვლილებები (ფინანსების საბაკალავრო პროგრამა).

სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ მეთოდად უნივერსიტეტი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად, ასევე განსაზღვრავს შეფასების უფრო კომპლექსურ მეთოდსაც, რაც გულისხმობს სწავლის შედეგების ჩაშლას შეფასების ინდიკატორებად და ინდიკატორების შეფასებას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით გამოვლენილი საყურადღებო შემთხვევების უფრო სიღრმისეულ შესწავლას და მიზეზების კვლევას. ინდიკატორების გამოყენებით სწავლის შედეგების შეფასების გეგმა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში და შედეგების ვალიდურობის მიზნით (ვალიდური შედეგები შესაძლებელია მივიღოთ განახლებული პროგრამებით გარკვეული პერიოდით სწავლის შემდეგ) დაგეგმილია მათი განხორციელება რიგ შემთხვევებში 2021-2022, რიგ შემთხვევებში 2022-2023 ან შემდგომი აკადემიური წლებიდან. 2020-2021 აკადემიური წლიდან აღნიშნული პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების შეფასება უწევდა და განხორციელდა ოთხ საგანმანათლებლო პროგრამაზე: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამაზე. შედეგების შეფასების საფუძველზე ზემოაღნიშნული პროგრამების ფარგლებში საყურადღებო საკითხები არ გამოვლენილა, რაც მოითხოვდა საგანმანათლებლო პროგრამების ანდა კონკრეტული სასწავლო კურსების ცვლილებას, სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელების დასკვნის საფუძველზე პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგები, რომელთა შეფასებაც მოხდა 2020-2021 აკადემიურ წელს, ყველა შემთხვევაში მიიღწევა. თუმცა, სამართლის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, განხორციელებული შეფასებების საფუძველზე პროგრამის ხელმძღვანელებისა და კომიტეტის მიერ გაიცა რეკომენდაცია შეფასების პროცესში მონაწილე სასწავლო კურსების (2 სასწავლო კურსის) განმახორციელებელი პერსონალის მისამართით შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე გამოყენებული შეფასების მეთოდების ცვლილებასთან დაკავშირებით, რათა უკეთ მოხდეს სასწავლო კურსებით დადგენილი შედეგების მიღწევის შემოწმება. გამოვლინდა შემთხვევები (დეტალებისთვის იხ. დანართი #4 - სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება, სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის მე-4 დანართის შესაბამისად, ანგარიშები ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების შესახებ).

**ბ) სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდების** ფარგლებში გამოიყენება პროგრამის კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების გაანალიზება და შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება. აღნიშნულ პროცესში დამსაქმებლები, იმ შემთხვევაში თუ მათთან დასაქმებულია ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ან სტუდენტი, აფასებენ დასაქმებულთა ცოდნასა და უნარებს, ხოლო კურსდამთავრებულები აფასებენ პროგრამის დასრულების შედეგად მიღებულ საკუთარ ცოდნასა და უნარებს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების დონე და ხარისხი. გამოკითხვის პროცესის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა SurveyMonkey. მიღებული შედეგები ეგზავნებათ პროგრამის ხელმძღვანელებს ანალიზისა და რეაგირებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ხდება მიღებული შედეგების პროგრამის კომიტეტის წევრებთან განხილვა, რეაგირების საჭიროების იდენტიფიცირება და დადგენა, საჭიროების დადგენის შემთხვევაში კი პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. პრგორამის ხაელმძღვანელების მიერ შედეგების ანალიზის გამოყენებისა და რეაგირების შესახებ ანგარიში წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანაგრიშგებისა და შეფასებისთვის. აღსანიშნავია, რომ არაპირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული შედეგებიდან უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე საყურადღებოდ ითვლება შედეგი, თუ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა ან დამსაქმებელთა დიდი ნაწილი (30% და მეტი) თვლის, რომ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მან/უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ვერ მიიღო სფეროსთვის მნიშვნელოვანი სათანადო ცოდნა და უნარები და მათი დაუფლება მას/უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს მოუწია პროგრამის

დასრულების შემდეგ, პროგრამის მიღმა. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ 2020-2021 აკადემიურ წელს შპს ,,ევროპის უნივერსიტეტში'' მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების არაპირდაპირი შეფასება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მიერ განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.

შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით საგნმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიმუშავეს სათანადო ცოდნა და უნარები: შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ საგანმანათლებო პროგრამა, რომელიც დაასრულეთ და ის ცოდნა და უნარები რაც პროგრამის დასრულების შედეგად შეიძინეთ“, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4 ქულა ან მეტი. შეფასების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ დამსაქმებელთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი საგნმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულებმა გამოიმუშავეს სათანადო ცოდნა და უნარები: შეკითხვაზე "როგორ შეაფასებდით ევროპის უნივერსიტეტის კურსდამათვარებულის / სტუდენტის ცოდნასა და უნარებს", ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4 ქულა ან მეტი:




**შენიშვნა:** შეფასება არ განხორციელებულა იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც ახლადშემუშვებულია/შედარებით ახლადშემუშვებულია ისე, რომ 2020-2021 აკადემიურ წელს პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებული, ანდა პროგრამას არ ჰყავს ადგილობრივი კურსდამთავრებული, ვისთან დაკავშირებაც მოხერხდა, ამდენად, არ არის ხელმისაწვდომი მათი ადგილობრივი დამსაქმებელი და შესაბამისად, შეუძლებელი იყო შეფასების განხორციელება (დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი

საგანმანათლებლო პროგრამა, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები და ა.შ.).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გათვალისწინებულია კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებით. აღნიშნული დასტურდება, გამოკითხვის შედეგებით, შედეგების ანალიზისა და მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების ანგარიშებით (დეტალებისთვის იხ. დანართი #3 - სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასება, კურსდამთვარებულების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები).

**3.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის მდგრადობის კუთხით.** საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისითაც. უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური და მოწვეული პეროსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად დადგენილი სამიზნე ნიშნულების მიხედვით დგინდება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა და შესაბამისად, ფასდება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის სათანადოობა. აღნიშნული მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება მონაცემების გამოთხოვა პროგრამის ხელმძღვანელებისგან და შეფასება, თუ რამდენად არის დაცული მეთოდლოგიით დადგენილი სამიზნე ნიშნულები. საგანმანათლებლო პროგრამების სათანადო რაოდენობით აკადემიური პერსონალით უზრუნველყოფის საკითხი აღნიშნული პროცედურის მიხედვით შეფასდა 2020-2021 აკადემიურ წელსაც. შეფასების შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა ყველა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში მეთოდოლოგიით დადგენილი, სათანადო რაოდენობის აკადემიური პერსონალის ჩართულობა (იხ. დანართი #21 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ცხრილი).

## 3.2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება ხდება სტუდენტებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პეროსონალის ჩართულობით, რამდენიმე მიმართულებით და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, კერძოდ:

**3.2.1. აკადემიური პერსონალის შეფასება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით.** აკადემიური პერსონალის შეფასება ხორციელდება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით. უნივერსიტეტში შემუშავებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი. დოკუმენტის ფარგლებში შემუშავებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის

წლიური ანგარიშის ფორმა. ფორმა განსაზღვრავს ყველა შესაძლო აქტივობას, რაც აკადემიურ პერსონალს შესაძლოა ჩაეთვალოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობად. ფორმა ამასთანავე განსაზღვრავს თითოეული აქტივობის ქულას. ფორმით განსაზღვრულ თითოეულ აქტივობას ზემოაღნიშნული წესის მიხედვით ენიჭება განსხვავებული ქულა. ქულის მოცულობა თავისთავად გამომდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის მნიშვნელობისა და ღირებულებისგან. აკადემიური პერსონალი ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, აღნიშნულ წლიურ ანგარიშს წარუდგენს ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს. დოკუმენტი ადგენს მინიმალურ შესასრულებელ მოთხოვნებს (მინიმალურ ქულას) აფილირებული აკადემიური პერსონალისა (აფილირებული პროფესორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი და აფილირებული ასისტენტი) და აკადემიური პერსონალისთვის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი). აკადემიური პერსონალი ვალდებულია განახორციელოს წესით განსაზღვრული სამეცნიერო აქტივობები და ყოველწლიურად დააგროვოს მისთვის განსაზღვრული მინიმალური ქულათა რაოდენობა. აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო წლის ბოლოს წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშს აფასებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი და ადასტურებს აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებულ სამეცნიერო აქტივობებს. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი შეფასების შედეგებს აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დადასტურებული შედეგების წლიური შეფასების პროცესში გამოყენებისა და საბოლოო შეფასების შედეგებში გათვალისწინების მიზნით.

აკადემიური პერსონალის ზემოაღნიშნული ანგარიშის საფუძველზე განხორციელებული შეფასების შედეგები გამოიყენება შემდეგნაირად:

1. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ ზედიზედ ორი წლის განმავლობაში სამეცნიერო აქტივობის შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს მისთვის შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. ერთი წლის გასვლის შემდეგ სამეცნიერო აქტივობების შეუსრულებლობის შემთხვევაში აფილირებულ აკადემიური პერსონალს ეძლევა გაფრთხილება.

2. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ეძლევა შესაბამისი ანაზღაურება: აფილირებულ პროფესორს - 3000 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასოცირებულ პროფესორს - 2500 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასისტენტ-პროფესორს - 2000 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასისტენტს - 1500 ლარის ოდენობით.

3. აკადემიური პერსონალის საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების (სადაც გარკვეული პროცენტული წილი ეთმობა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის

შეფასების შედეგებს), რანჟირების საფუძველზე, თითოეულ ფაკულტეტზე სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიურ პერსონალს, წახალისების მიზნით, გადაეცემა ფულადი ჯილდო (I ადგილი - 1500 ლარი, II ადგილი - 1000 ლარი, III ადგილი - 500 ლარი).

4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით აფასებს მიღებულ შედეგებს, აანალიზებს და ადგენს აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საჭიროებებს და გეგმავს ხელშეწყობის მიმართულებებსა და ხელშეწყობისთვის საჭირო აქტივობებს. შეფასების შედეგების გამოყენება და შედეგებზე ზემოაღნიშნული რეაგირება უნივერსიტეტის მხრიდან განიხილება, როგორც აკადემიური პერსონალის სამცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მექანიზმი და ფინანსური მხარდაჭერის საშუალება.

აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ევროპის უნივერსიტეტში განხორციელდა 2020-2021 აკადემიური წლის ბოლოს (იხ. დანართი #5 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშები).

2020-2021 აკადემიური წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტატისტიკური ანალიზი შემდეგნაირად გამოიყურება:

2021 წლის აგვისტოს მონაცემებით, ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჯამური რიცხვი შეადგენდა 563-ს (203 აკადემიური და 360 მოწვეული პერსონალი): ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი - 32 აკადემიური და 38 მოწვეული პერსონალი; სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 44 აკადემიური და 105 მოწვეული პერსონალი; მედიცინის ფაკულტეტი - 108 აკადემიური და 192 მოწვეული პერსონალი; ვეტერინარიის ფაკულტეტი - 19 აკადემიური და 25 მოწვეული პერსონალი:




2021 წლის აგვისტოს მონაცემებით, ევროპის უნივერსიტეტთან აფილირებულია 87 (43%) აკადემიური პერსონალი: ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი - 13 აფილირებული აკადემიური პერსონალი; სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 23 აფილირებული აკადემიური პერსონალი; მედიცინის ფაკულტეტი - აფილირებული 46 აკადემიური პერსონალი; ვეტერინარიის ფაკულტეტი - 5 აფილირებული აკადემიური პერსონალი.

2020-2021 აკადემიურ წელს, 203 აკადემიური პერსონალიდან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში 85 (42%) აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა: ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი - 17 (53%); სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 23 (52%); მედიცინის ფაკულტეტი - 45 (42%):



ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

2020-2021 აკადემიური წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული იყო შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები:

| სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები | ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი | სამ. ჰუმ. და სოც. მეცნიერებათა ფაკულტეტი | მედიცინის ფაკულტეტი | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| სტატიები იმფაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში | 7 | 1 | 33 | 41 |
| სტატიები საერთაშორისო ინდექსის მქონე ჟურნალებში | 20 | 15 | 26 | 61 |
| საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (პოსტერი) | 3 | | 16 | 19 |
| საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენებით გამოსვლა) | 41 | 15 | 36 | 82 |
| ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენებით გამოსვლა) | 3 | | 8 | 11 |
| საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების სამეცნიერო კომიტეტის წევრობა | 10 | 3 | 5 | 18 |
| ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციების სამეცნიერო კომიტეტის წევრობა | 1 | | 1 | 2 |
| დაფინანსებული საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა | | 2 | 7 | 9 |
| დაფინანსებულ საგრანტო პროექტში მონაწილეობა (ძირითადი პერსონალი) | 2 | 4 | 10 | 16 |
| საგრანტო პროექტში მონაწილეობა | 1 | 2 | | 3 |
| გამოგონება/პატენტი | | | 1 | 1 |
| მონოგრაფიის / სახელმძღვანელოს გამოშვება | 5 | 3 | 1 | 9 |
| საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრობა | | | 1 | 1 |
| იმფაქტ-ფაქტორიანი ჟურნალის რეცენზენტობა, სარედაქციო საბჭოს წევრობა | 1 | | 1 | 2 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სხვა საერთაშორისო ინდექსის მქონე სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა | 3 | 2 | 3 | 8 |
| სხვა საერთაშორისო ინდექსის მქონე სამეცნიერო ჟურნალის რეცენზენტობა, სარედაქციო საბჭოს წევრობა | 21 | 5 | 8 | 34 |
| სახელმძღვანელოს / მონოგრაფიის რეცენზირება | | 3 | 1 | 4 |
| ადგილობრივი სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელობა | | 2 | | 2 |

2020-2021 აკადემიურ წელს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ ფაკულტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი რაოდენობის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა:




ზემოაღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საფუძველზე გაცემულმა ანაზღაურებამ ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის 2020-2021 აკადემიურ წელს შეადგინა 53 968 ლარი.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ თავისმხრივ ჩატარდა გამოკითხვა აკადემიური პერსონალის საჭიროებების დადგენის მიზნით. შეკითხვები მიზნად ისახავდა იმ თემების გამოვლენას, რომლებზეც პერსონალი ისურვებდა მეტი ინფორმაციის მიღებას ვორქშოპების/ტრენინგების/საინფორმაციო შეხვედრების სახით, ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის რა მიმართულებით საჭიროებდნენ გადამზადებას/

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

მომზადებას და რა სახის ხელშეწყობის მიღებას ისურვებდნენ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრისგან. გამოკითხვის შედეგები გაანალიზდა და შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შემდეგი ვორქშოპების / სემინარების / საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება დაიგეგმა:

1. სემინარი კვლევის მეთოდების და კვლევის გეგმის დიზაინის საკითხებზე - სემინარი განკუთვნილია იმ აკადემიური პერსონალისთვის, ვინც საჭიროებს თანამედროვე კვლევის მეთოდების და კვლევის გეგმის დიზაინის საკითხების გადახედვას/გაცნობას. სემინარის ხანგრძლივობა - 8 საათი.
2. ვორქშოპი საჯარო სახსრებისა და საგრანტო თანხების მართვის საკითხებზე - ვორქშოპზე აკადემიური პერსონალი ეცნობა საგრანტო პროექტებისთვის ბიუჯეტის მომზადების საკითხებს (ბიუჯეტის სწორი განაწილება-გათვლა, რელევანტური-არარელევანტური აქტივობების დაფინანსების საკითხები, ა.შ.). ვორქშოპის ხანგრძლივობა: 2-4 საათი.
3. SPSS მონაცემთა დამუშავების პროგრამა - კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემების დამუშავების მიზნით აკადემიური პერსონალი ეცნობა SPSS მონაცემთა დამუშავების პროგრამის გამოყენების ძირითად პრინციპებს და წესებს. სემინარის ხანგრძლივობა: 8 საათი.
4. რეცენზირება - რეცენზირების ონლაინ კურსების შესახებ ინფორმაცია გაზიარებული იყო აკადემიურ პერსონალთან სემესტრის მიმდინარეობისას, თუმცა აღნიშნული საკითხისადმი დიდი ინტერესის გამო, ჩატარდება საინფორმაციო შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან, სადაც მოხდება მსხვილი საერთაშორისო ბაზების ჟურნალების რეცენზირების პრინციპების დეტალურად გაცნობა.
5. ინტელექტუალური საკუთრება და საავტორო უფლებების დაცვა - საინფორმაციო ბუკლეტის მომზადება ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცვის საკითხის შესახებ და პერსონალთან მეილის საშუალებით გაზიარება.
6. კოლაბორაციული/თანამშრომლობითი კვლევა - პერსონალს მიეწოდება დეტალური ინფორმაცია იმ პლატფორმების და საიტების შესახებ, სადაც მათ შესაძლებლობა აქვთ დარეგისტრირდნენ და მოიძიონ მათ დარგში მოღვაწე მეცნიერები/მკვლევრები, დაამყარონ კონტაქტები, რაც ხელს შეუწყობს მათ სამომავლო ერთობლივ კვლევით პროექტებზე თანამშრომლობას.
7. სამეცნიერო ჩანაწერების შენახვა/მონაცემთა მართვა - პერსონალს მიეწოდება დეტალური ინფორმაცია იმ პლატფორმების და აპლიკაციების შესახებ, სადაც მათ შესაძლებლობა ექნებათ მონაცემების უფასოდ შენახვის/დალაგების და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და ხელშეწყობის ცენტრის მიერ 2020-2021 აკადემიურ წელს დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, კერძოდ:

1. შემუშავდა მეცნიერ-თანამშრომლების ხელშეკრულების დანართი. (Scopus-ის ბაზაზე არსებულ ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნებისთვის განსაზღვრული ანაზღაურების სქემა).
2. განხორციელდა საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების/პოტენციალის შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია. კერძოდ, განხორციელდა 534 აკადემიური და მოწვეული პერსონალის 2015-2020 წლებში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შესახებ ინფორმაციის შესწავლა/დამუშავება და აღნიშნული ინფორმაციის ევროპის უნვერსიტეტის HRSOFT-ზე ატვირთვა.
3. უნივერსიტეტის 534 აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შესწავლისა და შეფასების შედეგების მიხედვით მოხდა კვლევითი მიმართულებების განსაზღვრა და ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდების სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროგრამების და პოსტდოქტორანტურის ინდივიდუალური სტიპენდიების პროგრამების ბაზის შექმნა, რომლის განახლებაც სისტემატიურად ხორციელდება.
4. გამოკვეთილი კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით მოხდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ელექტრონული ფოსტების ჯგუფების შექმნა, რომლის მეშვეობითაც მათ სისტემატიურად მიეწოდებათ ინფორმაცია გამოცხადებული კვლევითი კონკურსების და საერთაშორისო კონფერენციების შესახებ დარგების შესაბამისად.

   გაზიარებული კვლევითი სტიპენდიების, კვლევითი საგრანტო პროგრამების და კონფერენციების სია:

   - აშშ-ს მეცნიერებათა, ინჟინერიისა და მედიცინის ეროვნული აკადემიების კვლევითი სტიპენდიები პოსტდოქტორანტებისთვის (http://nrc58.nas.edu/RAPLab10/Opportunity/Search.aspx?SrchParams=SrchCtznLevel%3dC_03%26SrchLevel%3dLvl_*%252cLvl_M%252cLvl_D%252cLvl_R%252cLvl_S%26SrchKeywords%3d%26SrchAdvName%3d%26SrchPrograms%3d%26SrchLocations%3d&R=True)

- გეორგ ფორსტერის კვლევითი სტიპენდიები (Georg Forster Research Fellowship) (https://www.humboldt-foundation.de/en/apply/sponsorship-programmes/georg-forster-research-fellowship)
- 21-ე საერთაშორისო კომპიუტერული მეცნიერების კონფერენცია (ICCC 2021) (https://www.iccs-meeting.org/iccs2021/)
- ევრაზიის ბიზნესისა და ეკონომიკის საზოგადოების 35-ე საერთაშორისო კონფერენცია (35th EBES Conference) (https://www.ebesweb.org/Conferences/35th-EBES-Conference-Rome.aspx)
- ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) საგრანტო პროგრამები (https://erc.europa.eu/)
- კვლევითი ვიზიტი მაჩერატას უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში (იტალია) (http://giurisprudenza.unimc.it/en/research)
- DAAD-ის სასტიპენდიო პროგრამა "Research Stays for University Academics and Scientists" (https://www.daad-georgia.org/ka/daphinansebis-modzieba/sastipendio-programebis/?type=a&origin=71&subjectgroup=0&q=0&status=2&page=0&onlydaad=0&language=en&id=0&pg=1&detail_to_show=50015456)
- Grants for Medical Education (https://www.grantsformedicaleducation.com)
- NBER-ის მცირე კვლევითი გრანტები (https://www.nber.org/call-small-grant-proposals-economics-digitization)
- იაპონიის მეცნიერების ხელშეწყობის საზოგადოების პროგრამა 2021 (JSPS International Fellowships for Research in Japan) (https://www.jsps.go.jp/english/e-ippan/index.html)
- AIAS-COFUND Fellowships - ორჰუსის მოწინავე კვლევების ინსტიტუტის სტიპენდიები (https://aias.au.dk/opportunities-at-aias/aiasfellowships/aias-cofund-fellowships/ )
- Spencer Foundation (https://www.spencer.org/grant_types/small-research-grant)
- ARISC-ის მცირე კვლევითი გრანტები ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის (https://arisc.org/arisc-small-grants-2/)
- კორვინუსის მოწინავე კვლევების ინსტიტუტის (Corvinus Institute for Advanced Studies) კვლევითი სტიპენდიები (https://www.uni-corvinus.hu/main-page/research/corvinus-institute-for-advanced-studies/research-fellowship-programs/?lang=en)

- GATEKEEPER-ის გამოყენებითი კვლევითი პროექტების კონკურსი (https://www.gatekeeper-project.eu/about-gatekeeper#block-missionandvision)
- პადუას უნივერსიტეტის STARS Grants 2021 (https://www.unipd.it/en/stars2021)
- საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის (ISTC) ინსტიტუციური კვლევითი პროექტების კონკურსი (http://www.istc.int/en/about)
- IPRA ფონდის მშვიდობის კვლევის გრანტები (https://iprafoundation.org/grants-info/)
- ჰარვარდის სამართლის სკოლის კვლევითი სტიპენდიები IGLP Residential Fellowship Program (http://iglp.law.harvard.edu/)
- ედინბურგის უნივერსიტეტის კვლევითი სტიპენდიები პოსტდოქტორანტებისთვის (ჰუმანიტარული მეცნიერებები) (https://www.iash.ed.ac.uk/csmch-iash)
- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული 2021 წლის საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი (https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/fondi-atskhadebs-sagamomtsemlo-sakhelmtsifo-sametsniero-grantebis-shesakheb-2021-tslis-sagranto-konkurss)
- ERCIM - ინდივიდუალური კვლევითი სტიპენდიების კონკურსი (ინფორმატიკა და მათემატიკა) (https://fellowship.ercim.eu/information)
- კოიმბრას ჯგუფის კვლევითი სტიპენდიები ახალგაზრდა მკვლევრებისთვის (Coimbra Group Scholarship Programme 2021)
- მე-12 სამეცნიერო კონფერენცია „Modern movement of science“ (http://www.wayscience.com/en/12th-conference-1-2-april-2021/)
- SRNSFG 2021 წლის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი (https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/fondi-atskhadebs-2021-tslis-metsnierebis-popularizatsiisatvis-miznobrivi-sagranto-konkurss)
- SRNSFG კავკასიოლოგიისმიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი (2021) (https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/fondi-atskhadebs-kavkasiologiis-mimartulebit-sametsniero-kvleviti-proeqtebis-khelshetskobisa-da-saertashoriso-sametsniero-ghonisdziebebis-sagranto-konkurss)
- EUI and the International Visegrad Fund 2021

- International Palandoken Scientific Studies Congress (https://en.isarconference.org/2021)
- SRNSFG 2021 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი (https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/fondi-atskhadebs-2021-tslis-akhalgazrda-metsnierta-kvlevebis-grantit-dafinansebis-konkurss)
- 2021 წლის სტუდენტური კონფერენცია ეროვნული თავდაცვის აკადემიაში
- SRNSFG 2021 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი (https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/fondi-atskhadebs-fundamenturi-kvlevebisatvis-sakhelmtsifo-sametsniero-grantebis-2021-tslis-konkurss)
- FaRiG Research Grants - კვლევითი გრანტები (ჰუმანიტარული მეცნიერებები) (http://farig.org/grants)
- NAWA Urgency Grants - პოლონეთის ეროვნული სააგენტოს კვლევითი გრანტების პროგრამა (https://nawa.gov.pl/en/nawa)
- Brain and Language 2021: Virtual Conference & Methods Workshop - უვიასკულას უნივერსიტეტი (ფინეთი) (https://registration.contio.fi/jyu/Registration/Login?id=1749-KONG_CIBR-845)
- Digital Humanities Summer Institute (DHSI) 2021 - ვიქტორიის უნივერსიტეტი, კანადა (https://dhsi.org/dhsi-2021-online-edition/)
- სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია ეროვნული თავდაცვის აკადემიაში
- GIP Scientific Conference - Populist Nationalism and Euroscepticism: Imagined or Real Threat for Associated Countries? (https://us02web.zoom.us/webinar/register/WN_L6O-X71cTGa74GvwhSywBQ?fbclid=IwAR0mhHyRY9bPfg_Xodlu1A2_bUFrw0ruC7nuQsaqbIustwar4Cq4anXEAHY)
- Call for Papers-თანამედროვე სამართლის ჟურნალი (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი)
- Online International Conference on " Problems of Psychology: New Perspectives, Considerations and Thoughts

5. განხორციელდა საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური პერსონალის 2019-2020 აკადემიური წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშების შეფასება. ჯამში ანგარიში 76 აკადემიურმა პერსონალმა წარადგინა

(ანგარიშის გამოთხოვება ორჯერ განხორციელდა). მომზადდა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების სტატისტიკური ანალიზი.

6. განხორციელდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის და მეცნიერ-თანამშრომლების გამოკითხვა მათი საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში რეგისტრაციის შესახებ. კითხვარი ჯამში 51 პერსონალმა შეავსო.
7. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში რეგისტრაციის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდა შესაბამისი ინსტრუქციები/გზამკვლევები, რომლებიც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაზიარდა:
   - რეგისტრაცია Google Scholar-ზე https://drive.google.com/file/d/19MxXeqd7ImQDTZVQtT0wS04cDOzbJ9uZ/view
   - რეგისტრაცია ORCID-ზე https://drive.google.com/file/d/1JMPOUhD2eO4hZ8alRtG_HkkTJh2gfDqr/view
   - რეგისტრაცია Research Gate-ზე https://drive.google.com/file/d/1yvbohaA41TKw6Az6SY-qLa4S_jKP3ldx/view
   - რეგისტრაცია Publons-ზე https://drive.google.com/file/d/10258cfDHOAmY-Few_AFlrjLfefwqr1Mf/view
8. ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან თანამშრომლობით მოხდა Coursera for Campus-ის პორტალზე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლებისთვის თემატური კურსების შეთავაზება;
9. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და მეცნიერ-თანამშრომლებთან გაზიარდა სამეცნიერო ჟურნალების რეცენზენტებისთვის განკუთვნილი ონლაინ კურსების შესახებ ინფორმაცია:
   - ELSEVIER RESEARCHER ACADEMY: https://researcheracademy.elsevier.com/navigating-peer-review/certified-peer-reviewer-course
   - PUBLONS: https://publons.com/community/academy
   - WILEY: https://authorservices.wiley.com/Reviewers/journal-reviewers/becoming-a-reviewer.html/peer-review-training.html
   - NATURE MASTER CLASSES: https://masterclasses.nature.com/focus-on-peer-review-online-course/16605550

- WOLTERS KLUWER: https://wkauthorservices.editage.com/peer-reviewer-training-course/#knowmore

10. 2020 წლის 28 ნოემბერს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის და მეცნიერ-თანამშრომლებისთვის ჩატარდა ონლაინ ვორქშოფი თემაზე „კვლევითი საგრანტო პროექტების წერა". ვორქშოფს უძღვებოდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ქეთევან გურჩიანი. ვორქშოფზე აკადემიური და მოწვეული პერსონალი გაეცნო კვლევითი საგრანტო აპლიკაციის შევსების სპეციფიკას და საგრანტო კვლევითი პროექტის მომზადებასთან დაკავშირებულ ისეთ ძირითად საკითხებს, როგორიცაა: საკვლევი თემის შერჩევა, კვლევის მიზანი, კვლევითი საპროექტო განაცხადის ზოგადი სტრუქტურა, აკადემიური ეთიკა და საერთაშორისო თანამშრომლობა. ვორქშოფს დაესწრო ევროპის უნივერსიტეტის 36 აკადემიური პერსონალი.
11. 2020 წლის დეკემბრის თვეში აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის და მეცნიერ-თანამშრომლებისთვის ჩატარდა ონლაინ ვორქშოფების სერია თემაზე „კვლევა უნივერსიტეტში". ტრენინგს უძღვებოდა ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პროფესორი ვლადიმერ ლუარსაბიშვილი. ვორქშოპი მიზნად ისახავდა სხვადახვა დარგის აკადემიური პერსონალისთვის კვლევით უნარ-ჩვევების განვითარებას და არსებულის გაძლიერებას. ვორქშოპის მონაწილეები გაეცნენ თანამედროვე აკადემიური კვლევის ძირითად მეთოდებს. ვორქშოფების სერია 2 კვირა მიმდინარეობდა (2-12 დეკემბერი) და ჯამში 8 საათი ჩატარდა. ვორქშოფზე დამსტრეთა რაოდენობა შეადგენდა 34 აკადემიურ პერსონალს.
12. 2020 წლის დეკემბრის დასაწყისში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის გაძლიერების მიზნით განხორციელდა აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის ონლაინ გამოკითხვა, რომელიც მიზნად ისახავდა პერსონალის საჭიროებების გამოვლენას (რა მიმართულებით ისურვებდნენ მომზადება/გადამზადებას, რა თემებზე ისურვებდნენ მეტი ინფორმაციის მიღებას ვორქშოპების/ტრენინგების/საინფორმაციო შეხვედრების სახით, ა.შ.). გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე მიმართულება (კვლევის დიზიაინი, კვლევის მეთოდები, SPSS) და 2020-2021 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრისთვის დაიგეგმა ტრენინგები/ვორქშოპები.
13. 2020 წლის 15 დეკემბერს ინოვაციური სწავლების ტრენინგ ცენტრთან თანამშრომლობით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „სწავლების ინოვაციური მეთოდები და ტექნოლოგიური მიღწევები უმაღლეს განათლებაში". აღნიშნული კონფერენციისთვის შემუშავდა ვებ-გვერდი. კონფერენციაზე მთავარ მომხსენებლად და სამეცნიერო კომიტეტის წევრებად მოწვეულნი იყვნენ საერთაშორისო დონის

ექსპერტები განათლების დარგში. დეტალური ინფორმაცია იხილეთ https://www.imttahe.ge/. კონფერენციის მონაწილეები წარმოადგენდნენ 6 ქვეყანას: საქართველო, ჩინეთი, მალაიზია, პორტუგალია, რუმინეთი და ინდოეთი. 25 მოხსენებიდან შეირჩა 14 მომხსენებელი.

14. 2021 წლის თებერვალი-ივნისის პერიოდში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით აკადემიურ/მოწვეულ/სამეცნიერო პერსონალთან ასევე შემდეგი ინფორმაცია გაზიარდა:

- Funding Institutional - კვლევითი გრანტებისა და სტიპენდიების ბაზა (https://account.elsevier.com/auth);
- ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბაზაზე ხელმისაწვდომი სამეცნიერო ბაზების ბმულები და მათი გამოყწნების ტუტორიალები (https://eu.edu.ge/ge/library)
- EURAXESS Mentoring Programme - მენტორობის პროგრამა ევროპის და მესამე ქვეყნების მკვლევრებისთვის (https://mentoring.euraxess.bg/)
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტი "მეცნიერება კაპიტანია" (http://www.captain2020.ge/)
- SAGE Research Methods - უფასო მასალები მკვლევრებისთვის (https://uk.sagepub.com/en-gb/eur/sage-research-methods)
- ლაიდენის უნივერსიტეტისა და ელსევიერის ერთობლივი სემინარი მკვლევრებისთვის (https://www.library.universiteitleiden.nl/news/2021/03/leiden-university-libraries--elsevier-seminars-on-reproducible-research)
- საინფორმაციო ვებინარი Marie Skłodowska-Curie Actions (MSCA) 2021-2027 (https://webcast.ec.europa.eu/marie-sklodowska-curie-actions-msca-under-horizon-europe-information-event)
- Horizon Europe - ვებინარი წარმატებული განაცხადის მომზადების შესახებ (https://ec.europa.eu/eusurvey/runner/registration_20210324)
- საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) ნორვეგიის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტთან (NUPI): მასტერკლასი "როგორ გამოვაქვეყნოთ სამეცნიერო ნაშრომი? (http://gip.ge/ge/%e1%83%a0%e1%83%9d%e1%83%92%e1%83%9d%e1%83%a0-%e1%83%92%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%95%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%95%e1%83%94%e1%83%a7%e1%83%9c%e1%83%9d%e1%83%97-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%-2/)

- 2021 AAAS-TWAS Course on Science Diplomacy - ვორქშოპი მკვლევრებისთვის (https://twas.org/opportunity/2021-aaas-twas-course-science-diplomacy)
- Horizon Europe - საინფორმაციო დღე (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო) (https://horizoneuropegeorgia.service-facility.eu/)
- European Research and Innovation Days 2021(https://www.research-innovation-days.eu/register)
- Proposal Writing Camp for Georgia - ევროკომისიის სემინარი საპროექტო განაცხადების მომზადებაში (https://proposalwritingcampgeorgia.service-facility.eu/)
- Workshops by Institute for Economic Studies 2021 - ტოკიოს ეკონომიკის კვლევითი ცენტრი (https://ies.keio.ac.jp/en/workshops/microeconomics/)
- მწვანე ეკონომიკის სასერტიფიკატო კურსები (https://unccelearn.org/course/view.php?id=123&page=overview)
- MOFET ინსტიტუტის ვორქშოპი "How the Brain Learns Language, and What It Means for Teaching" (https://mofet-web.macam.ac.il/international/programs-meetups/webinars/webinar-23-06-21-registration/).

15. 2020 წლის დეკემბერში - 2021 წლის იანვარში განხორციელდა ონლაინ შეხვედრა უნივერსიტეტის სამი ფაკულტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან, რომლის მსვლელობისას მოხდა "სამეცნიერო - კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესის" და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ანგარიშის ფორმის შევსების გაცნობა.
16. 2020 წლის დეკემბერში განხორციელდა ადგილობრივი და საერთაშორისი სამეცნიერო ფონდების 2019 წლის პრიორიტეტული მიმართულებების აღწერითი ანალიზის მომზადება და ფაკულტეტების დეკანებთან და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელებთან გაზიარება.
17. 2021 წლის იანვრისთვის განხორციელდა ევროპის უნივერსიტეტის მონაცემების განახლება/რეგისტრაცია შემდეგ პლატფორმებზე:
    - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პლატფორმა GMUS;
    - EURAXESS Georgia (საიდენტიფიკაციო კოდი ID 580767-850256);
    - Ringgold (საიდენტიფიკაციო კოდი ID 484000).
18. 2021 წლის მარტის თვისთვის აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალისთვის დაიგეგმა ონლაინ ტრენინგი თემაზე „კვლევითი მეთოდები“.

ობიექტური მიზეზების გამო, აღნიშნული ტრენინგი ჩატარდება აპრილი-მაისის პერიოდში.

19. 2021 წლის 15 მარტი - 15 აპრილის პერიოდში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის განხორციელდა ონლაინ ტრენინგი „მონაცემთა ანალიზი SPSS-ში (დამწყები დონე)“, რომელსაც უძღვებოდა ცვატა ბერძენიშვილი. ხუთკვირიანი კურსის განმავლობაში აკადემიური პერსონალი გაეცნო მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისთვის კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად სტატისტიკური ხერხების გამოყენებას SPSS-ში.

20. 2021 წლის მარტის თვეში უნივერსიტეტში დაინერგა ელექტრონული ინსტიტუციური საცავი EU Repository (repository.eu.edu.ge), რომელიც E-prints-ისა და Dspace-ის ინსტიტუციური საცავების ანალოგიური ფუნქციებით არის აღჭურვილი. აღნიშნულ საცავში უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ შექმნან ინდივიდუალური პორთფოლიო, სადაც განათავსებენ საკუთარ სამეცნიერო შრომებს (სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, სახელმძღანელოები, პატენტები, სამაგისტრო ნაშრომები, ა.შ.). ატვირთული მასალები ღია წვდომისაა (Open Access), რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების შრომებს.

21. 2021 წლის 19 მარტს გაიმართა ონლაინ საინფორმაციო შეხვედრა European Research Council (ERC)-ის მიერ გამოცხადებული Starting Grants და Consolidator Grants საგრანტო კონკურსების შესახებ, რომლის მსვლელობისას უნივერსიტეტის აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს გაუზიარდა დეტალური ინფორმაცია აღნიშნული საგრანტო კონკურსების შესახებ (კონკურსის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, სააპლიკაციო განაცხადების შევსების სპეციფიკა, ა.შ.).

22. 2021 წლის 22-27 მარტს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრისა და უნივერსიტეტის ფაკულტეტების ჩართულობით ევროპის უნივერსიტეტში გაიმართა "აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის კვირეული". კვირეულის ფარგლებში უნივერსიტეტის სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა ონლაინ საინფორმაციო შეხვედრებში, რომლის მსვლელობისას მათ გაუზიარდათ დეტალური ინფორმაცია აკადემიური კეთილსინდისიერების მნიშვნელობისა და პლაგიატის აღმოფხვრის შესახებ. გარდა ამისა, საკუთარი ცოდნის გამოვლენის მიზნით, თითოეული ფაკულტეტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ონლაინ ქვიზში. თითოეულ ფაკულტეტზე გამოვლენილ საუკეთესო სამეულს უნივერსიტეტის სახელით გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

23. 2021 წლის 27 აპრილი - 20 მაისის პერიოდში უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის განხორციელდა ონლაინ ტრენინგი „კვლევის მეთოდები და კვლევის დიზაინი“, რომელსაც უძღვებოდა ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ნესტან ტუკვაძე. ტრენინგი მოიცავდა შემდეგ თემებს: ეპიდემიოლოგიის მეთოდები და ბიოსტატისტიკის საფუძველბი, კვლევების დიზაინი, მონაცემთა შეგროვება (რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლადების შეგროვება), ა.შ.
24. 2021 წლის 17 მაისი - 10 ივნისის პერიოდში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის განხორციელდა ონლაინ ტრენინგი „მონაცემთა ანალიზი SPSS-ში (მაღალი დონე)“, რომელსაც უძღვებოდა ცვატა ბერძენიშვილი. ოთხკვირიანი კურსის განმავლობაში აკადემიური პერსონალი გაეცნო მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისთვის საშუალო და მაღალი სირთულის ამოცანების შესასრულებლად სტატისტიკური ხერხების გამოყენებას SPSS-ში.
25. ცენტრი კონსულტაციას უწევს უნივერსიტეტის აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს პლაგიატის შემოწმების მიზნით ელექტრონული პლატფორმის Turnitin-ის გამოყენების საკითხებზე.

გამოკითხვის შედეგების, შედეგების ანალიზისა და რეაგირებების შესახებ დეტალებისთვის იხ. დანართი #19 - პერსონალის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ ანგარიშები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ანგარიში პერსონალის განვითარების ხელშეწყობის ღინისძიებების შესახებ.

**3.2.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობის მიხედვით.** აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ასევე ხორციელდება მათი აკადემიური საქმიანობის მიხედვით, რაც გულისხმობს პერსონალის შეფასებას სტუდენტის, დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებისა და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების მიერ. აღნიშნული ადმინისტრაციული პერსონალი აფასებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მათთან თანამშრომლობის, აკადემიური პროცესის სათანადოდ წარმართვის საკითხებს წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, ხოლო სტუდენტები - ასევე წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, სასწვლო კურსის წარმართვის პროცესში ლექტორით კმაყოფილების საკითხს, მათ მიერ გამოყენებულ სწავლების მეთოდებს, ლექტორის მიერ ლექციის წარმართვის, ახსნის, ცოდნის გადაცემის უნარებს და ა.შ. გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემას (https://eunsis.eun.edu.ge/) და ელექტრონულ პლატფორმას SurveyMonkey. შეფასების შედეგები ჯამდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და დგება აკადემიური და მოწვეული

პერსონალის სემესტრული და წლიური რეიტინგი ფაკულტეტების მიხედვით. აკადემიური პერსონალის საბოლოო შეფასებებში განსაზღვრული პროცენტული წილი ეთმობა პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგებს და პროფესიული განვითარების შეფასების შედეგებს, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში, მხოლოდ პროფესიული განვითარების შეფასების შედეგებს. პროფესიული განვითარების შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებულია შესაბამისი ფორმა, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული განვითარების შესაძლო აქტივობებს, თითოეულ აქტივობას განესაზღვრება შესაბამისი ქულა, აქტივობის მასშტაბებისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე. შესაძლებელია პერსონალის მიერ ისეთი აქტივობის მითითებაც, რომელიც არ არის განსაზღვრული ანგარიშის ფორმით. აქტივობის ქულა განისაზღვრება კომისიური წესით. ანგარიშებს აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან გამოითხოვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სამსახურის ინიცირებით და რექტორის მიერ დამტკიცებული კომისიის მიერ კი ხდება პერსონალისგან მიღებული ანგარიშების გაანალიზება და საბოლოო შედეგების განსაზღვრა. შეფასების შედეგები გაითვალისწინება პერსონალის წლიური რეიტინგის დადგენაში.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების საბოლოო შედეგები გამოიყენება პერსონალის წახალისების მიზნით, კერძოდ სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის თითოეულ ფაკულტეტზე განსაზღვრულია ფულადი ჯილდოები. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება და აკადემიური საქმიანობა შეფასდა 2020-2021 აკადემიური წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრის ბოლოს, დაჯამებულია წლიური შეფასების შედეგებიც.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის 2020-2021 აკადემიური წლის შეფასების შედეგები მეტწილად დადებითია და შემდეგნაირად გამოიყურება:



**შენიშვნა:** ვინაიდან სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე მიმდინარეობს ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამის საავკრედიტაციოდ მზადება, შესაბამისად, ფაკულტეტზე არ ირიცხება სტუდენტები და არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, აღნიშნულ ფაკულტეტზე პერსონალის შეფასება და რეიტინგების დადგენა 2020-2021 აკადემიურ წელს არ განხორციელებულა.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების საბოლოო შედეგები გამოიყენება შემდეგნაირად:

1. შეფასების შედეგები გაეგზავნათ პროგრამის ხელმძღვანელებსა და დეკანებს შესწავლისა და რეაგირებისთვის. ფაკულტეტის დეკანი რეაგირების ანგარიშს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს რეაგირების პროცესების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით.

დეკანების მიერ წარმოდგენილია 2020-2021 აკადემიური წლის შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები. ანგარიშში აღწერილია გამოვლენილი საყურადღებო შედეგების გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, უკვე განხორციელებული აქტივობები (მაგ. კომუნიკაცია ლექტორებთან, კომუნიკაცია სტუდენტებთან და ა.შ.), ასევე, სამომავლო რეაგირების გეგმა (დეტალებისთვის იხ. დანართი #5 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები, პროფესიული განვითარების ანგარიშები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები).

2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე, თითოეულ ფაკულტეტზე სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, წახალისების მიზნით, გადაეცემა ფულადი ჯილდო (აკადემიური პერსონალი: I ადგილი - 1500 ლარი, II ადგილი - 1000 ლარი, III ადგილი - 500 ლარი; მოწვეული პერსონალი: I ადგილი - 1000 ლარი, II - ადგილი - 700 ლარი, III ადგილი - 400 ლარი).

შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დაჯილდოვდა საუკეთესო შედეგების მქონე 9 აკადემიური პერსონალი და 9 მოწვეული პერსონალი. ფაკულტეტების მიხედვით დაჯოლდოვებული პერსონალის რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება: მედიცინის ფაკულტეტის საუკეთესო შედეგების მქონე 3 აკადემიური და 3 მოწვეული პერსონალი; ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის საუკეთესო შედეგების მქონე 3 აკადემიური და 3 მოწვეული პერსონალი; სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საუკეთესო შედეგების მქონე 3 აკადემიური და 3 მოწვეული პერსონალი. სულ დაჯილდოვდა უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 18 აკადემიური და მოწვეული პერსონალი.




2020-2021 აკადემიური წლის შეფასების შედეგების მიხედვით პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაჯილდოვების თანხამ ჯამში შეადგინა 15 300 ლარი.

ფაკულტეტების მიხედვით დაჯილდოვების თანხები შემდეგნაირად ნაწილდება: სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის პერსონალის დაჯილდოვება 5 100 ლარი: აკადემიური პერსონალი - 3 000 ლარი და მოწვეული პერსონალი - 2 100 ლარი; მედიცინის ფაკულტეტის პერსონალის დაჯილდოვება 5 100 ლარი: აკადემიური პერსონალი - 3 000 ლარი და მოწვეული პერსონალი - 2 100 ლარი; სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალის დაჯილდოვება ასევე 5 100 ლარი: აკადემიური პერსონალი - 3 000 ლარი და მოწვეული პერსონალი - 2 100 ლარი;




**შენიშვნა:** აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესის მიხედვით რეიტინგის დათვლის დროს არ მიიღება მხედველობაში შეფასების არასრული შედეგები, ანუ იმ

პერსონალის შეფასების შედეგები, რომლის გამოთვლაც მოხდა ისე, რომ შეფასების პროცესში მონაწილეობა არ მიიღო წესით განსაზღვრულმა რომელიმე შემფასებელმა (მაგ. სტუდენტმა, დეკანმა და ა.შ.). რეიტინგში მაღალი შეფასების მქონე პერსონალის რაოდენობასთან შედარებით ნაკლები რაოდენობის პერსონალის დაჯილდოვება განაპირობა სწორედ აღნიშნულმა მიზეზმა.

2020-2021 აკადემიური წლის შეფასების შედეგები ევროპის უნივერსიტეტის მიერ განთავდა უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და შესაბამისად აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ ხემისაწვდომია. ინფორმაციის საჯაროობა ადმინისტრაციის შეხედულებით ზრდის როგორც სტუდენტთა მოტივაციას მიიღონ აქტიური მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ კვლევებსა და გამოკითხვის პროცესში, ასევე, ზრდის პერსონალის მოტივაციას გააუმჯობესონ სტუდენტებისა და ადმინისტრაციის კმაყოფილება და შეფასების შედეგები.

**3.2.3. ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასება სტუდენტების მიერ.** 2020-2021 აკადემიურ წელს ხრისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს დაემატა სტუდენტთა გამოკითხვა საბაკალავრო და სამაგისტრო ნარომების ხელმძღვანელების შეფასების მიზნით. აღნიშნული გამოკითხვის მიზანია შეფასედეს სტუდენტების მიერ მათი ხელმძღვანელთან მუშაობა რამდენიმე მიმართულებით: ხელმძღვანელის მიერ სილაბუსით განსაზღვრული საკონტაქტო საათების შესრულება, ნაშრომის სილაბუსის, მიზნების, სწავლის შედეგების, ნაშრომის შეფასების სისტემის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება, ნაშრომის შესრულების დაგეგმვის, ნაშრომის სტრუქტურის მომზადების პროცესში, ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების განსაზღვრის პროცესში დახმარება, ნაშრომის შესრულებისთვის აუცილებელი მასალების მოძიების გზების შესახებ მიმართულებების მიცემა, სამეცნიერო ელქტრონული ბაზების ხელმისაწვდომობისა და მათი საშუალებით მასალების მოძიების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, შესრულებული სამუშაოს შესახებ რეგულარული უკუკავშირის მიწოდება, ხელმძღვანელისგან მიღებული კონსულტაციების, განმარტებების, მიმართულებების, დავალებების, შესრულებულ დავალებებზე მიღებული შენიშვნების, განმარტებების, უკუკავშირის მნიშვნელობა ნაშრომის შესრულებისა და დახვეწის პროცესში, ხელმძღვანელის მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერების, წყაროს მითითების, პლაგიატის საკითხებზე ყურადღების გამახვილება. სტუდენტი ამასთანავე აფასებს ხელმძღვანელთან მუშაობით ზოგად კმაყოფილებას და აქვს შესაძლებლობა გამოთქვას დამატებითი მოსაზრებები და კომენტარები. 2020-2021 აკადემიურ წელს ევროპის უნივერსიტეტში აღნიშნულ შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა, შესაბსამისად შეფასდნენ საბაკალავარო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები. მოხდა მიღებული შეფასების შედეგების გაანალიზება და ფაკულტეტის დეკანისთვის გაზიარება. შეფასების შედეგები დადებითია, თუმცა გამოკვეთილი საყურადღებო საკითხების საპასუხოდ განხორციელდა გარკვეული

რეაგირებები, რომლის შესახებ ინფორმაციაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მიეწოდა დეკანის მიერ რეაგირების ანგარიშის სახით (დეტალებისთვის იხ. დანართი #6 - ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასება, შედეგების ანალიზი, შედეგებზე რეაგირების ანგარიში).

**3.2.3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით.** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება ასევე ხორციელდება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით. შეფასება ხორციელდება რამდენიმე შემთხვევაში, მათ შორის, პერსონალის მიერ უნივერსიტეტში პედაგოგიური საქმიანობის პირველად განხორციელების შემთხვევაში, სტუდენტთა გამოკითხვის საფუძვლეზე საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში, წინა დაკვირვების საფუძველზე საყურადღებო საკითხების დაფიქსირების შემთხვევაში. შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის, დარგის ან მომიჯნავე დარგის სპეციალისტის, პროგრამის ხელმძღვანელის, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის წარმომადგენლის ჩართულობით. შეფასება ხორციელდება თითოეული შემფასებლის მიერ ინდივიდუალურად. შეფასების დაჯამებული შედეგები და უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეგზავნება აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს ინდივიდუალურად. შეფასების უმნიშვნელოვანესი მიზანია კოლეგებს შორის არსებული საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება, ამასთან, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. შეფასების შედეგები ასევე ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელსა და დეკანს საჭიროების შემთხვევაში რეაგირებისთვის. დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელები აანალიზებენ შეფასების შედეგებს, განსაზღვრავენ პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. სჭირეობის შემთხვევაში ფაკულტეტი თანამშროლობს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრთან პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი ტრენინგების ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით. საყურადღებო საკითხების იდენტიფიცირების შემთხვევაში შესაძლოა დაიგეგმოს განმეორებითი შეფასება. სააუდიტორო საქმიანობის აღნიშნული შეფასება ევროპის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა 2020-2021 აკადემიურ წელს, აღნიშნულ პერიოდში წინა წლის შეფასებებზე დაყრდნობით განხორცილედა რამდენიმე განმეორებითი შეფასებაც. კერძოდ, შეფასება განხორციელდა სტუდენტების მხრიდან დაფიქსირებული შეფასებების საფუძველზე. სულ განხორციელდა 39 სააუდიტორო მუშაობის შეფასება. იყო შემთხვევები (მედიცინის ფაკულტეტზე 4 შემთხვევა და სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 3 შემთხვევა) როცა დასწრების საფუძველზე გამოიკვეთა განმეორებით დასწრების საჭიროება რამდენიმე პერსონალთან. სააუდიტორო მუშაობის შეფასებების რაოდენობა ფაკულტეტებისა და დასწრების მიზეზების გათვალისწინებით შემდეგნაირად გამოიყურება:




**შენიშვნა:** ვინაიდან სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე მიმდინარეობს ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამის საავტორიზაციო მზადება, შესაბამისად, ფაკულტეტზე არ ირიცხება სტუდენტები და არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, აღნიშნულ ფაკულტეტზე საუდიტორო მუშაობის შეფასება 2020-2021 აკადემიურ წელს არ განხორციელებულა.

საუდიტორო მუშაობის შეფასებების პროცესში აქტიურადაა ჩართული სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ხელმძღვანელი, სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების შეფასების ანდა შეფასების პროცესში გამოკვეთილი საუკეთესო პრაქტიკაზე დაკვირვების, გამოვლენის, გათვალისწინების მიზნით. შეფასების შეჯამებული ანგარიშები გაზიარებულია შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან საჭიროების შემთხვევაში რეაგირებებისთვის. 2020-2021 აკადემიური წლის შეფასებების საფუძველზე განხორციელდა პერსონალისთვის ტრენინგ მოდულის „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ შეთავაზება სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ, პერსონალმა შეთავაზებით ისარგებლა (დეტალებისთვის იხ. დანართი #7 - საუდიტორო მუშაობის შეფასების ანგარიშები, გაცემული უკუკავშირები, შეფასების შემაჯამებელი ანგარიშები და რეაგირების ანგარიშები).

ზოგადად ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ აქტიურად მიმდინარეობს სწავლების, შეფასების მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება. 2020-2021 აკადემიურ წელს აღნიშნული ცენტრის მიერ ჩატარდა 6 სხვადასხვა მიმართულების ტრენინგ-მოდული, კერძოდ:

1. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა - ტრენინგ-მოდულის მიზანია ტრენინგის მონაწილეთა ცოდნის გაღრმავება სტუდენტზე ორიენტირებული

სასწავლო კურსის ეფექტიანი დაგეგმვის პრინციპებში; მონაწილეებისთვის სასწავლო კურსის ეფექტიანი დაგეგმვის თანამედროვე მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ასევე, ზოგადი და საუნივერსიტეტო აკრედიტაციის სტანდარტების გაცნობა; მონაწილეებისთვის სასწავლო კურსის მიზნების, შედეგების, შინაარსისა და მეთოდების სილაბუსში სწორად განსაზღვრის დემონსტრირება და მონაწილეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერება.

2. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - ტრენინგ-მოდულის მიზანია მონაწილეებისთვის სწავლების პროცესში პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების გამოყნების არსისა და მნიშვნელობის გაცნობა; მონაწილეებისთვის პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენების ტექნიკის შესახებ ცნობიერების ამაღლება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება; უნივერსიტეტში პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის დანერგვის ხელშეწყობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით.
3. შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში - ტრენინგ-მოდულის მიზანია უნივერსიტეტში შეფასების მეთოდების გაუმჯობესება და თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით; მონაწილეებისთვის შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების საჭიროებისა და მნიშვნელობის გაცნობა; მონაწილეებისთვის შეფასების ძირითადი მიდგომების, ეროვნული სტანდარტების, შეფასების პრინციპებისა და ძირითადი კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; მონაწილეებისთვის შეფასების თანამედროვე მეთოდების უნარ-ჩვევების განვითარებაში დახამრება.
4. სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში - ტრენინგ-მოდულის მიზანია მონაწილეებს გააცნოს სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები და აქტიური სწავლებისთვის საჭირო ინსტრუმენტები; უნივერსიტეტში სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით; მონაწილეებისთვის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ ცოდნის გაღრმავება; მონაწილეებისთვის სასწავლო კურსის მიზნებსა და შედეგებზე ორიენტირებული სწავლის მეთოდების სწორად განსაზღვრის დემონსტრირება და მსმენელთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერება.
5. დისტანციური პლატფორმების ეფექტური გამოყენება სწავლების პროცესში - ტრენინგ-მოდულის მიზანია მსმენელებს გააცნოს ის უახლესი ელექტრონული საშუალებები, რომლებიც გამოიყენება შერეული სწავლების დროს. პირისპირ და ონლაინ სწავლებათა ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინებით წინასწარ

შერჩეული ელპლატფორმების, ონლაინ კურსებისა თუ აპლიკაციების გამოყენების უპირატესობათა წარმოჩენა და მათი სასწავლო კურსებში იმპლიმენტირება.

6. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები უმაღლეს განათლებაში - პლაგიატის ამომცნობი პროგრამის - Turnitin.com-ის გამოყენება სწავლებისას და შეფასებისას.

ტრენინგ-მოდულების აღნიშნული მიმართლებების შერჩევა განაპირობა უმაღლეს საგანმანათლებლო პროცესში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების განვითარების ტენდენციებმა და ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების აუცილებლობამ. შეთავაზებული ტრენინგ-მოდულების შეფასებისა და ამასთანავე პერსონალის საჭიროებების კვლევის მიზნით სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი ატარებს პერსონალის გამოკითხვას. გამოკითხვა ჩატარდა 2020-2021 აკადემიურ წელს. გამოკითხვის შედეგები გაანალიზდა, ანალიზის შედეგების მიხედვით პერსონალი კვლავ დადებითად აფასებს შეთავაზებული ზემოაღნიშნული 6 ტრენინგ-მოდულის საჭიროებას:




შესაბსამისად, ტრენინგ-ცენტრი კლვავ გააგრძელებს მათ მუდმივ შეთავაზებას ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ გამოიკვეთა შეთავაზებული ტრენინგ-მოდულებიდან სამი მოდულის მოდიფიცირების და განახლების საჭიროება, კერძოდ, ტრენინგ მოდულები: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და შეფასების თანამედროვე მეთოდების მოდიფიცირება განხორციელდა დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებების გათვალისწინებით, ხოლო ტრენინგ-მოდულის: დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება, მოდიფიცირება/ განახლება გულისხმობდა Moodle-ის შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენების საკითხებს, განახლებული მოდული მოიცავს აღნიშნული პლატფორმის დამატებითი ფუნქციების

გაცნობას დამსწრე პირთათვის, რომელსაც ლექტორი გამოიყენებს როგორც ონლაინ, ასევე საუდიტორიო სწავლებისას.

2020-2021 აკადემიურ წელს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ ჩატარებულ ტრენინგებს ჯამში დაესწრო ევროპის უნივერსიტეტის 299 აკადემიური და მოწვეული პერსონალი (დეტალებისთვის იხ. დანართი #19 - პერსონალის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ ანგარიშები, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ანგარიში ჩატრებული ტრენინგების შესახებ). ფაკულტეტების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადების მონაცემები შემდეგნაირად ნაწილდება: 2020-2021 აკადემიურ წელს ზემოაღნიშნულ მოდულებში გადამზადდა ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკუტეტის 91 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მედიცინის ფაკულტეტის - 89 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის - 6 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხოლო სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის - 167 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ რაოდენობებში პერსონალი შესაძლებელია მეროდებოდეს, ერთი და იგივე პერსონალის რამდენიმე მოდულზე დასწრებიდან გამომდინარე.

2020-2021 აკადემიური წლის განმავლობაში ტრენინგ-მოდულების მიხედვით პერსონალის გადამზადება ევროპის უნივერსიტეტში მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით შემდეგნაირია:

| ტრენინგის დასახელება | დამსწრე პერსონალის რაოდენობა |
|---|---|
| სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა | 26 |
| შეფასების თანამედროვე მეთოდები | 3 |
| პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება | 12 |
| სწავლების თანამედროვე მეთოდები | 65 |
| აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები უმაღლეს განათლებაში | 119 |
| დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას | 74 |

გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფაკულტეტების და მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:







ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

| ტრენინგის დასახელება | დამსწრე პერსონალის რაოდენობა |
|---|---|
| სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა | 2 |
| სწავლების თანამედროვე მეთოდები | 32 |
| აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები უმაღლეს განათლებაში | 53 |
| დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას | 4 |

მედიცინის ფაკულტეტის გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

| ტრენინგის დასახელება | დამსწრე პერსონალის რაოდენობა |
|---|---|
| სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა | 10 |
| სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები | 45 |
| დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას | 34 |

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

| ტრენინგის დასახელება | დამსწრე პერსონალის რაოდენობა |
|---|---|
| შეფასების თანამედროვე მეთოდები | 3 |
| სწავლების თანამედროვე მეთოდები | 3 |

სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

| ტრენინგის დასახელება | დამსწრე პერსონალის რაოდენობა |
|---|---|
| სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა | 32 |
| პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება | 12 |
| სწავლების თანამედროვე მეთოდები | 21 |
| აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები უმაღლეს განათლებაში | 66 |
| დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას | 36 |

2020-2021 აკადემიურ წელს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ ჩატარებული ზემოაღნიშნული გამოკითხვის შედეგების საფუძველზე დამატებით გამოიკევთა, რომ პერსონალის მხრიდან დადებითად შეფასდა კიდევ ერთი ტრენინგ-მოდულის (შერეული სწავლება) შემუშავებისა და პერსონალისთვის შეთავაზების საკითხი. აღნიშნული ტრენინგ-მოდული უკვე შემუშავდა ცენტრისა და შესაბამისი ტრენერების თანამშრომობით და შემდეგი აკადემიური წლიდან დაგეგმილია პერსონალისთვის მისი შეთავაზება.

### 3.3. სასწავლო პროცესის შეფასება

სასწავლო პროცესის გამართულად ფუნქციონირების შეფასება უზრუნველყოფილია რამდენიმე მიმართულებით:

**3.3.1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის და მონიტორინგის მეთოდლოგია.** უნივერსიტეტში შემუშავებულია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდლოგია. მეთოდოლოგიის მიხედვით ფასდება საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსი (აუდიტორიების რაოდენობა და გამტარუნარიანობა), ადამიანური რესურსი (როგორც პროგრამის ადმინისტრირების პროცესში ჩართული, ასევე, პროგრამის განმახორციელებელი პეროსონალი), ამასთანავე, ფასდება უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსი, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე პრაქტიკის ბაზების გამტარუნარიანობა. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის რესურსის შეფასების საფუძველზე, გამოითვლება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტთა ის რაოდენობა, რომლის ხარისხიანად და ეფექტიანად მომსახურებასაც შესძლებს უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. მეთოდოლოგიის თანახმად დადგენილი რაოდენობები, სხვა მონაცემებთან ერთად (როგორიცაა აქტიური სტატუსის

მქონე სტუდენტების რაოდენობა, სასწავლო წელს დამამთავრებელი სტუდენტების შესაძლო რაოდენობა), მხედველობაში მიიღება უნივერისტეტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდებით / საერთო სამაგისტრო გამოცდებით მისაღები აბიტურიენტებისთვის ადგილების გამოცხადების, მობილობით ადგილების გამოცხადების, ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ თანხმობის გაცემის შემთხვევებში, რათა მოხდეს უნივერსიტეტისთვის განსაზღვრული ზღვრული რაოდენობების მონიტორინგი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მექანიზმების ფარგლებში ასევე, შემუშავებულია სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა. პროცედურა განსაზღვრავს სტუდენტთა რაოდენობების მონიტორინგის მექანიზმებს ადგილების გამოცხადების ზემოაღნიშნულ შემთხვევებში. ამდენად, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით განისაზღვრება სტუდენტთა ის რაოდენობა, რომლებიც პროგრამის რესურსების გათვალისწინებით შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნენ ხარისხიანი განათლებით, ხოლო სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა და პროცედურით გათვალისწინებული მექანიზმები უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში მეთოდლოგიით განსაზღული რაოდენობების შენარჩუნებასა და მონიტორინგს. უნივერსიტეტის სტუდენტთა არსებული ზღვრული რაოდენობა (3500 სტუდენტი) გამოთვლილია სწორედ აღნიშნული მეთოდლოგიის მიხედვით. ხოლო 2020-2021 აკადემიური წლის მიმდინარეობსას ერთიანი ეროვნული გამოცდებით / საერთო სამაგისტრო გამოცდებით მისაღები აბიტურიენტებისთვის ადგილების გამოცხადების, მობილობით ადგილების გამოცხადების, ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ თანხმობების გაცემის შემთხვევებში, უნივერსიტეტი ხელმძღვანელობდა სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურებით და დოკუმენტით განსაზღვრული ფორმის გამოყენებით ახდენდა სტუდენტთა რაოდენობის მონიტორინგს (დეტალებისთვის იხ. დანართი #22 - სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა და მონიტორინგი: სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის და სტუდენტთა რაოდენობის მონიტორინგის ცხრილები).

**3.3.2. ზოგადი კმაყოფილების კვლევები: სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა.** სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაფასებლად ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ტარდება კმაყოფილების კვლევევები, კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა, სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა, მობილობით გადასული და მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკთხვა. აკადემიური და მოწვეული პერსონალი აღნიშნული გამოკითხვის შედეგად აფასებს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უნივერსიტეტის მხრიდან მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, მართვის სტილს, ანაზღაურების საკითხებს და ა.შ. სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა კი ემსახურება სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღებას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა, სასწავლო პროცესი,

უნივერსიტეტის ინფრასტუქტურა, პროცედურები, სტუდენტური სერვისები და სხვ. მობილობით გადასულრლი და გადმოსული სტუდენტების გამოკითხვის მიზანია შეისწავლოს და შეაფასოს სტუდენტთა უნივერისტეტიდან გადასვლისა და უნივერსიტეტში გადმოსვლის მიზეზები. ზემოაღნიშნული გამოკითხვების უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემას (https://eunsis.eun.edu.ge/) და მობილობის მონაწილე სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შემთხვევაში ელექტრონულ პლატფორმას: SurveyMonkey.

2020-2021 აკადემიურ წელს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა მათი საერთო ჯამში უნივერსიტეტით მეტწილად კმაყოფილება, უნივერსიტეტით ზოგადი კმაყოფილება საერთო ჯამში შეფასდა დადებითად:

### ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

შეკითხვაზე „რამდენად გამართლდა თქვენი მოლოდინი უნივერსიტეტის არჩევით", სტუდენტთა 75%-მა დადებითი პასუხი გასცა და 25%-მა დააფიქსირა შედარებით უარყოფითი პასუხი, უმაღლესი 4 ქულიდან რესპონდენტთა შეფასებაა 2.75 ქულა:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|
| გამართლდა თუ არა მოლოდინი უნივერსიტეტის არჩევით | 0.00% | 25.00% | 75.00% | 0.00% | 0.00% | 2.75 ქულა |

შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას", სტუდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 3.75 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: სტუდენტთა

75% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას დადებითი 4 ქულით, ხოლო 25% - ასევე დადებითი 3 ქულით:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება | 0.00% | 0.00% | 25.00% | 75.00% | 0.00% | 3.75 ქულა |

## მედიცინის ფაკულტეტი

შეკითხვაზე „რამდენად გამართლდა თქვენი მოლოდინი უნივერსიტეტის არჩევით“, სტუდენტთა 44%-მა დადებითი პასუხი გასცა, 10%-მა არ გასცა პასუხი, 16%-მა დააფიქსირა შედარებით უარყოფითი პასუხი, ხოლო 30%-მა უარყოფითი პასუხი. უმაღლესი 4 ქულიდან რესპონდენტთა შეფასებაა 2.15 ქულა:



| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|
| გამართლდა თუ არა მოლოდინი უნივერსიტეტის არჩევით | 30.00% | 16.00% | 23.00% | 21.00% | 10.00% | 2.15 ქულა |

შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, სტუდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 3.28 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: სტუდენტთა 5% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, 45% - 4 ქულით, 32.5% - ასევე დადებითი 3 ქულით, 7.5% - 2 ქულით, ხოლო 10% - 1 ქულით:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება | 10.00% | 7.50% | 32.50% | 45.00% | 5.00% | 3.75 ქულა |

### სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

შეკითხვაზე „რამდენად გამართლდა თქვენი მოლოდინი უნივერსიტეტის არჩევით“, სტუდენტთა 70%-მა დადებითი პასუხი გასცა (10%-ის შეფასებაა 3 ქულა, 60%-ის - უმაღლესი 4 ქულა) და 30%-მა დააფიქსირა უარყოფითი პასუხი, უმაღლესი 4 ქულიდან რესპონდენტთა შეფასებაა 3 ქულა:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|
| გამართლდა თუ არა მოლოდინი უნივერსიტეტის არჩევით | 30.00% | 0.00% | 10.00% | 60.00% | 0.00% | 3.00 ქულა |

შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას", სტუდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 3.6 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: სტუდენტთა 30% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, 30% - 4 ქულით, 20% - ასევე დადებითი 3 ქულით, 10% - 2 ქულით, ხოლო 10% - 1 ქულით:



| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება | 10.00% | 10.00% | 20.00% | 30.00% | 30.00% | 3.60 ქულა |

**შენიშვნა:** ვინაიდან სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე მიმდინარეობს ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამის საავრედიტაციოდ მზადება, შესაბსამისად, ფაკულტეტზე არ ირიცხება სტუდენტები და არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, აღნიშნულ ფაკულტეტზე სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა 2020-2021 აკადემიურ წელს არ განხორციელებულა.

კითხვარი აგებულია ისე, რომ გამოკითხვის პროცესში შესაძლებელია დამატებითი კომნეტარებისა და განმარტებების დაფიქსირება რესპონდენტთა მხრიდან, რათა შესაძლებელი იყოს უნივერსიტეტის მხრიდან შედეგების სათანადო ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გაკეთება და რეაგირებები შედეგების გაუმჯობესების მიზნით, რითიც რიგ შემთხვევებში ისარგებლა გამოკითხული სტუდენტების ნაწილმა.

2020-2021 აკადემიურ წელს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კმაყოფილების კვლევის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად იკვეთება პერსოანლის განვითარების ხელშეწყობის მხრივ და უნივერსიტეტთან თანამშრომლობით მათი კმაყოფილება:

## ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

გამოკითხვის შედეგების მიხედვით შეკითხვაზე „გთხოვთ შეაფასოთ ზრუნავს თუ არა უნივერსიტეტი პერსონალის აკადემიურ განვითარებაზე“, გამოკითხვის პროცესში მონაწილე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.64 ქულა, ხოლო შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის მაქსიმალური 5 ქულა (უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა 36%-მა არ გასცა პასუხი აღნიშნულ შეკითხვას, თუმცა დანარჩენი 64%-ის მიერ, ვინც უპასუხა დასმულ შეკითხვას, შეფასება მაქსიმალრი 5 ქულაა):




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე | 0.00% | 0.00% | 9.00% | 18.00% | 73.00% | 0.00% | 4.64 ქულა |

| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება | 0.00% | 0.00% | 00.00% | 00.00% | 64.00% | 36.00% | 5.00 ქულა |

### მედიცინის ფაკულტეტი

შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ ზრუნავს თუ არა უნივერსიტეტი პერსონალის აკადემიურ განვითარებაზე“, გამოკითხვის პროცესში მონაწილე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.2 ქულა, ხოლო შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4 ქულა:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე | 8.00% | 0.00% | 0.00% | 13.00% | 71.00% | 8.00% | 4.20 ქულა |

| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება | 4.00% | 0.00% | 0.00% | 0.00% | 79.00% | 17.00% | 4.00 ქულა |

### სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ ზრუნავს თუ არა უნივერსიტეტი პერსონალის აკადემიურ განვითარებაზე“, გამოკითხვის პროცესში მონაწილე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.8 ქულა, ხოლო შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის მაქსიმალური 5 ქულა (უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა 10%-მა არ გასცა პასუხი აღნიშნულ შეკითხვას, თუმცა დანარჩენი 90%-ის მიერ, ვინც უპასუხა დასმულ შეკითხვას, შეფასება მაქსიმალური 5 ქულაა):




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე | 0.00% | 0.00% | 0.00% | 16.00% | 84.00% | 00.00% | 4.80 ქულა |

| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება | 0.00% | 0.00% | 0.00% | 0.00% | 90.00% | 10.00% | 5.00 ქულა |

**შენიშვნა:** ვინაიდან სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე მიმდინარეობს ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამის საავკრედიტაციოდ მზადება, შესაბსამისად, ფაკულტეტზე არ ირიცხება სტუდენტები და არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, აღნიშნულ ფაკულტეტზე პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა 2020-2021 აკადემიურ წელს არ განხორციელებულა.

კითხვარი ამ შემთხვევაშიც აგებულია ისე, რომ გამოკითხვის პროცესში შესაძლებელია დამატებითი კომნეტარებისა და განმარტებების დაფიქსირება რესპონდენტთა მხრიდან, რათა შესაძლებელი იყოს უნივერსიტეტის მხრიდან შედეგების სათანადო ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გაკეთება და რეაგირებები შედეგების გაუმჯობესების მიზნით, რითიც რიგ შემთხვევებში ისარგებლა გამოკითხული პერსონალის ნაწილმა.

გამოკითხვის შედეგები გაცილებით მრავალმხრივი, დეტალური და მოცულობითია, როგორც სტუდენტის, ისე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შემთხვევაში. შეფასების გაანალიზებული შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჯგუფდება სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების მიხედვით. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულსა და სამსახურს (ფაკულტეტის ადმინისტრაციას, ბიბლიოთეკას, ადამიანური რესურსების მართვისა სამსახურს, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრს, შესყიდვებისა და მეტერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრს, საგამოცდო ცენტრს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს და ა.შ.) ეგზავნება გამოკითხვის შედეგების ანალიზი და საყურადღებო საკითხები, სიღრმისეული შესწავლისა და რეაგირებისთვის. სტრუქტურული ერთეულები ყველა საჭირო რგოლთან თანამშრომლობით ახდენენ საყურადღებო საკითხებზე რეაგირებას და მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით გარკვეული ნაბიჯების დაგეგმვასა და განხორციელებას. რეაგირების ანგარიშები უკვე განხორციელებული ან დაგეგმილი აქტივობების შესახებ ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანგარიშგებისა და შეფასების მიზნით. აღნიშნული კვლევები ევროპის უნივერსიტეტში ხორციელდება ყოველწლიურად (დეტალებისთვის იხ. დანართი #9 - პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის და სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი და საყურადღებო საკითხებზე რეაგირების ანგარიშები).

**3.3.3. სტუდენტების კმაყოფილების კვლევა მათთან შეხვედრების ჩატარების გზით.** 2020-2021 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში ხარისხის უზრუნველოფის სამსახურმა განახორციელა სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა მათთან შეხვედრებისა და შეხვედრებზე კონკრეტული საკითხების განხილვის გზითაც. შეხვედრების სერია შექმნილი პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე განხორციელდა ონლაინ რეჟიმში, ელექტრონული პლატფორმის (zoom.us) გამოყენებით. შეხვედრები განხორციელდა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ჯგუფებთან. შევედრებზე მოწვეული იყო შეხვედრაში მონაწილეობის მსურველი ყველა სტუდენტი.

შეხვედრის ფარგლებში, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს მიეწოდა ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მათი კომუნიკაციის შესაძლებლობების შესახებ. მოკლედ ეცნობათ შიდა სამართლებრივი აქტებით დარეგულირებული სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, ამასთანავე, მიეწოდათ ინფორმაცია აღნიშნული დოკუმენტების ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომობის შესახებ, განემარტათ თუ რა ტიპის ინფორმაციას შეიძლება გაეცნონ დოკუმენტებით, რომელიც უკავშირდება უნივერსიტეტში მათ უფლებებსა და ვალდებულებებს.

შეხვედრების მიზანს ასევე წარმოადგენდა, როგორც დისტანციურ რეჟიმში მიმდინარე სასწავლო პროცესისა და ადმინისტრირების საკითხების, ასევე, სტუდენტების მხრიდან, საგანმანათლებლო პროგრამების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სასწავლო და საგამოცდო პროცესების, მატერიალური და ტექნიკური ბაზის, ინფრასტრუქტურის ზოგადი შეფასება. შეხვედრები ასევე ემსახურებოდა მიზანს მომხდარიყო სტუდენტებისთვის ინფორმაციის გაზიარება იმის შესახებ თუ რა რეაგირებები განხორციელდა და რა ნაბიჯები გადაიდგა უნივერსიტეტის მიერ სტუდენტების მხრიდან წინა პერიოდში დაფიქსირებული რეკომენდაციების, კომენტარებისა და მოსაზრებების საპასუხოდ. სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ თავისუფლად დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით და დაესვათ შეკითხვები.

შეჯამდა და გაანალიზდა შეხვედრების შედეგები. გამოიყო სტუდენტთა მხრიდან დაფიქსირებული როგორც დადებითი შეფასებები, ასევე, საყურადღებო საკითხები. შეხვედრების შედეგების ანალიზი გაიგზავნა ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან, რომელთან დაკავშირებითაც გამოითქვა გარკვეული საყურადღებო საკითხები. ფაკულტეტებსა და სტრუქტურულ ერთეულებს ეთხოვათ რეგირების ნაბიჯების დაგეგმვა, განხორციელება და რეაგირების ანგარიშების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის მიწოდება ანგარიშგებისა და შეფასებებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდა ფაკულტეტებისა და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ შედეგების გათვალისწინებისა და რეაგირებების შესახებ დეტალური უკუკავშირის გაგზავნა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის, რაც ემსახურება სტუდნეტთა მოტივაციის გაზრდას მომავალში აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამსახურის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში, მათთვის რეგირებების რეალური შედეგების დემონსტრირების გზით (იხ. დანართი #10 - სტუდენტებთან შეხვედრების შემაჯამაბელი ანგარიშები, შეფასების შედეგებზე სტრუქტურული ერთეულების რეაგირების ანგარიშები).

**3.3.4. საგამოცდო პროცესების შეფასება სტუდენტების მიერ.** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით ხდება სტუდენტების მიერ საგამოცდო პროცესების შეფასებაც. აღნიშნული მიზნით ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა შუალედური და დასკვნითი გამოცდების დასრულების შემდეგ. გამოკითხვის პროცესში სტუდენტები აფასებენ საგამოცდო პროცესების ორგანიზების საკითხებს, საგამოცდო საკითხების სილაბუსის შინაარსთან და სილაბუსით განსაზღვრულ საგამოცდო დავალებებთან შესაბამისობას, გამოცდების მსვლელობისას საჭირო ინსტრუქციებით სტუდენტის უზრუნველყოფის, ასევე, გამოცდის დამკვირვებელთა ორგანიზებულობის საკითხებს. აღნიშნული საშუალებას აძლევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეაფასოს ზოგადად საგამოცდო პროცესების მიმდინარეობა და ორგანიზება, სტუდენტების აღნიშული პროცესებით კმაყოფილება,

ამასთან, მოახდინოს შესაძლო გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და უზრუნველყოს მათი გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობა.

2020-2021 აკადემიურ წელს ჩატარებული შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზება და მიმდინარეობა ძირითადად დადებითად იქნა შეფასებული სტუდენტების მიერ: შეკითხვაზე „საერთო ჯამში გამოცდები იყო კარგად ორგანიზებული“, გამოკითხული სტუდენტების უმეტესობა დადებითად პასუხობს, კერძოდ, აღნიშნული შეკითხვის შეფასება სამივე ფაკულტეტის სტუდენტების მიერ შუალედური და დაკსვნითი გამოცდების შემთხვევაში უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.23 ქულა. შეფასების შედეგები ფაკულტეტების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად: ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი - საშუალოდ 4.35 ქულა, მედიცინის ფაკულტეტი - საშუალოდ 3.83 ქულა, სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - საშუალოდ 4.50 ქულა. შეფასების შედეგები შუალედური და დასკვნითი გამოცდების მიხედვით თითოეულ ფაკულტეტზე შემდეგნაირად ნაწილდება:

### ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი



## მედიცინის ფაკულტეტი




## სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი




**შენიშვნა:** ვინაიდან სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე მიმდინარეობს ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამის საკრედიტაციოდ მზადება, შესაბამისად, ფაკულტეტზე არ ირიცხება სტუდენტები და არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, აღნიშნულ ფაკულტეტზე საგამოცდო პროცესების შეფასება 2020-2021 აკადემიურ წელს არ განხორციელებულა.

მიღებული შედეგების ანალიზი, ანალიზის შედეგებად გამოვლენილი საყურადღებო საკითხები ეგზავნება საგამოცდო ცენტრს რეაგირებისთვის. საგამოცდო ცენტრი სტუდენტთა კმაყოფილების გაზრდისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელებული სამუშაოებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ანგარიშს აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განხორციელებული ნაბიჯების შეფასებისა და მონიტორინგის

მიზნით. 2020-2021 აკადემიური წლის შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზებისა და მიმდინარეობის შეფასების მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად რიგ შემთხვევებში გამოვლენილია კონკრეტული საყურადღებო საკითხები, რომელთა გაუმჯობესების მიმართულებით მუდმივად მუშაობს საგამოცდო ცენტრი, ცენტრის მიერ რეაგირების მიზნით უკვე გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები. ასევე აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში არ გამოკვეთილა რეაგირების საჭიროებები (დეტალებისთვის იხ. დანართი #13 - საგამოცდო პროცესების შეფასების შედეგები, შედეგების ანალიზი, შეფასების შედეგებზე საგამოცდო ცენტრის რეაგირების ანგარიშები).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შუალედური და დასკვნითი გამოცდების დასრულების შემდეგ საგამოცდო ცენტრისგან გამოითხოვს ანგარიშს გამოცდების მიმდინარეობის დროს სტუდენტთა გამოცდებიდან მოხსნის, მოხსნის მიზეზების, საგამოცდო შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების, სააპელაციო განაცხადების დაკმაყოფილების/არ დაკმაყოფილების, ასევე, სააპელაციო განაცხადების დაკმაყოფილების/არ დაკმაყოფილების მიზეზების შესახებ. საგამოცდო ცენტრი დანართების სახით წარმოადგენს სტუდენტთა სააპელაციო განაცხადების განხილვის, განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების დამადასტურებელ ოქმებს. ანგარიში ემსახურება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული პროცესების რეგულირებისა და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინების საკითხების შეფასებას. 2020-2021 აკადემიურ წელს საგამოცდო ცენტრის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარდგენილი ანგარიშების თანახმად დაფიქსირებულია დასაბუთებული მიზეზით სტუდენტთა გამოცდიდან მოხსნის შემხთხვევები, დაფიქსირებულია ასევე სტუდენტთა სააპელაციო განაცხადებით მიმართვის შემთხვევები, არის სტუდენტთა მოთხოვნების დასაბუთებულად დაკმაყოფილებისა და დასაბუთებულად უარყოფის შემთხვევები.

საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის ზემოაღნიშნული ანგარიშების მიხედვით საგამოცდო ნაშორმების შეფასებიდან მოხსნის შემთხვევების რაოდენობა და შეფასებიდან მოხსნის მიზეზები შემდეგნაირად ნაწილდება 2020-2021 აკადემიურ წელს ჩატარებულ შუალედურ და დასკვნით გამოცდებს შორის:




საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის იმავე ზემოაღნიშნული ანგარიშების მიხედვით აპელაციის შემთხვევების რაოდენობა და აპელაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შემთხვევები შემდეგნაირად ნაწილდება 2020-2021 აკადემიურ წელს ჩატარებულ შუალედურ და დასკვნით გამოცდებს შორის:




**შენიშვნა:** საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიშისა და კომისიის წარმოდგენილი ოქმების მიხედვით აპელაციის მოთხოვნის არ დაკმაყოფილების შემთხვევები უკავშირდება შემდეგ გარემოებას: შეფასებები გადამოწმდა კომისიური წესით, თუმცა კომისიამ არ ჩათვალა აპელაციის დაკმაყოფილებისა და შეფასების გაზრდა მიზანშეწონილად, რადგან ნაშრომი არ იძლეოდა შეფასების გაზრდის საფუძველს.

ამდენად, 2020-2021 აკადემიურ წელს ზემოაღნიშნული შეფასებების შედეგად საყურადღებო საკითხები არ გამოვლენილა და შესაბამისად, არ დამდგარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან რეაგირების მოთხოვნის საჭიროება (იხ. დანართი #14 - საგამოცდო

ცენტრის ანგარიშები ნაშრომების შეფასებიდან მოხსნისა და აპელაციის შემთხვევების შესახებ).

**3.3.5. პრაქტიკის კომპონენტის შეფასება სტუდენტების მიერ.** პრაქტიკის კომპონენტის შეფასება ხორციელდება სტუდენტების მიერ პრაქტიკის კომპონენტის დასრულების შემდეგ. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის კომპონენტის შეფასება ემსახურება პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში მიღებული ცოდნითა და უნარებით სტუდენტის კმაყოფილების კვლევას და ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ფასდება უნივერსიტეტისა და პრაქტიკის ობიექტის მიერ გაწეული საორგანიზაციო საკითხები, პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ პრაქტიკის მიმდინარეობის ზედამხედველობა, მენტორის მიერ პრაქტიკის პროცესის ზედამხედველობა, მენტორისგან საჭირო ინსტრუქციების მიღება, პრაქტიკის ფარგლებში ცოდნისა და უნარების მიღების უზრუნველყოფაში მენტორის დახმარება, პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტის მიერ მიღებული ძირითადი სწავლის სფეროსთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები, სილაბუსით განსაზღვრული საქმიანობის და დროის შესრულების უზრუნველყოფა მენტორის მიერ. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ასევე სახელდება და ფასდება პრაქტიკის სილაბუსით დადგენილი ცოდნისა და უნარების გამომუშავების ხელის შემშლელი მიზეზები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება ხორციელდება სტუდენტების მიერ კლინიკური სასწავლო კურსების დასრულების შემდეგ. სტუდენტის მიერ კლინიკისა და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება ემსახურება კლინიკური სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნითა და უნარებით სტუდენტის კმაყოფილების კვლევას და ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის კლინკური სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ფასდება პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) მიერ გაწეული საორგანიზაციო საკითხები, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის საჭირო კლინიკის აღჭურვილობა, კლინიკური სასწავლო კურსების ფარგლენში სტუდენტის მიერ მიღებული ძირითადი სწავლის სფეროსთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები, კლინიკური სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი ცოდნისა და უნარების ლექტორის ზედამხედველობის ქვეშ პაციენტზე/მანეკენზე დემონსტრირების საშუალებით სტუდენტის უზრუნველყოფა, სილაბუსით განსაზღვრული დროის შესრულების უზრუნველყოფა ლექტორის მიერ. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ასევე სახელდება და ფასდება კლინიკური სასწავლო კურსების სილაბუსით დადგენილი ცოდნისა და უნარების გამომუშავების ხელის შემშლელი მიზეზები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2020-2021 აკადემიურ წელს პრაქტიკის კომპონენტის შეფასება სტუდენტების მიერ განხორციელდა სამივე ფაკულტეტზე, ბიზნესისა და ტექნოლოგიების, მედიცინის და სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.

## ბიზნესისა და ტექნოლოგიების და სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების და სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული პრაქტიკის კომპონენტისა და პრაქტიკის ობიექტების შეფასების შედეგები ცალსახად დადებითია: შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ რამდენად კმაყოფილი ხართ ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით“, გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის 4.2 ქულა. ასევე დადებითი შეფასებები ფიქსირდება შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით: „გთხოვთ, შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული ცოდნა, რაც პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეიძინეთ“ და „გთხოვთ შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული უნარები, რაც პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეიძინეთ“. პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეძენილი ცონდა გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების მიერ 5 ქულიდან 4.3 ქულით შეფასდა, ხოლო, პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით გამომუშავებული უნარები 5 ქულიდან 4.5 ქულით შეფასდა:



## მედიცინის ფაკულტეტი

მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული კლინიკური სასწავლო კურსებისა და კლინიკის შეფასების შედეგები ასევე დადებითია: შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის საჭირო კლინიკების აღჭურვილობით (პროექტორი, კომპიუტერი, სასწავლო მულაჟები)", გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის 4 ქულა. ასევე დადებითი შეფასებები ფიქსირდება შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით: „გთხოვთ, შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული ცოდნა, რაც კლინიკური სასწავლო კურსების ფაგლებში შეიძინეთ" და „გთხოვთ შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული უნარები, რაც კლინიკური სასწავლო კურსების ფაგლებში შეიძინეთ". კლინიკური სასწავლო კურსებით შეძენილი ცონდა გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების მიერ 5 ქულიდან 4 ქულით შეფასდა, ხოლო, კლინიკური სასწავლო კურსებით გამომუშავებული უნარები 5 ქულიდან 3.8 ქულით შეფასდა:




**შენიშვნა:** ვინაიდან სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე მიმდინარეობს ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამის საავრედიტაციოდ მზადება, შესაბსამისად, ფაკულტეტზე არ ირიცხება სტუდენტები და არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, აღნიშნულ ფაკულტეტზე პრაქტიკის კომპონენტისა და პრაქტიკის ობიექტების შეფასება 2020-2021 აკადემიურ წელს არ განხორციელებულა.

შეფასების შედეგების მიხედვით, 2020-2021 აკადემიური წლის გამოკითხვის შედეგად საყურადღებო საკითხებიც გამოვლინდა და შესაბამისად, მოხდა შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საყურადღებო საკითხების ფაკულტეტის ადმინისტაციისთვის

გაზიარება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდა რეაგირების შესახებ ანგარიშის გამოთხოვა საყურადღებო საკითხებზე განხორციელებული რეაგირებების შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით. ფაკულეტის მხრიდან გაზიარებულია აღნიშნული რეაგირებების ანგარიშები, სადაც აღწერილია როგორც უკვე განხორციუელებული ქმედებები ასევე, სამომავლოდ დაგეგმილი რეაგირების საკითხები (იხ. დანართი #8 - პრაქტიკის კომპონენტის შეფასების შედეგები და შედეგების ანალიზი).

### 3.3.6. საერთაშორისო აკადემიური მობილობის შეფასება სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ.

სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება ხორციელდება პროგრამის მონაწილე სტუდენტების მიერ მობილობიდან დაბრუნების შემდეგ. გამოკითხვის მიზანია მოხდეს სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით კმაყოფილების შეფასება, კერძოდ, გამგზავნი და მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ გაწეული ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების, საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის ძირითადი ინტერესების, პროგრამაში მონაწილეობით მიღებული ცოდნისა და გამოცდილების, სხვა ტიპის შედეგების შეფასება. გამოკითხვა ასევე ემსახურება მობილობის პროგრამაში მონაწილეობისას, გამგზავნ და მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი დადებითი ან უარყოფითი შეფასებების დაფიქსირებას.

პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება ხორციელდება პროგრამის მონაწილე პერსონალის მიერ ასევე მობილობიდან დაბრუნების შემდეგ. გამოკითხვის მიზანია მოხდეს პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით კმაყოფილების შეფასება, კერძოდ, გამგზავნი და მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ გაწეული ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების, საერთაშორისო აკადემიურ მობილობის პროგრამაში მონაწილეობის ძირითადი ინტერესების, პროგრამაში მონაწილეობით კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლების, სხვა ტიპის შედეგების, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სასწავლო პროცესში გამოყენების შეფასება. გამოკითხვა ემსახურება მობილობის პროგრამაში მონაწილეობისას, გამგზავნ და მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი დადებითი ან უარყოფითი შეფასებების დაფიქსირებას.

2020-2021 აკადემიურ წელს საერთაშორისო აკადემიური მობილობით ისარგებლა ევროპის უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტმა, რომლის გამოკითხვაც განხორციელდა ზემოაღნიშნული საკითხების შეფასების მიზნით. გამოკითხვის შედეგები დადებითია: შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით“ გამოკითხული სტუდენტების შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან

4.33 ქულაა, ხოლო შეკითხვაზე „გთხოვთ შეაფასოთ ცოდნა და გამოცდილება რაც გაცვლით პროგრამაში მონაწილეობით შეიძინეთ“, გამოკითხული სტუდენტის შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის 4 ქულა. ასევე დადებითად შეფასდა სტუდენტის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობით სარგებლობის ფარგლებში მიღებული ისეთი შედეგები, როგორიცაა, საერთაშორისო კონტაქტების დამყარება, დამატებითი პრაქტიკული უნარების განვითარება, კარიერული შესაძლებლბების გაუმჯობესება, უცხო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება და ა.შ. აღნიშნული საკითხები საერთაშორისო მობილობის მონაწილე სტუდენტის მიერ უმაღლესი 5 ქულიდან შეფასდა 4 ან მეტი ქულით:




2020-2021 აკადემიურ წელს საერთაშორისო აკადემიური მობილობით ისარგებლა ევროპის უნივერსიტეტის პერსონალმაც, რომლის გამოკითხვაც განხორციელდა ზემოაღნიშნული საკითხების შეფასების მიზნით. გამოკითხვის შედეგები ამ შემთხვევაშიც დადებითია: შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით“ გამოკითხული პერსონალის შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან მაქსიმალური 5 ქულაა, ასევე დადებითად შეფასდა პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობით სარგებლობის ფარგლებში მიღებული ისეთი შედეგები, როგორიცაა, კვალიფიკაციის ამაღლება (სწავლების, კვლევითი და ა.შ. უნარების გაუმჯობესება), მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სასწავლო პროცესში გამოყენება, პროფესიური კონტაქტების დამყარება, უცხო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება და ა.შ. აღნიშნული საკითხები საერთაშორისო მობილობის მონაწილე პერსონალის მიერ უმაღლესი 5 ქულიდან შეფასდა 4 ან მაქსიმალური 5 ქულით:




2020-2021 აკადემიურ წელს ჩატარებული გამოკითხვისა და შეფასების შედეგების მიხედვით დამატებითი კომენტარი, გასაუმჯობესებელი და საყურადღებო საკითხი, კითხვარით გათვალისწინებული შესაძლებლობის მიუხედავად, პერსონალის მხრიდან არ დაფიქსირებულა და შესაბამისად, არ დამდგარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან რეაგირების მოთხოვნის საჭიროება. შეფასების შედეგები გასაცნობად გაეგზავნა შესაბამის სამსახურს. გამოვლინდა გარკვეული საყურადღებო საკითხები სტუდენტების შეფასებების ანალიზის საფუძველზე, შეფასების აღნიშნული შედეგები რეაგირებების მიზნით გაეგზავნა საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მიღებულია რეაგირების ანგარიში, სადაც აღწერილია გამოვლენილი საყურადღებო საკითხების საპასუხოდ განხორციელებული ქმედებები, ასევე, სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობები (იხ. დანართი #11 - საერთაშორისო აკადემიური მობილობის შეფასების შედეგები და შედეგების ანალიზი).

**3.3.7. მობილობით გადასული და მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვა.** ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ტარდება მობილობით უნივერსიტეტიდან გადასული და უნივერსიტეტში გადმოსული სტუდენტების გამოკითხვა ყოველი მობილობის დროს, უნივერსიტეტიდან სტუდენტთა გადასვლისა და გადმოსვლის მიზეზების მოკვლევის მიზნით. აღნიშნული გამოკითხვა ევროპის უნივერსიტეტში ჩატარდა 2020-2021 აკადემიურ წელსაც.

გამოკითხვის შედეგების თანახმად, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მიზეზად სტუდენტების მხრიდან დასახელდა რამდენიმე საკითხი: რესპონდენტთა 48% სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მიზეზად ასახელებს მობილობით არჩეული უნივერსიტეტის ადგილმდებარეობას, 20% - მობილობით არჩეული უნივერსიტეტის სწავლის საფასურსა და გადახდის პირობებს, 4%-ის

მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მიზეზად სახელდება ის ფაქტი, რომ მობილობით არჩეულ უნივერსიტეტში არსებობს საგამანათლებლო პროგრამა, რომელზეც მას სურს სწავლის გაგრძელება, 4%-ის მიერ გადასვლის მიზეზად სახელდება სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა, 8%-ის მიერ კი ის ფაქტი რომ არჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მათი აზრით უფრო მარტივია სწავლა. გამოკითხვის შედეგად იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც მობილობის მონაწილე სტუდენტების მიერ სახელდება ევროპის უნივერსიტეტის ძლიერ მხარედ: საგანმანათლებლო პროგრამების და სწავლების მაღალი ხარისხი, სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი, თვითგანვითარების შესაძლებლობები, პროფესიული და კარიერული ზრდის შესაძლებლობა და ა.შ. ამასთანავე გამოკითხვისა და შეფასებების შედეგად გამოვლინდა რამდენიმე საყურადღებო საკითხი, კერძოდ, გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების მიერ ევროპის უნივერსიტეტის სუსტ მხარედ დასახელდა ისეთი საკთხები, როგორიცაა სტუდენტური ცხოვრება, კვლევა, გამოკითხულთა მცირე ნაწილის მიერ დაფიქსირდა ისეთი საკითხებიც, რომელიც გამოკითხვის პროცესში ასევე გამოკვეთილი იყო, როგორც უნივერსიტეტის ძლიერი მხარე (მაგ. პროფესიული და კარიერული ზრდის შესაძლებლობები). კითხვარი იძლეოდა რესპონდენტების მხრიდან დამატებითი კომენტარებისა და განმარტებების დაფიქსირების შესაძლებლობას, დამატებითი საყურადღებო საკითხების, ან დასახელებულ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი განმარტებების მოვლენის მიზნით.

მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვის შედეგად იკვეთება, რომ ევროპის უნივერსიტეტში მათი გადმოსვლა განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით: ევროპის უნივერსიტეტში ისეთი საგამანათლებლო პროგრამის არსებობა, რომელზეც სწავლობდა სტუდენტი (კრედიტების თავსებადობა), ევროპის უნივერსიტეტში არსებობდა სხვა საგამანათლებლო პროგრამა, რომელზეც სწავლის გაგრძელება სურდა რესპონდენტს, სწავლის საფასური / გადახდის პირობები, უნივერსიტეტის ადგილმდებარეობა, ევროპის უნივერსიტეტში უფრო ხარისხიან განათლების მიღების შესაძლებლობები. გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული საყურადღებო საკითხებიც, მაგალითად, ევროპის უნივერსიტეტში გადმოსვლის მიზეზად უფრო მარტივად სწავლის დასახელება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი რესპონდენტთა მცირე ნაწილის (მხოლოდ ერთი რესპონდენტის) მიერ დასახელდა გადმოსვლის მიზეზად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროპის უნივერსიტეტში გადმომსვლელთა აბსოლუტური უმრავლესობა (81%) გადმოსვლის მიზეზად ევროპის უნივერსიტეტში უფრო ხარისხისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას ასახელებს.

ევროპის უნივერსიტეტში ანდა უნივერსიტეტიდან მობილობით გადმოსვლის და გადასვლის მიზეზები რესპონდენტთა შორის შემდეგნაირად ნაწილდება:




აღსანიშნავია, რომ კითხვარი იძლევა რესპონდენტის მიერ გადასვლის/გადმოსვლის რამდენიმე მიზეზის მონიშვნის შესაძლებლობას.

ამდენად, გამოკითხვის შედეგად მიღებული შეფასებები ძირითადად დადებითია, თუმცა ბუნებრივია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდა შეფასების მიღებული შედეგების გაანალიზება და ანალიზის შედეგებით გამოვლენილი გარკვეული საყურადღებო საკითხების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან გაზიარება გაცნობისა და რეაგირებების მიზნით. სტრუქტურული ერთეულების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გაზიარებულია განხორციელებული რეაგირებებისა თუ დაგეგმილი საპასუხო აქტივობების შესახებ ინფორმაცია შესაბამისი ანგარიშის საშუალებით ანგარიშგებისა და შეფასებების მიზნით (დეტალებისთვის იხ. დანართი #12 - მობილობის მონაწილე სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და რეაგირების ანგარიშები).

## თავი 4. კვლევა

კვლევითი საქმიანობის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების კიდევ ერთი მიმართულებაა და გულისხმობს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებასა და ანალიზს.

### 4.1. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასება

კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრთან. ცენტრის მიერ ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისგან სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის გამოთხოვა. პერსონალის შეფასების წესის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის შესაძლო სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები და თითოეული აქტივობისთვის განკუთვნილია შეფასება. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში აკადემიური პერსონალის მიერ ივსება ყოველწლიურად და წარედგინება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს. აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ დადასტურებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ანგარიშები მიეწოდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთნ ერთად ახდენს შედეგების გაანალიზებას და აკადემიური პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირებას, ასევე, სამომავლო აქტივობების დაგეგმვასა და ორგანიზებას აკადემიური პეროსნალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით.

ზემოაღნიშნული წესი თითოეული აკადემიური პოზიციის შემთხვევაში განსაზღვრავს მინიმალურ მოთხოვნებს (მინიმალური ქულების მოცულობას). დადგენილი მინიმალური მოთხოვნების და კმაყოფილების შემთხვევაში უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი იღებს წესით დადგენილი მოცულობის ანაზღაურებას, რაც უნივერსიტეტის მხრიდან მათი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსურ მხარდაჭერად განიხილება. აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება აღნიშნული წესით ევროპის უნივერსიტეტში განხორციელდა 2020-2021 აკადმემიური წლის ბოლოს (განხორციელებული შეფასებების, მიღებული შედეგებისა და ცენტრის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით აგანხორციელებული აქტივობების შესახებ დეტალებისთვის იხ. წინამდებარე ანგარიშის 3.2.1. პუნქტი - აკადემიური პერსონალის შეფასება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით).

### 4.2. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის შეფასება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის გზით

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საჭიროებების დადგენისა და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ცენტრის ხელმძღვანელისგან გამოითხოვს ანგარიშს საერთაშორისო საგრანტო კონკურსში, ადგილობრივ საგრანტო კონკურსში, საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსში ევროპის უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის შესახებ. ანგარიშის მიხედვით ფასდება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიმართულებით აკადემიური პერსონალის აქტივობა. შესაძლოა გაიცეს

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

რეკომენდაციები აღნიშნული მიმართულებით ცენტრის მხრიდან ინფორმაციის მეტად გაზიარების ან/და აქტივობების მეტად ინტენსიურად დაგეგმვასთან დაკავშირებით (იხ. დანართი #17 - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვენელის ანგარიში უნივერსიტეტის პერსონალის საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის შესახებ). 2020-2021 აკადემიურ წელს წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად:

1. სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის და ასევე ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მიერ შეტანილ იქნა თითო განაცხადი საერთაშორისო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით:

| # | ფაკულტეტი | საგრანტო განაცხადის დასახელება/თემატიკა | ფონდი/ ორგანიზაცია, სადაც წარდგენილ იქნა გრანტი | სტატუსი |
|---|---|---|---|---|
| 1 | სამ. ჰუმ. და სოც. მეცნ. ფაკულტეტი | კორონა ვირუსის გამო სამსახურიდან დათხოვნილი მუშა-მოსამსახურეების სამართლებრივი დახმარება | European Commission: Eastern Partnership Civil Society Facility | არ დაფინანსდა |
| 2 | ბიზნესისა და ტექნ. ფაკულტეტი | დიგიტალიზაციის ეკონომიკა | Small Grant Proposals - NBER (National Bureau of Economic Research) | არ დაფინანსდა |

2. ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მიერ შეტანილ იქნა სამი განაცხადი, სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ შეტანილ იქნა ოთხი განაცხადი და მედიცინის ფაკულტეტის მიერ შეტანილ იქნა ერთი განაცხადი ადგილობრივ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით:

| # | ფაკულტეტი | საგრანტო განაცხადის დასახელება/თემატიკა | ფონდი/ ორგანიზაცია, სადაც წარდგენილ იქნა გრანტი | სტატუსი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბიზნესისა და ტექნ. ფაკულტეტი | SP-21-711 „ეკონომიკური კვლევეის მეთოდოლოგია“ | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | არ დაფინანსდა |
| 2 | მედიცინის ფაკულტეტი | SPG-21-472 ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი საჯარო პრეზენტაციების სერია | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | დაფინანსდა |
| 3 | სამ. ჰუმ. და სოც. მეცნ. ფაკულტეტი | FR-21-27735 ქართული კონკურენციის სამართალი და | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | არ დაფინანსდა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | პოლიტიკა ციფრული ეკონომიკის ეპოქაში | | |
| 4 | ბიზნესისა და ტექნ. ფაკულტეტი | FR-21-12823 პოსტპანდემიის პერიოდში ევროკავშირის ქვეყნების ბიზნესგარემოს სოციოკულტურული დეტერმინანტები და სამართლებრივი რეგულირების პრობლემები | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | არ დაფინანსდა |
| 5 | ბიზნესისა და ტექნ. ფაკულტეტი | FR-21-31759 საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და საინვესტიციო პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები: მოდელები და ტექნოლოგიები | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | არ დაფინანსდა |
| 6 | სამ. ჰუმ. და სოც. მეცნ. ფაკულტეტი | SP-21-408 უცილებელი მოგერიებითა და უკიდურესი აუცილებლობით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | არ დაფინანსდა |
| 7 | სამ. ჰუმ. და სოც. მეცნ. ფაკულტეტი | Georgia's renewable energy regulation outlook | სლოვაკეთის საელჩო საქართველოში | არ დაფინანსდა |
| 8 | სამ. ჰუმ. და სოც. მეცნ. ფაკულტეტი | The Legal Literacy of Secondary Schools Pupils Through the Creation of an Online Information Platform Related to Cybersecurity, Prevention of Antisocial Habits, and Criminal Behavior of Juveniles | ბულგარეთის საელჩო საქართველოში | შედეგები არ არის ცნობილი |

3. სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის (გვანცა ჩადუნელის) მიერ მოხდა განაცხადის შეტანა ინდივიუალურ საერთაშორისო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით:

| # | ფაკულტეტი | საგრანტო განაცხადის დასახელება/თემატიკა | ფონდი/ ორგანიზაცია, სადაც წარდგენილ იქნა გრანტი | სტატუსი |
|---|---|---|---|---|
| 1 | სამ. ჰუმ. და სოც. მეცნ. ფაკულტეტი | კონცენტრაციების კონტროლი საქართველოში: სამართლებრივი და ეკონომიკური კრიტერიუმების გავლენა | განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა | დაფინანსდა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | კონკურენციასა და მომხმარებლების კეთილდღეობაზე (აპლიკანტი - გვანცა ჩადუნელი) | ასოციაციის საგრანტო კონკურსი | |

4. ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის, ასევე მედიცინის ფაკულტეტის მიერ შეტანილ იქნა თითო განაცხადი ევროპის უნივერსიტეტის შინა საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით:

| # | ფაკულტეტი | საგრანტო განაცხადის დასახელება/თემატიკა | ფონდი/ ორგანიზაცია, სადაც წარდგენილ იქნა გრანტი | სტატუსი |
|---|---|---|---|---|
| 1 | მედიცინის ფაკულტეტი | ტუბერკულოზის პრევენციული მკურნალობის გავლენის ეპიდემიოლოგიური ანალიზი აქტიური ტუბერკულოზის განვითარებაში'' | ევროპის უნივერსიტეტი | დაფინანსდა |
| 2 | ბიზნესისა და ტექ. ფაკულტეტი | უმაღლესი განათლების თანამედროვე გამოწვევები, შრომის ბაზარი და სამეწარმეო აქტიურობის განვითარება | ევროპის უნივერსიტეტი | დაფინანსდა |

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ანგარიშის თანახად სახეზეა ფაკულტეტების მხრიდან საკმაო აქტიურობა, ადგილობრივ, საერთაშორისო თუ შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტებში მონაწილეობის მიზნით. არის პროექტების დაფინანსების შემთხვევები როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დროს.

ევროპის უნივერსიტეტის პერსონალის მიერ შეტანილი საგრანტო პროექტების განაცხადებისა და მათი დაფინანსების შესახებ მონაცემები შემდეგნარიად გამოიყურება:




### 4.3. საგრანტო პროექტების მიმდინარეობისა და შედეგების მნიშვნელობის შეფასება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ

დაფინანსებული საგრანტო პროექტების მიმდინარეობის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ შეფასებისა და უნივერსიტეტისთვის პროექტის შედეგების მნიშნელობის გაანალიზების მიზნით ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია საგრანტო პროექტების მიმდინარეობის შეფასების კვარტალური ანაგრიშის ფორმა. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ გაანალიზებულია 2020-2021 აკადემიურ წელს მიმდინარე და დასრულებული საუნივერსიტეტო პროექტის შედეგები და შეფასებულია პროექტის შედეგების მნიშვნელობა უნივერსიტეტისთვის. აღნიშნული შეფასება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ განხორციელდა საგრანტო პროექტების მიმდინარეობის/დასრულების შესახებ ფაკულტეტისგან მიღებული ანგარიშების საფუძველზე. აღნიშნული ანაგრიშები საშუალებას იძლევა შეფასდეს პროექტების სამეცნიერო პროდუქტიულობა, მაგალითად, მოხდა თუ არა პროექტის ფარგლებში პუბლიკაციების გამოქვეყნება, ან სხვა რაიმე სახის პროდუქტის, შედეგის მიღება, მოხდა თუ არა პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგების გავრცელება სხვადასხვა ღონისძიებების საშუალებით. ანგარიში ასევე იძლევა საშუალებას შეფასდეს პროექტის ძირითადი მიღწევები, პროექტის პრაქტიკული ღირებულება ან/და შედეგების საგანმანათლებლო პროცესებში გამოყენების გეგმა (დეტალებისთვის იხ. დანართი #18 - კვლევითი საგრანტო პროექტის მიმდინერეობის ანგარიშები). 2020-2021 აკადემიურ წელს მიმდინარე და დასრულებული შიდა საუნივერსიტეტო პროექტის შედეგები წარმოდგენილი ანგარიშების შეფასების მიხედვით შემდეგია:

**საგრანტო პროექტი „ტუბერკულოზის პრევენციული მკურნალობის გავლენის ეპიდემიოლოგიური ანალიზი აქტიურიტუბერკულოზის განვითარებაში“.** პროექტის ხანგრძლივობა: 2 წელი (48 თვე). პროექტის ბიუჯეტი: 49 200 ლარი. სტატუსი: მიმდინარე.

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: ევროპის უნივერსტიეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, ეკა კოხრეიძე, პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო ასევე ევროპის უნივერსიტეტის სხვა აკადემიური პერსონალიც და ამასთანავე, მედიცინის ფაკულტეტის სამი სტუდენტი.

კვლევის ამოცანას, აქტიური ტუბერკულოზის მქონე პირთა კონტაქტებში პრევენციული მკურნალობის რეჟიმის იმპლემენტაციაზე, მკურნალობის დამყოლობაზე, გვერდით მოვლენებსა და პრევენციული მკურნალობის დასრულებაზე დაკვირვება წარმოადგენს. კვლევა არის პროსპექტული კოჰორტული კვლევა. კვლევაში ჩართულია ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ამბულატორიული დეპარტამენტი მის დაქვემდებარებაში მყოფი ყველა ფტიზიატრით, ასევე ოთხი რეგიონი: ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, კახეთი და იმერეთი. მონაცემების შეგროვება ხორციელდება სტრუქტურირებული ღია და დახურული კითხვარების მიხედვით, რომლებსაც ავსებენ პაციენტის პირადი ექიმები. დღემდე განხორციელდა 200-მდე პაციენტის ჩართვა კვლევაში და ფორმების შევსება.

რაც შეეხება კვლევითი პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების / კვლევის შედეგებისა და პროექტის ძირითადი მიღწევების შეჯამებას, პროექტი მიმდინარეა და შედეგების ჩამოყალიბება მოხდება პროექტის დასრულების მომენტისთვის. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით კვლევის ანგარიში და სამეცნიერო პუბლიკაცია გამოქვეყნებული იქნება საერთაშორისო სამეცნიოერო ჟურნალში, ასევე წარდგენილი იქნება შესაბამის საერთაშორისო კონფერენციაზე, მაგალითად: World Union.

კვლევას გააჩნია შემდეგი მნიშვნელობა და ღირებულებები: ტუბერკულოზის განვითარების საწინააღმდეგოდ არსებული პრევენციული თერაპიის ახალი (მოკლე) რეჟიმების გავლენა შემდგომში აქტიური ტუბერკულოზის განვითრებაზე მნიშვნელოვანი სიახლე იქნება სამეციერო საზოგადოებისთვის ამ დარგში, რადგან ეს არის სრულიად ახალი რეკომენდაცია და სამეცნიერო კუთხით ახლა მიმდინარეობს მისი შესწავლა.

**საგრანტო პროექტი „უმაღლესი განათლების თანამედროვე გამოწვევები, შრომის ბაზარი და სამეწარმეო აქტიურობის განვითარება“.** პროექტის ხანგრძლივობა: 6 თვე. პროექტის ბიუჯეტი: 8 775 ლარი. სტატუსი: დასრულებული. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: ევროპის უნივერსტიეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, გივი ბედიანაშვილი, პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო ასევე ევროპის უნივერსიტეტის სხვა აკადემიური პერსონალიც და ამასთანავე, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის მიზანია ადამიანისეული კაპიტალის უნარ-ჩვევებზე სამეწარმეო სფეროს მოთხოვნების გამოვლენა, მათთან მიმართებით შრომის ბაზარზე არსებულ დისბალანსის იდენტიფიცირება, უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების სწავლა-სწავლებითი საქმიანობის მოთხოვნად უნარ-ჩვევებთან შესაბამისობის დადგენა, არსებული გამოწვევების დაფიქსირება და ცალკეული რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

კვლევითი პროექტის ფარგლებში გამოიცა სამეცნიერო სტატია, მომზადდა საკონფერენციო მოხსენება, გამოიცა საკონფერენციო თეზისი და გაიმართა პანელური დისკურსია:




კვლევითი პროექტის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა სამეცნიერო სტატია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში:

1. ბედიანაშვილი, გ. ბიჭია, ქ. ნაცვლიშვილი, ე., სამეწარმეო აქტიურობის განვითარება, შრომის ბაზარი და უმაღლესი განათლების თანამედროვე გამოწვევები, გლობალიზაცია და ბიზნესი, #12, 2021, უნივერსალი, გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი:

   https://eugb.ge/view_content.php?content=content&id=341&DEVELOPMENT%20OF%20ENTREPRENEURIAL%20ACTIVITY,%20LABOR%20MARKET%20AND%20MODERNCHAL LENGES%20OF% 20HIGHER%20E DUCATION/https://doi.org/10.35945/gb.2021.12.002

კვლევითი პროექტის ფარგლებში ასევე მომზადდა საკონფერენციო მოხსენება და გამოიცა საკონფერენციო თეზისი:

1. ბედიანაშვილი, გ. ბიჭია, ქ. ნაცვლიშვილი, ე., მ ეწარმეობა, შრომის ბაზარი და უმაღლესი განათლება: თანამედროვე გამოწვევები, ქტუალური ეკონომიკური და სოციალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში, 8-9 ივლისი, 2022, უნივერსალი, გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი.

კვლევითი პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგების გავრცელების მიზნით ჩატარდა პანელური დისკურსია თემაზე „შრომის ბაზრისა და სამეწარმეო აქტიურობის განვითარების

თანამედროვე გამოწვევები“, გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი (ZOOM), 11.11.2021: http://eu.edu.ge/ge/news/1708-evropis-universitetis-globalizatsiis-ekonomikuri-da-sotsialuri-problemebis-kvleviti.

კვლევის პროცესში ჩამოყალიბდა ეფექტიანი თანამშრომლობა ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიცაა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, საქართველოს სტუდენტური პარლამენტი, ასევე ცალკეული ინოვაციური კომპანიები კერძო სექტორიდან.

კვლევას გააჩნია შემდეგი მნიშვნელობა და ღირებულებები: კვლევითი პროექტი საინტერესოა სამეცნიერო საზოგადოებისთვის როგორც შრომის ბაზრის და უმაღლესი განათლების სამეწარმეო სფეროს მოთხოვნებზე მიზნობრივი ორიენტაციის კონცეფტუალური მოდელი. სამეცნიერო პროექტის ფარგლებსი მიღებული კვლევის შედეგები და მიგნებები გაზიარდება საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან, სამეწარმეო სფეროს დაინტერესებულ სუბიექტებთან ორგანიზებული ვებინარების და კონფერენციების ფორმატებში.

კვლევის მნიშვნელობა და ღირებულება გამოიხატება კვლევის შედეგების საგანმანათლებლო პროცესში გამოყენების მხრივაც, კერძოდ, კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას საგანმანათლებლო პროცესში ისეთი სასწავლო კურსების სწავლებისას, როგორიცაა: ბიზნესის საფუძვლები, მეწარმეობა, ბიზნესის ანალიტიკა. კვლევის შედეგები ასევე შეიძლება გამოიყენოს ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ფარგლებში სხვადასხვა პროგრამისთვის ბაზრის კვლევისას.

### 4.4. პლაგიატის შემთხვევების შეფასება

ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია დოკუმენტი „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები“, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ობიექტურად განხორციელების უზრუნველყოფას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრებას, ასევე, ხელს უწყობს უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობისა და პასუხისმგებლობის დონის, საუნივერსიტეტო საზოგადოებაში უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას, მაღალი აკადემიური სტანდარტების დანერგვისათვის ქცევის ნორმების რეგულირებასა და პასუხისმგებლობის ფორმების დამკვიდრებას. დოკუმენტის მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიურ, მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალზე, ასევე, უნივერსიტეტის სტუდენტებზე და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და გამოცემებში ჩართულ პირებზე.

პლაგიატის აღმოჩენისა და ამ კუთხით ნაშრომების შეფასების მიზნით evropis უნივერსიტეტში გამოყენებულია ელექტრონული პროგრამა: https://www.turnitin.com/. აღსანიშნავია, რომ

უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების მიხედვით პროგრამა გამოიყენება არამხოლოდ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შემოწმების მიზნით, არამედ ფართოდ გამოიყენება სასწავლო პროცესში ყველა ისეთი წერითი დავალების (ესსე, რეფერატი, პროექტი და ა.შ.) შესამოწმებლად, სადაც სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი ითხოვს დავალებაში გამოყენებული მასალისა და წყაროების მითითებას. სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი ვალდებულია წერით დავალებებში პლაგიატის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში ავტომატურად გაანულოს დავალების ქულა, ხოლო საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებში პლაგიატის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში ნაშრომის ხელმძღვანელები ნაშრომს აბრუნებენ სტუდენტებთან გადასამუშავებლად.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებულია სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმებისა და რეაგირების ანგარიში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს ფაკულტეტებისგან გამოითხოვს შევსებულ ანგარიშს, საგანმანათლებლო პროგრამების ფარლებში ზემოაღწერილი რეგულაციების შესრულების შეფასების მიზნით. ანგარიშის შევსება და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის მიწოდება ფაკულტეტის მხრიდან განხორციელდა 2020-2021 აკადემიური წლის ორივე სემესტრის ბოლოს. ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმების მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება სემესტრების მიხედვით:




ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით არის სტუდენტის მხრიდან ნაშრომის განულების გასაჩივრების ერთი შემთხვევა, რომელიც განხილულ იქნა კომისიური წესით, თუმცა ძლაში დარჩა ნაშრომის განულების საკითხი, რადგან დადასტურდა ნაშრომში პლაგიატის ნიშნების არსებობა.

შევსებული ანგარიშების შეფასების საფუძველზე დადასტურდა ფაკულტეტის მხრიდან საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში აღნიშნული მიმართულებით არსებული რეგულაციების შესრულება. ნაშრომები/წერითი დავალებები შემოწმებულია სხვადასხვა

საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (სადაც აღნიშნულის საჭიროება და შესაძლებლობაა). პლაგიატის ნიშნებზე შემოწმებულია ნაშრომებიც და სხვადასხვა ტიპის წერითი დავალებები, მათ შორის, ესსე, კვლევითი პროექტები, რეფერატები. ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შეფასების საფუძველზე საყურადღებო საკითხები არ გამოვლენილა, შესაბსამისად, არ დამდგარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან რეაგირებების მოთხოვნის საჭიროება (დეტალებისთვის იხ. დანართი #16 - სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმებისა და რეაგირების ანგარიშები).

## თავი 5. მართვის პროცესები

მართვის პროცესების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების კიდევ ერთი მიმართულებაა და ითვალისწინებს ადმინსიტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევას და ამ კუთხით უნივერსიტეტის მართვის პროცესების ეფექტიანობის შეფასებას. აღნიშნული გამოკითხვის შედეგად ხდება სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, თითოეული თანამშრომლის მხრიდან ხდება სტრუქტურული ერთეულების, სამსახურების, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან, ფუნქციებისა და მიზნების შეფასება, ადმინისტრაციული პერსონალი ასახელებს ფაქტორებს, რაც გაზრდიდა მათი ფუნქციების შესრულების ეფექტიანობას. ამასთანავე, სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ხდება მოსაზრებების, რჩევებისა და რეკომენდაციების გაზიარება ადმინისტრაციული თანამშრომლების მიერ. მართვის პროცესების შეფასება საშუალებას იძლევა შეფასდეს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების, სამსახურების მუშაობის ეფექტიანობა, გამოიკვეთოს აღნიშნულთან დაკავშირებული საყურადღებო საკითხები და გასაუმჯობესებელი მხარეები. მიღებული შედეგების გაანალიზების შედეგად შესაძლოა შემუშავდეს რეკომენდაციები კონკრეტული სამსახურებისა და სტრუქტურული ერთეულების მისამართით, მათ შორის მმართველი რგოლის მისამართითაც მიღებული შედეგების გაუმჯობესებისა და სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებსა და სამსახურებს, პირებს შესწავლისა და რეაგირებისთვის. აღნიშნული გამოკითხვა უნივერსიტეტში ჩატარდა 2020-2021 აკადემიური წლის ბოლოს, მოხდა შედეგების გაანალიზება. ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა საერთო ჯამში უნივერსიტეტთან თანამშრომლობით მათი მეტწილად კმაყოფილება: შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით თქვენს ზოგად კმაყოფილებას“, ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.5 ქულა.

შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: პერსონალის 54% მაქსიმალური 5 ქულით აფასებს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას, 44% - 4 ქულით, ხოლო 2% - 3 ქულით:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება | 0.00% | 0.00% | 2.00% | 44.00% | 54.00% | 4.50 ქულა |

გამოკითხვის შედეგად ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სახელდება მნიშნელოვანი დადებითი შეფასებები და უნივერსიტეტის მართვასთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის არაერთი ძლიერი მხარე, მათ შორის:

- გუნდური მუშაობა
- თანამშრომელთა პროფესიონალიზმი
- მაღალი პასუხისმგებლობის მქონე თანამშრომლები
- სტრუქტურულ ერთეულებთან ეფექტიანი კომუნიკაცია
- მნიშვნელოვან საკითხებზე რეაგირების ხარისხი
- კომფორტული სამუშაო გარემო
- ფინანსური მხარდაჭერა და ა.შ.

ამასთანავე გამოიკვეთა გარკვეული საყურადღებო საკითხები, მათ შორის სახელდება ისეთი საკითხებიც, რაც თანამშრომელთა მიერ დასახელებული იყო უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკის ძლიერ მხარედ:

- გუნდური მუშაობა
- თანამშრომელთა ცვლილებები
- ცალკეული პროცესების გამარტივება
- კაფე-ბარის არარსებობა და ა.შ.

კითხვარი იძლეოდა კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი რეკომენდაციების, მოსაზრებებისა და კომენტარების გაზიარების შესაძლებლობას, რათა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მხრიდან შესაძლებელი ყოფილიყო სათანადო რეაგირებები მართვის ეფექტიანობის და ადმისნიტრაციული პერსონალის კმაყოფილების გაზრდის მიზნით. პერსონალმა უმეტეს შემხთხვევაში ისარგებლა აღნიშნული შესაძლებლობებით.

გამოკითხვის შედეგები და ანალიზი გაეგზავნა ევროპის უნივერსიტეტის მენეჯმენტს, სამსახურებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა სამსახურებთან ინდივიდუალური შეხვედრებიც, სადაც დეტალურად იქნა განხილული საყურადღებო საკითხები. გამოკვეთილ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებული სამსახურებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან მიეცათ ინსტრუქცია რეაგირების ანგარიშის მომზადებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარდგენის შესახებ. რეაგირების ანგარიშების საშუალებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეფასებებისთვის წარედგინა დეტალური ინფორმაცია გამოვლენილი საყურადღებო შემთხვევების საპასუხოდ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ანდა პირების (ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, შესყიდვებისა და მეტერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი, რექტორი, ვიცე-რექტორი და ა.შ.) მხრიდან განხორციელებული რეაგირებების, დაგეგმილი რეაგირებების შესახებ, ანგარიშების საშულებით ასევე წარმოდგენილია დასაბუთებული ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა შემთხვევებზე არ ჩაითვალა რეაგირება საჭიროდ (დეტალებისთვის იხ. დანართი #20 - მართვის პროცესების შეფასება, შეფასების შედეგების ანალიზი, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები).

შეფასების შედეგებზე რეაგირების შესახებ დეტალური უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაგზავნილ იქნა ადმინისტრაციულ პერსონალთან.

## თავი 6. ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მიდგომები

შექმნილი პანდემიური მდგომარეობის გათვალისწინებით ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულ იქნა დოკუმენტი „ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მიდგომები“. დოკუმენტი არეგულირებს ელექტრონული სწავლების მიღმა დარჩენილი სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის საკითხებს, ელექტრონული სწავლების პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ მიდგომებს, ელექტრონული სწავლების პირობებში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შესაძლო განსხვავებულ მიდგომებს, ელექტრონული სწავლების პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის, ელექტრონული სწავლების ხარისხის შეფასების, სწავლის შედეგების მიღწევის საკითხებს, ასევე, საბიბლიოთეკო რესურსების შეფასების, ელექტრონული სწავლების ტექნიკური უზრუნველყოფისა და შეფასების, ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის, პეროსნალური მონაცემების დაცვის და ანგარიშგების საკითხებს. 2020-2021 აკადემიურ წელს სწავლების პროცესის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობდა როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების დოკუმენტით, ასევე, ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და მიდგომების დოკუმენტით.

ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით დაშვებულ იქნა სასწავლო კურსების ფარგლებში სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების ლოგიკურად, სათანადოდ მოდიფიცირების შესაძლებლობები, იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების გამოყენება ვერ ხდება ან არაეფექტურად ჩაითვლება სასწავლო კურსის ელექტრონულ რეჟიმში განხორციელების პირობებში სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ. აღნიშნული ემსახურება ელექტრონულ რეჟიმში სწავლების პროცესში ჩართული სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების სათანადოდ მიღწევის და მიღებული შედეგების სათანადოდ შეფასების უზრუნველყოფის მიზანს. გადაწყვეტილება აღნიშნული ცვილელებების შესახებ შესაძლებელია მიღებულ იქნას სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ. სასწავლო კურსის ელექტრონულ რეჟიმში განხორციელების დროს ლექტორის მიერ გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები უნდა უზრუნველყოფდეს სასწავლო კურსით დადგენილი შედეგების გამომუშავებას, ხოლო გამოყენებული შეფასების მეთოდები უნდა უზრუნველყოფდეს სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის სათანადოდ შეფასებას. სილაბუსის ფარგლებში სწავლება-სწავლისა და შეფასების განსხვავებული მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, ლექტორი „ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და მიდგომების“ დოკუმენტის მიხედვით აცნობებს ამის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამის

ხელმძღვანელს და ხსნის ცვლილების საჭიროებას. პროგრამის ხელმძღვანელებმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს 2020-2021 აკადემიურ წელს, ორივე სემესტრის დასაწყისში წარუდგინეს ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებების შესახებ, ცვლილებების საჭიროებისა და იმ სასწავლო კურსების შესახებ, რომლის ფარგლებშიც დისტანციური სწავლების პირობებში გამოყენებულ იქნა შეფასების განსხვავებული მეთოდები, ანგარიში მოიცავდა ინფორმაციას იმის შესახებაც თუ სასწავლო კურსების ფარგლებში არ ანხორციელებულა ზემოაღნიშნული ცვლილებები. აღსანიშნავია, რომ დისტანციური სწავლების პირობებში წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა, დაფიქსირდა მხოლოდ გამოცდის ფორმატის, კერძოდ წერითი გამოცდის ზეპირი გამოცდით ჩანაცვლების შემთხვევა, რიგ შემთხვევებში, სადაც შესაფასებელი სწავლის შედეგები ამის ლოგიკურ შესაძლებლობას იძლეოდა, გამოცდის OSCE-ის ფორმატის კლინიკური შემთხვევების ზეპირი განხილვა/ანალიზით ჩანაცვლების შემთხვევა, რაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსხურის მიერ შეფასდა როგორც მისაღები ცვლილება (დეტალებისთვის იხ. დანართი #15.1 - ელექტრონული სწავლების პირობებში სასწავლო კურსების ფარგლებში სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებული ცვლილებების განხორციელეების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელების ანგარიშები).

ზემოაღნიშნული მექანიზმების თანახმად დისტანციურ რეჟიმში განხორციელებული სასწავლო პროცესის სათანადოდ განხორციელების შეფასების მიზნით 2020-2021 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერების და პროგრამის ხელმძღვანელების მიერ მონიტორინგის ფორმის გამოყენებით. ფორმის საშუალებით ხდებოდა ლექციების ჩატარების აღრიცხვა, საჭირო სასწავლო მასალების ელექტრონულ პლატფორმაზე ხელმისაწვდომობის შეფასება, ლექციის ელექტრონულ რეჟიმში მიმდინარეობის ტექნიკური გამართულობის შეფასება, სასწავლო პროცესის ინტერაქციის ხარისხის, სილაბუსთან შესაბამისობის შეფასება, ლექტორის მიერ ელექტრონული პლატფორმის საშუალებით სწავლებისა და შეფასების მეთოდების გამოყენების შეფასება. მონიტორინგის შეფასების შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაზიარდა ფაკულტეტების დეკანებთან, ხოლო დეკანების მიერ მოხდა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი საყურედღებო საკითხების საპასუხოდ გარკვეული ნაბიჯების განხორციელება/დაგეგმვა (დეტალებისთვის იხ. დანართი #15.2 - სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის ანგარიშები, გამოვლენილ საკითხებზე ფაკულტეტის რეაგირების ანგარიშები).

მონიტორინგის ფორმაზე წვდომა მუდმივად ჰქონდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. მონიტორინგის ფორმით მიღებული ინფორმაცია მუშავდებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. სამსახურის მხრიდან ანალიზდებოდა საყურადღებო საკითხები და ხდებოდა სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით რეაგირებები სასწავლო პროცესების დახვეწისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ყველაზე ხშირად გამოკვეთილი საყურადღებო საკითხების საპასუხოდ, რაც ეხებოდა მუდლის პლატფორმის შესაძლებლობების, სწავლების და შეფასების მეთოდების არასრულყოფილ გამოყენებას, შედგა თანამშრომლობა სწავლების ინოვაციური მეთოდების  ტრენინგ-ცენტრთან და შემუშვდა ტრენინგ-მოდული, რომელიც ემსახურებოდა ელექტრონულ რეჟიმში მიმდინარე სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. კერძოდ, ზემოაღნიშნული მიზნით შემუშავდა ტრენინგ-მოდული „დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას“, რომელიც აერთიანებდა შემდეგ თემატიკას:

- დისტანციური სწავლების ინტერაქციული მეთოდები;
- Moodle-ის პლატფორმის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება;
- დისტანციურ პლატფორმებზე შეფასებისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდები.

2020-2021 აკადემიურ წელს ელექტრონული სწავლების ხარისხიანი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ჩატარებულ ზემოაღნიშნულ ტრენინგ-მოდულს ჯამში ევროპის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 74 პერსონალი დაესწრო.

ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების მიერ დისტანციური სწავლების პლატფორმაზე უკეთ ადაპტაციისა და ციფრული რესურსების ეფექტურად გამოყენების მიზნით, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ უზრუნველყოფილ იქნა მათთვის თემატური ვიდეო ტუტორიალების მომზადება, რომლებიც გაზიარდა შესაბსამის ჯგუფებთან (სტუდენტებთან, სასწავლო კურსების განმახორციელებელ პერსონალთან), განთავსდა ევროპის უნივერსიტეტის დისტანციური სწავლების პლატფორმაზე (Moodle) და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. კერძოდ, ცენტრის მიერ ზემოაღნიშნული მიზნით მომზადდა და შესაბამის მხარეებთან გაზიარდა შემდეგი თემატური ვიდეო ტუტორიალები:

- Moodle-ის ელექტრონული პლატფორმის ტუტორიალი სტუდენტებისთვის
- Moodle-ის ელექტრონული პლატფორმის ტუტორიალები ლექტორებისთვის, კერძოდ:

  Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმაზე ღია კითხვის ფორმის შექმნა

  Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმაზე მრავალარჩევანიანი ტესტის შექმნა

Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმაზე დავალების შექმნა (რეფერატი, პროექტი, პრეზენტაცია, კაზუსი)

- Zoom-ის ელექტრონული პლატფორმის მოხმარების ინსტრუქცია
- Zoom-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით ჩანაწერის გაკეთება drive-ზე ატვირთვა და Moodle-ის პლატფორმაზე გაზიარება
- Zoom-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით შეხვედრის ჩანიშვნა Moodle-ის პლატფორმაზე.

ელექტრონული სწავლების პროცესის მიმდინარეობის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 2020-2021 აკადემიურ წელს ასევე ახორციელებდა საგანმანათლებო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვას, სასწავლო პროცესის ელექტრონულ რეჟიმში განხორციელების შეფასებისა და ამ პროცესით მათი კმაყოფილების კვლევის მიზნით, შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. გამოკითხვის შედეგად შეფასდა ლექციების მიმდინარეობა, ლექციების მიმდინარეობის ტექნიკური უზრუნველყოფა, სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი, ინტერაქციის ხარისხი, სასწავლო პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა და ჩართულობა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მხარდაჭერა. გამოკითხვის შედეგები მეტწილად დადებითია: შეკითხვაზე „გთხოვთ შეაფასოთ ლექციების ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობა“, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შეფასებები შემდეგნაირად გამოიყურება:

## ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი



## მედიცინის ფაკულტეტი




**შენიშვნა:** პასუხთან „სხვა" დაკავშრებით  პერსონალს დამატებითი განმარტებისა და კომენტარის გაკეთების შესაძლებლობით არ უსარგებლია.

## სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი




**შენიშვნა:** 1. პასუხთან „სხვა" დაკავშრებით  პერსონალს დამატებითი განმარტებისა და კომენტარის გაკეთების შესაძლებლობით არ უსარგებლია.

2. ვინაიდან სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე მიმდინარეობს ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამის საავრედიტაციოდ მზადება, შესაბსამისად, ფაკულტეტზე არ ირიცხება სტუდენტები და არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, აღნიშნულ ფაკულტეტზე პერსონალის მიერ ლექციების ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობის პროცესი 2020-2021 აკადემიურ წელს არ განხორციელებულა.

გამოკითხვის შედეგების დამუშავების საფუძველზე გამოვლენილი საყურადღებო საკითხები, შემუშავებული რეკომენდაციები გაეგზავნა შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციას, ასევე სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრს შესწავლისა და რეაგირებისთვის და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. წარმოდგენილია რეაგირებების შესახებ ანგარიშები ფაკულეტების მიერ განხორციელებული ან დაგეგმილი ნაბიჯების შესახებ ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის ინფორმირებისა და სამსახურის მიერ აღნიშნული რეაგირებების შეფასების მიზნით (დეტალებისთვის იხ. დანართი #15.3 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი, შედეგებზე რეაგიების ანგარიშები).

ელექტრონული სწავლების პროცესის მიმდინარეობის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 2020-2021 აკადემიურ წელს ახდენდა სტუდენტების გამოკითხვასაც, სასწავლო პროცესის ელექტრონულ რეჟიმში განხორციელების შეფასებისა და ამ პროცესით მათი კმაყოფილების კვლევის მიზნით შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. გამოკითხვის შედეგად შეფასდა ლექციების მიმდინარეობა, ლექციების მიმდინარეობის ტექნიკური უზრუნველყოფა, სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი, ინტერაქციისა და ჩართულობის შესაძლებლობა, ლექტორის მხრიდან ელექტრონული პლატფორმების გამოყენების ეფექტიანობა, ლექტორების მიერ ელექტრონული პლატფორმის საშუალებით გამოყენებული აქტოვობები და დავალებები, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერა. გამოკითხვის შედეგები მეტწილად დადებითია: შეკითხვაზე „გთხოვთ შეაფასოთ ლექციების ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობა“, სტუდენტების შეფასებები შემდეგნაირად გამოიყურება:

### ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი



## მედიცინის ფაკულტეტი




**შენიშვნა:** პასუხთან „სხვა“ დაკავშრებით სტუდენტის მიერ დამატებითი განმარტებისა და კომენტარის სახით გამოთქმულია მოსაზრება მხოლოდ იმის შესახებ, რომ ონლაინ სწავლება კარგად მიმდინარეობს, უბრალოდ აუდიტორიაში ამჯობინებს სტუდენტი ლექციების სრულად მიმდინარეობას, რაც განხორციელდება კიდეც სრულად, როგორც კი ამის შესაძლბლობა შეიქმნება.

## სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი




**შენიშვნა:** 1. პასუხთან „სხვა“ დაკავშრებით სტუდენტებს დამატებითი განმარტებისა და კომენტარის გაკეთების შესაძლებლობით არ უსარგებლია.

2. ვინაიდან სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე მიმდინარეობს ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამის საავკრედიტაციოდ მზადება, შესაბსამისად, ფაკულტეტზე არ

ირიცხება სტუდენტები და არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, აღნიშნულ ფაკულტეტზე სტუდენტის მიერ ლექციების ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობის პროცესი 2020-2021 აკადემიურ წელს არ განხორციელებულა.

გამოკითხვის შედეგების დამუშავების საფუძველზე გამოვლენილი საყურადღებო საკითხები, შემუშავებული რეკომენდაციები გაეგზავნა შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციას რეაგირებისთვის და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. წარმოდგენილია რეაგირებების შესახებ ანგარიშები სტრუქტურული ერთეულების მხრიდან განხორციელებული ან დაგეგმილი ნაბიჯების შესახებ, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის ინფორმირებისა და სამსახურის მიერ აღნიშნული რეაგირებების შეფასების მიზნით (დეტალებისთვის იხ. დანართი #15.4 - სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი, შედეგებზე რეაგიების ანგარიშები).

საგამოცდო პროცესების ელექტრონულ რეჟიმში მიმდინარეობის შეფასებისა და ამ კუთხით სტუდენტთა კმაყოფილების შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 2020-2021 აკადემიურ წელს ახორციელებდა გამოკითხვას აღნიშნული მიზნებისთვის მოდიფიცირებული შესაბამისი კითხვარის გამოყენებით. გამოკითხვა ჩატარდა როგორც შუალედური, ისე, დასკვნითი გამოცდების შემდეგ. გამოკითხვის შედეგად შეფასდა შუალედური და დასკვნითი გამოცდების საგამოცდო პროცესების მიმდინარეობა და ორგანიზება, საგამოცდო პროცესების ტექნიკური უზრუნველყოფა, საგამოცდო პროცესის დაწყებამდე სათანადო ინფრომაციისა და ინსტრუქციების მიღება, დამკვირვებელთა ორგანიზებულობა, საგამოცდო განრიგი, საგამოცდო დავალებები, საგამოცდო დავალებების სასწავლო კურსის შინაარსთან და სილაბუსთან შესაბამისობა. გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შემუშავებული რეკომენაციები გაეგზავნა საგამოცდო ცენტრს რეაგირებისთვის, რეკომენდაციების გათვალისწინებისა და შესაბამისად, საგამოცდო პროცესების დახვეწის მიზნით. წარმოდგენილია რეაგირებების შესახებ ანგარიშები საგამოცდო ცენტრის მიერ, განხორციელებული ან დაგეგმილი ნაბიჯების შესახებ ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის ინფორმირებისა და სამსახურის მიერ აღნიშნული რეაგირებების შეფასების მიზნით (დეტალებისთვის იხ. წინამდებარე ანგარიშის 3.3.4. პუნქტი - საგამოცდო პროცესების შეფასება სტუდენტების მიერ).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მხრიდან ელექტრონულ ფორმატში შესრულებული საქმიანობის შეფასების, ასევე სასწავლო, საგამოცდო პროცესების მიმდინარეობის დამატებით შესწავლისა და შეფასების, სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდამჭერი ღინისძიებების, მათი ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული ტრენინგების, სხვა დამხმარე მასალებით მათი უზრუნველყოფის შესწავლისა და შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად პერიოდულად გამოითხოვს შესრულებული

საქმიანობის შესახებ ანგარიშს შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისგან: საგამოცდო ცენტრი, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი, ფაკულტეტი, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სწორედ აღნიშნული ანგარიშების გამოთხოვის საფუძველზე მოიკვლია და დაადგინა დისტანციური სწავლების მიღმა დარჩენილი სტუდენტების შესახებ ინფორმაცია და მდგომარეობა. აღნიშნული კუთხით ევროპის უნივერსიტეტის მხრიდან განხორციელებული სამუშაოები სამსახურის მიერ შეფასდა დადებითად. 2020-2021 აკადემიური წლის პირველ და მეორე სემესტრში განხორციელებული მოკვლევისა და ფაკულეტების მხრიდან წარმოდგენილი ანგარიშების თანახმად დისტანციური სწავლების მიღმა დარჩენილი სტუდენტების იდენტიფიცირების მიზნით თითოეული ფაკულტეტის მიერ მოხდა ისეთი სტუდენტების დადგენა, რომელთა მხრიდანაც არ დაფიქსირდა არცერთი შესვლა ელექტრონული სწავლებისთვის უნივერსიტეტის მიერ გამოყენებულ პლატფორმაზე (Moodle.edu.ge). გამოიკვეთა აქტიური სტატუსის მქონე იმ სტუდენტების საკმაოდ დაბალი პროცენტული მაჩვენებილი, რომელთაც არ დაუფიქსირდათ ელექტრონულ პლატფორმაზე არცერთი შესვლა. ფაკულტეტების ადმისნიტრაციის მხრიდან განხორციელდა სატელეფონო კომუნიკაცია თითოეულ მათგანთან. წარმოდგენილი ანგარიშების თანახმად აღნიშნულის მიზეზად ძირითადად დასახელდა პირადი მიზეზები (სამსახური, ჯანმრთელობის მდგომარეობა). როგორც გამოკითხვიდან გაირკვა, ტექნიკური აღჭურვილობის არქონის პრობლემა სტუდენტებს არ ჰქონიათ, დაფიქსირდა ინტერნეტზე წვდომის პრობლემა მხოლოდ 2 სტუდენტთან ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკლტეტზე და 1 სტუდენტთან სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტმა სტუდენტებს შესთავაზა უსაფრთხოების ყველანაირი წესებისა და რეგულაციების დაცვით, უნივერსსიტეტის სივრცეში არსებული კომპიუტერული ლაბორატორიებით სარგებლობა (დეტალებისთვის იხ. დანართი #15.5 - ელექტრონული სწავლების ხელშეწყობა, სტრუქტუტული ერთეულების ანგარიშები ელექტრონული სწავლების პროცესში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, დისტანციური სწავლების მიღმა დარჩენილი სტუდენტების შესახებ ფაკულტეტის ანგარიშები).

## თავი 7. შეფასების შედეგების გამოყენება

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასების შედეგების ეფექტურად გამოყენების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს განხორციელებული შეფასების შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის სამსახურსა და სტრუქტურულ

ერთეულს. მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით სტრუქტურული ერთეულების მხრიდან იგეგმება და ხორციელდება გარკვეული რეაგირებები, განხორციელებული და დაგეგმილი ნაბიჯები რეაგირების ანგარიშის სახით წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს უკვე განხორციელებული რეაგირება და მოხდეს დაგეგმილი ნაბიჯების შესრულების მონიტორინგი.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება. განმეორებითი შეფასებები იძლევა გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, მათი დახვეწისა და გუმჯობესების შესაძლებლობას. განხორციელებული გამოკითხვის შედეგების შეფასებისა და ანალიზისა საფუძველზე 2020-2021 აკადემიურ წელს გარკვეული ცვლილებები შევიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებულ არაერთ კითხვარში, მაგალითად, განახლდა სტუდენტებისა და პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარები, მობილობით გადასული და მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვის მიზნით შემუშავებული კითხვარები, დაინტერესებული მხარეების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კითხვარები და ა.შ. პროცესების ზოგადი დაკვირვებისა და მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების საფუძველზე ამასთანავე შემუშავდა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს დაემატა რამდენიმე ახალი კითხვარი, კერძოდ, სტუდენტის მიერ ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი, სტუდენტის მიერ პრაქტიკის კომპონენტის შეფასების კითხვარი, სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასების კითხვარი.

2020-2021 აკადემიურ წელს განხორციელებული შეფასებების საფუძველზე გამოკვეთილი საყურადღებო საკითხები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაზიარდა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, სამსახურებთან. მიღებულია მათი მხრიდან განხორციელებული რეაგირებების შესახებ ანგარიშები, ასევე, ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა რეაგირებებია დაგეგმილი სამომავლოდ გარკვეულ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებით, რომლის განხორცილებაც ვერ მოხდა მოკლე დროში, ანგარიშის წარმოდგენის პერიოდში. განსაზღვრულია აღნიშნული დაგეგმილი რეაგირებების განხორციელების ვადები.

2020-2021 აკადემიურ წელს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასების შედეგების საფუძველზე გამოვლენილ საყურადღებო საკითხებზე სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული რეაგირებებია:

| გამოკითხვის ტიპი | გამოკითხვის ჩატარების თარიღი | გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეები, რომელზეც განხორციელდა რეაგირება | რეაგირებების მიზნით განხორციელებული აქტივობები | განხორციელებულ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირი / სტრუქტურული ერთეული |
|---|---|---|---|---|
| აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება | 2020-2021 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი | ტურიზმის ადმინიტრირების პროგრამა:<br>1.სასწავლო კურსის "ექსკურსიათმცოდნეობა და გიდის ხელოვნება" ლექტორის მანანა ალადაშვილის მიმართ - შეკითხვაზე „სასწავლო პროცესის მიმდინარეობის საკითხს კურსისთვის შესაბამისი სპეციფიური ინვენტარით აღჭურვილ სივრცეში", სტუდენტმა დააფიქსირა სამი ქულა. 2. სასწავლო კურსის „რუსული ენა 1 (B1.1)" ლექტორის მაკა კაჭარავას მიმართ - შეკითხვაზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურსისთვის შესაბამისი სპეციფიკური ინვენტარით აღჭურვილ სივრცეში" სტუდენტმა დააფიქსირა ორი ქულა.<br>3. სასწავლო კურსის „რუსული ენა 1 (B1.1)" ლექტორის მაკა კაჭარავას მიმართ - შეკითხვაზე „ | ტურიზმის ადმინიტრირების პროგრამა:<br>1.სტუდენტების მიერ დაფიქსირებულ შედეგების საპასუხოდ მოხდა ლექტორთან კომუნიკაცია.<br>ლექტორმა განმარტა, რომ კოვიდ პანდემიის გამო ვერ მოხერხდა ექსკურსიის შექმნისთვის ტურისტულ ობიექტზე გასვლა. ექსკურსიათმცოდნეობა და გიდის ხელოვნება სასურველია ჩატარდეს შესაბამის სივრცეში, სადაც შესაძლებელია სტუდენტის მიერ პრაქტიკული უნარების შეძენა, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის უნარების გამომუშავება.<br>ლექტორი იმედოვნებს, რომ ვითარება შეიცვლება და ექსკურსიათმცოდნეობის კურსი ჩატარდება როგორც აუდიტორიაში ასევე გარე სივრცეში.<br>დისტანციური სწავლების ფარგლებში შედეგების მისაღწევად იყენებს შესაბამის სწავლება სწავლის მეთოდებსა და ფორმებს.<br>2. სტუდენტების მიერ დაფიქსირებული კომენტარებზე საპასუხოდ მოხდა ლექტორთან კომუნიკაცია. ლექტორის განმარტებით, აღნიშნულ პერიოდში კოვიდ პანდემიის გამო ონლაინ ლექციებზე ვერ ხერხდება სტუდენტებისთვის მორგებულ აუდიტორიაში ლექციის ჩატარება. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ კიდევ ერთხელ გადამოწმნდა მუდლის პლატფორმა, ლექტორს აქვს წარმოდგენილი აუდიო მასალები სწავლებისთვის.<br>3.დაფიქსირებულ შედეგთან მიმართებით მოხდა ლექტორთან კომუნიკაცია, გადაიხედა სილაბუსზე, მუდლის პლატფორმაზე გადამოწმდა მასალები, პირველივე კვირაში | ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ნინო გადილია; პროგრამის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | რამდენად ხელმისაწვდომია სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სახელმძღვანელოებ ი ბიბლიოთეკაში - სავალდებულო ლიტერატურა“, სტუდენტმა შეაფასა ოთხი ქულით. | ატვირთული აქვს ლექტორს ძირითადი სახელმძღვანელოების სამი ელ. ვერსია. ასევე, არის ხელმისაწვდომი რუსული ენის ლიტერატურა ბიბლიოთეკაში, სახელმძღვანელოს ელ. ვერსიების სახით. | |
| აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება | 2020-2021 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი | 1. რამდენიმე საგანზე თითო - თითო სტუდენტმა აღნიშნა, რომ შეფასებები ბაზაში შედის დაგვიანებით; 2. ასევე თითო- თითო სტუდენტმა რამდენიმე საგანზე გააკეთა კომენტარი, რომ შეფასების სისტემა არ არის ახსნილი და ლექტორების მხრიდან ობიექტური. | 1. მიმდინარე სემესტრში სასწავლო პროცესის მენეჯერები ახდენენ უწყისებში ლექტორების მიერ შეფასებების შეტანის მონიტორინგს. კერძოდ, საბაზისო საგნებში შუალედურ და დასკვნით გამოცდებამდე, ხოლო კურაციულ საგნებში დასკვნით გამოცდებამდე ხდება უწყისების გადამოწმება, შეტანილი აქვს თუ არა ლექტორს ყველა შეფასება. საჭიროების შემთხვევაში ხდება ლექტორთან კომუნიკაცია.<br>2. მიმდინარე სემესტრის დაწყებამდე ჩატარდა ონლაინ შეხვედრები გაზაფულის სემესტრში ცხრილით გათვალისწინებული საგნების განმახორციელებელ ლექტორებთან, სადაც პროგრამის ხელმძღვანელების, მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის და ფაკულტეტის დეკანის მიერ, თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში მიწოდებული იქნა ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. | მედიცინის ფაკულტეტის დეკანი ნათია ჯოჯუა და საგამოცდო ცენტრი |
| აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება | 2020-2021 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი | 1. გამოიკვეთა - საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ლექტორთან (ზურაბ იაშვილთან) დაკავშირებით ლექციების გაცდენის პრობლემა.<br>2. კონსტიტუციური მართლმსაჯულების საფუძვლები, კურსს უძღვება მოწვეული | 1.ამ საკითხთან დაკავშირებით სასწავლო პროცესის მენეჯერთან გავიარეთ კონსულტაცია, ასევე, გვქონდა სტუდენტებთან შეხვედრა, რომლებმაც დაადასტურეს აღნიშნული, თუმცა, გააკეთეს განმარტება რომ ლექტორი ძალიან საინტერესოდ ხსნის ლექციას, უზრუნველყოფს ჩართულობას და არის ძალიან კომპეტენტური, რომ არა მისი გრაფიკი მასთან ურთიერთობა სტუდენტებისთვის დიდი გამოცდილებაა.<br>ასევე, მათ დააფიქსირეს, რომ ლექტორი ძირითადად არასამუშაო | სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - პროგრამის ხელმძღვანელები |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ლექტორი მიხეილ შარაშიძე. ამ მხრივ მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე საჭიროა შესაბამისი რეაგირება ლექტორთან გასაუბრების გზით, ასევე მისი ჩართვა ცალკეულ ტრეინინგ კურსებში რომელიც დაეხმარება ლექტორს უფრო სრულყოფილად წაუძღვეს სასწავლო კურსს.<br>3. სასამართლო უნარ-ჩვევები სისხლის სამართლის პროცესში, კურსს უძღვება მოწვეული ლექტორი ნინო აღლემაშვილი - ამ შემთხვევაშიც სასურველია მოხდეს ლექტორის გაფრთხილება ქულების დროულად ასახვის თაობაზე. | საათებში და გვიან აღადგენს ხოლმე ლექიებს, რის გამოც ვეღარ ახერხებენ ლექციაზე შესვლას. ასევე დროულად არ ხდება ლექტორის მხრიდან გაცდენის და შემდეგ აღდგენის შესახებ მათი ინფორმირება. სასწავლო პროცესის მენეჯერის ინფორმაციით, როდესაც ლექტორი ლექციას აცდენდა  აღდგენას ნიშნავდა ძალიან გვიან, რის გამოც რთული ხდებოდა იმის გაკონტროლება, რამდენად ტარდებოდა ლექციების  აღდგენა. ძირითადად სტუდენტები ლექტორის კომპეტენტურობას აღიარებენ და ადასტურებენ, თუმცა მათთვის ლექტორის რიგი პიროვნული თვისებები მიუღებელია. პროგრამის ხელმძღვანელს და დეკანს ჰქონდათ კომუნიკაცია ლექტორთან და მისი მხრიდან მოხდა დაპირება, რომ ლექციები აღარ გაცდება და გაცდენილი ლექციებიც აღდგება. პროცესებს ვაკვირდებით დინამიკაში და სასწავლო პროცესის მენეჯერი გაფრთხილებულია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ ლექტორის აქტივოების მონიტორინგს. იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი განმეორდა მაშინ ლექტორთან შეწყდება შრომითი ხელშეკრულება და მოხდება ჩანაცვლება.<br>2.აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოხდა გასაუბრება კურსის ლექტორთანაც, მან აღნიშნა რომ საგანი არ ისე მარტივი იყო სტუდენტებისთვის გამომდინარე იქიდან, რომ სტუდნეტებს არ ახსოვდათ საგნის წინაპირობით გათვალისწინებული ცალკეული თემატიკა. მეორე მხრივ, სასწავლო კურსი ახალია როგორც სტუდენტებისთვის ისე პროგრამისთვის რაც საჭიროებს ერთგვარი გამოცდილების დაგროვებას. სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებმა მიმართეს უნივერსიტეტში მოქმედ სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრეინინგ ცენტრს სამართლის პროგრამის ლექტორებისათვის სასწავლო წლის | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ბოლოს ან/და შემდეგი სასწავლო წლის დასაწყისში ტრეინინგ მოდულის დასაგეგმად. აღნიშნულ ტრეინინგზე ერთ-ერთი პრიორიტეტული მსმენელია მიხეილ შარაშიძე.<br>3.სამართლის პროგრამის ხელმძღვანელების მხრიდან მოხდა ლექტორის გაფრთხილება, ლექტორმა აღნიშნა რომ დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო ხშირად ხდებოდა შეფასების შეყვანის შეფერხება და აღნიშნა, რომ ეს ხარვეზი გამოსწორდება. | |
| აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება | 2020-2021 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი | ტურიზმის ადმინიტრირების პროგრამა:<br>1.სასწავლო კურსის ,, ინგლისური ენა A2" ლექტორის მაია აღაიას მიმართ - კითვაზე გთხოვთ დაასახელეთ ლექტორის სუსტი მხარე , სტუდენტმა მიუთითა, რომ უმჯობესია ლექტორი იყოს მეტად მომთხოვნი;<br>2.სასწავლო კურსის ,, ინგლისური ენა 5" ლექტორის მარიამ კილანავას მიმართ გამოითქვა სტუდენტის მხრიდან სურვილი იყოს სამართლიანი და დააფასოთ სტუდენტის მონდომება.<br>ინფორმატიკის პროგრამა:<br>1.სასწავლო კურსის ,,კომპუტერული გრაფიკის ინსტრუმენტები" ლექტორის დავით გაგოშიძის მიმართ - კითვაზე გთხოვთ დაასახელეთ ლექტორის სუსტი მხარე , სტუდენტმა | ტურიზმის ადმინიტრირების პროგრამა:<br>1.ვინაიდან გამოკითხვაში მონაწილეობდა ორი სტუდენტი, მათ მიერ დაფიქსირებულ შედეგების საპასუხოდ ინფორმაციის უფრო მეტი სარწმუნოებისთვის არაპირდაპირი მეთოდით შედგა სტუდენტებთან გასაუბრება. გამოიკვეთა, რომ ლექტორი სათანადო დონეზე ითხოვს სტუდენტებიდან განვლილ მასალას შედეგების მისაღწევად იყენებს სილაბუსით გათვალისწინებულ სწავლება/სწავლის მეთოდებსა და ფორმებს. შესაბამისად ლექტორთან ამ საკითხზე კომუნიკაცია არ გვქონია.<br>2.სასწავლო კურსი ,, ინგლისური ენა 5" სილაბუსით ითვალისწინებს დგარგობრივი ენის გამოყენებას პრაქტიკული უნარების გაღრმავებას და დარგისათვის დამახასიათებელი თემების გარშემო საკომუნიკაციო უნარების განვითარებას, ხოლო სტუდენტი მისივე კომენტარში აღნიშნავს, რომ მან სასაუბრო ენა არ იცის და შესაბამის შეფასებებს ვერ იღებს, ამიტომ მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ ამ კონკრეტულ საკითხზე რეაგირება. მითუმეტეს, როცა გამოკითხვაში მონაწილეობს მხოლოდ ერთი სტუდენტი.<br>ინფორმატიკის პროგრამა:<br>1.სტუდენტის მიერ დაფიქსირებულ შედეგების საპასუხოდ მოხდა ლექტორთან კომუნიკაცია. ლექტორმა განმარტა, რომ სასწავლო კურსი ,, კომპუტერული გრაფიკის | ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ნინო გადილია; პროგრამის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მიუთითა, რომ ამ კონკრეტულ საგანში უმჯობესია მეტი პრაქტიკული დავალება ვიდრე თეორიული;<br>2.საწავლო კურსის ,,დაპროგრამების საფუძვლები"ლექტორის თეოდორე ზარქუას მიმართ კითხვაზე: გთხოვთ დაასახელეთ ლექტორის სუსტი მხარე , სტუდენტმა მიუთითა, რომ ცოტა რთულად ხსნის მასალებს.<br>ბიზნესის ადმინიტრირების პროგრამა:<br>1.სასწავლო კურსებთან ,, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები" მიმართებით დაფიქსირდა საგამოცდოდ (შუალედური; ფინალური) გამოყოფილი დროის სიმცირე. | ინსტრუმენტები" საკმაოდ გაჯერებულია პრაქტიკული დავალებებით და სამუშაოებით, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობა გამოიმუშაოს პრაქტიკული უნარები.<br>2.სასწავლო კურსის ხელმძღვანელის თეოდორე ზარქუას შეფასება მოხდა მხოლ ორი სტუდენტის მიერ. ერთ-ერთი მათგანის დაფიქსირებული შედეგის საპასუხოდ მოხდა დაკავშირება ლექტორთან და ეთხოვა, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე სტუდენტებისთვის ვინც ირიცხებიან პირველ კურსზე და ვისთვისაც დაპროგრამების ენა პირველ ეტაპზე წარმოადგენს სირთულეს აეხსნა უფრო გამარტივებული მეთოდებით (მმათვის გასაგებ ენაზე).<br>ბიზნესის ადმინიტრირების პროგრამა:<br>1.სტუდენტის მიერ დაფიქსირებულ შედეგის საპასუხოდ მოხდა კომუნიკაცია სასწავლო კურსის ხელმძღვანელთან და გადამოწმდა რამდენად შესაბამისობაში იყო სილაბუსში მითითებული საგამოცდო დრო საგამოცდო მასალასთან. რაც სრულ შესაბამისობაშია. | |
| აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება | 2020-2021 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი | შედეგების მიხედვით იკვეთება რამდენიმე საყურადღებო საკითხი კონკრეტულ ლექტორებთან დაკავშირებით, კერძოდ:<br>• ნაზი ჭაბაშვილის შესახებ სტუდენტების მხრიდან უკმაყოფილება დაფიქსირდა ახსნის მეთოდებთან დაკავშირებით;<br>• კახა გოშაძის შესახებ გამოიკვეთა, | 1. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა შეხვედრა სტუდენტებთან დეკანის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. სტუდენტებისგან დეტალურად იქნა მოსმენილი თუ რა პრობლემა ჰქონდათ ლექტორთან. ყველა სტუდენტმა ერთხმად აღნიშნა, რომ ქალბატონი ნაზის კომპეტენციას ეჭვქვეშ არ აყენებენ და საკითხი ეხება მხოლოდ გადმოცემის და შემდეგ გაგების პრობლემას. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩატარდა შეხვედრა ლექტორთან და ეთხოვა მას, რომ გადახედოს სწავლებისა და ახსნის მეთოდებს, ასევე, გაითვალისწინოს სტუდენტების დამოკიდებულება. სტუდენტებს გაეცნოთ ეს გადაწყვეტილება და რამდენიმე | სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - პროგრამის ხელმძღვანელები |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | რომ მისი შეფასება და სწავლების პროცესი, მეტწილად აცდენილია სილაბუს.<br>დაბალი რეიტინგის მქონე ლექტორები:<br>• ზურა იაშვილი;<br>• ფიქრია თორია | ლექციას მონიტორინგის მიზნით დაესწრო პროგრამის ხელმძღვანელი, რის შემდეგაც, სტუდენტებს აღარ მოუმართავთ აღნიშნულ საკითხზე.<br>2. კახა გოშაძესთან დაინიშნა შეხვედრა, ლექტორთან მოხდა კომუნიკაცია, ის მზად არის გამოვლენილ საკითხებზე იმუშაოს. პროცესი იქნება დაკვირვების რეჟიმში. პროგრამის ხელმძღვანელს დაევალა აღნიშნულზე კონტროლის განხორციელება.<br>3. ზურა იაშვილთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა და ის ამ ეტაპზე აღარ არის ლექტორი.<br>4. ფიქრია თორიასთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა და ის აღარ არის ამ ეტაპეზე ლექტორი. | |
| ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება | 2020-2021 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი | გამოკითხვის შედეგებად, ერთ-ერთ ნაშრომის ხელმძღვანელთან დაკავშირებით სტუდენტის მხრიდან დაფიქსირდა საკითხი, დატვირთული გრაფიკის შესახებ. | აღსანიშნავია, რომ მთლიანობაში ნაშრომის ხელმძღვანელი დადებითად არის შეფასებული სტუდენტის მხრიდან და შეფასებაში არ ჩანს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სილაბუსით გათვალისწინებულ შედეგზე გასვლას ამ ფაქტმა, რაიმე ფორმით, ხელი შეუშალა, ან რაიმე კონკრეტული ნეგატიური გავლენა იქონია ლექტორის დატვირთულმა გრაფიკმა. მიუხედავად ამისა, ნაშრომის ხელმძღვანელთან ამ ფაქტს განიხილავს პროგრამის ხელმძღვანელი და სამომავლოდ მოხდება წინასწარი კომუნიკაცია და გაფრთხილება ნაშრომის ხელმძღვანელობის კანდიდატებთან იმის თაობაზე რომ თუ დატვირთული გრაფიკი აქვთ და ვერ მოახერხებენ სრულყოფილად სტუდენტთან სამუშაოების განხორციელებას არ დაინიშნონ ნაშრომის ხელმძღვანელად. ინფორმაცია მიეწოდა სასწავლო პროცესის მენეჯერსაც, რომელიც საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში გაამახვილებს ყურადღებას აღნიშნულ საკითხზე. | სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - პროგრამის ხელმძღვანელები |
| პრაქტიკის კომპონენტით სტუდენტთა კმაყოფილება | 2020-2021 აკადემიური წლის | 1. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 4 | 1. ფინანსები და საბნკო საქმის სპეციალობის პროგრამის ხელმძღვანელთან და სასწავლო კურსის ხელმძღვანელთან კომუნიკაციის და მსჯელობის | ნინო გადილია - ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შემოდგომის სემესტრი | სტუდენტმა, ხოლო ტურიზმის ადმინიტრირების სპეციალობის 3 სტუდენტმა. მათ პრაქტიკა გაიარეს ,,ევროპის უნივერსიტეტში" და სასტუმროში „თაბორი ტერასა" - ში.<br>სტუდენტების დიდმა ნაწილმა გამოთქვა კმაყოფილება პრაქტიკის კომპონენტის შესრულების შესახებ და დადებითად შეაფასეს პროცესი, ხოლო მცირე ნაწილი უკმაყოფილო იყო პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით, ვინიდან პანდემიის გამო მოუწიათ ძირითადად დისტანციურ რეჟიმში მუშაობა.<br>2. რაც შეეხება ტურიზმის ადმინიტრირების პროგრამის ფარგლებში გავლილ პრაქტიკას პანდემიიდან გამომდინარე სტუდენტებს დააკლდათ ტურიზმის მომხმარებელთან, სტუმართან კომუნიკაცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მომსახურების ფსიქოლოგიის, ურთიერთობის ფსიქოლოგიის ჩამოსაყალიბებლად. | შედეგად დაკორექტირდა საგნის სილაბუსი, რაც მისცემს სტუდენტებს შესაძლებლობას გამოიმუშაონ მეტი პრაქტიკული უნარები რათა შეძლონ დაგროვილი თეორიული ცოდნის რეალიზება. ფინანსები და საბნკო საქმის სპეციალობის სტუდენტებისთვის პრაქტიკის განხორციელების მატერიალურ რესურსად სილაბუსით გათვალისწინებულია კომპიუტერთან მუშაობა, პრაქტიკული ამოცანების შესრულება 1C ERP პროგრამის მოდულებში, რაც პრაქტიკული გამოცდილების და ცოდნის შეძენის თვალსაზრისით მეტად ნაყოფიერ შედეგს აძლევს სტუდენტებს ვიდრე ცალკეული პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტის დროს.<br>2. აღნიშნული პრობლემა დაიძლევა, ქვეყანაში ტურიზმის სექტორის თანდათანობით აღდგენასთან და პანდემიური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად. სასტუმროს მომსახურებაში ცენტრალური ადგილი სტუმარს უკავია და წარმოადგენს სასტუმრო მომსახურების წარმოების საბაზო საფუძველს.<br>სასტუმროს ყველა სტრუქტურული ერთეულის ამოქმედების შემდეგ აღნიშნული პრობლემა მოგვარდება. | მოვალეობის შემსრულებელი; სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი; |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ამავდროულად, კოვიდ პამდენიიდან გამოდინარე ნაკლებად მოხდა სასტუმროს ყველა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობაში ჩართვა. | | |
| ლექტორების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2020-2021 აკადემიური წელი | სამივე ფაკულტეტზე, გამოკითხვის შედეგად, ბიბლიოთეკა შეფასდა მეტწილად დადებითად. მათ აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს ბიბლიოთეკის რესურსების განახლებაზე, ბიბლიოთეკის თანამშრომლები კონსულტაციას უწევენ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენებაში, ბიბლიოთეკის თანამშრომლები ყოველთვის აწვდიან აკადემიურ პერსონალს ინფორმაციას ბიბლიოთეკის რესურსების და სერვისების შესახებ. ბიზნესის ფაკულტეტის მხრიდან დამატებით დაფიქსირდა მხოლოდ ერთი კომენტარი - „ბიბლიოთეკა სტუდენტს სთავაზობდეს წყაროების მოძიებასთან | დამატებით დაფიქსირებული კომენტარის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკა როგორც სტუდენტებთან, ასევე აკადემიურ პერსონალთან, მუდმივად ატარებს შეხვედრებს, სადაც აწვდის ინფორმაციას საბიბლიოთეკო სერვისების შესახებ. შეხვედრების დროს, იქნება ეს აუდიტორიული მეცადინეობის თუ ონლაინ სწავლების პირობებში, ბიბლიოთეკა აცნობს ინფორმაციას უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებული საბიბლიოთეკო და სამეცნიერო ბაზების შესახებ ინფორმაციას. გარდა შეხვედრებისა, სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს, პერიოდულობით, ელექტრონული ფოსტით, ეგზავნებათ საბიბლიოთეკო სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებით შექმნილი გზამკვლევები და ტუტორიალები. | ბიბლიოთეკა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | დაკავშირებულ სერვისს." | | |
| ლექტორების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2020-2021 აკადემიური წელი | 1. ლექტორების გარკვეული ნაწილი არ მიიჩნევს რაციონალურად ონლაინ რეჟიმში არსებულ სასწავლო კურსებზე სტუდენტების რაოდენობის განაწილებას.<br>2. ლექტორები აფიქსირებენ მოსაზრებას სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემასა და მუუდლთან დაკავშირებით ინსტრუქციების არსებობის შესახებ.<br>3. ლექტორებმა დააფიქსირეს სურვილი ელექტრონული ჟურნალის არსებობის შესახებ. | 1. 2021-22 წლის შემოდგომის სემესტრის დაწყებამდე ჩატარდა ადმინისტრაციის რამდენიმე შეხვედრა დისტანციური სწავლების შემთხვევაში ჯგუფში სტუდენტების რაოდენობასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილებით გათვალისწინებული იქნა სტუდენტების და ლექტორების აზრი და იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც დისტანციურ რეჟიმში ხორციელდება სტუდენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. რაც შეეხება სტუდენტების რაოდენობას იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც სრულად ადგილზე/ოფლაინ ტარდება პრეტენზიები არც დაფიქსირებულა.<br>2. უნივერსიტეტში შემუშავებულია ინსტრუქციები სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და მუდლის მოხმარებასთან დაკავშირებით, რომელიც ატვირთულია მუუდლზეც. ამასთან, მუუდლის ინტეგრირება განხორციელდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტორნულ სისტემაში და განახლებული ინსტრუქციები პერიოდულად ეგზავნებათ ლექტორებს ელ. ფოსტის საშუალებით. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მენეჯერები ლექტორებს უწევენ ინდივიდუალურ კონსულტაციებს.<br>3. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, სადაც ლექტორები ასახავენ სტუდენტთა შეფასებებს, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი სასწავლო კურსის შეფასების კრიტერიუმებით. | მედიცინის ფაკულტეტის დეკანი ნათია ჯოჯუა |
| ლექტორების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2020-2021 აკადემიური წელი | გამოკითხული ლექტორები ძირიდად დადებითად აფასებენ საგამოცდო ცენტრის ფუნქციონირებას. | ლექტორებს ევროპის უნივერსიტეტის მეილზე გაეგზავნათ ინფორმაცია საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესის შესახებ. ამასთან, საგამოცდო ცენტრი, საჭიროების შემთხვევაში მუდმივ | საგამოცდო ცენტრი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გამოიკვეთა მხოლოდ ერთი საკითხი, რომ ლექტორები არ იცნობენ კარგად საგამოცდო ცენტრის დებულების შესახებ. | კომუნიკაციაშია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. | |
| ლექტორების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2020-2021 აკადემიური წელი | 1.კვლევის დაფინანსების წესის შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან;<br>2. პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებლი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან; | 1.უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარდა ონლაინ შეხვედრები კვლევის დაფინანსების წესის გასაცნობად; კვლევის დაფინანსების წესი გაზიარდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ელ.ფოსტის საშუალებით;<br>2.უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარდა ონლაინ შეხვედრები პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების წესის გასაცნობად;<br>3.პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების წესი და Turnitin-ის გამოყენების ტუტორიალი გაზიარდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ელ.ფოსტის საშუალებით. | სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი |
| ლექტორების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2020-2021 აკადემიური წელი | სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ლექტორებმა დააფიქსირეს მოსაზრება, რომ სურთ სილაბუსის შედგენასთან დაკავშირებულ ტრენინგზე დასწრება. | უნივერსიტეტის სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრის მიერ ყოველი სემესტრის დასაწყისში ლექტორებისათვის ხდება ტრენინგების შეთავაზება. მათ შორის, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის ტრენინგის შეთავაზება, რომელიც მოიცავს სილაბუსის შედგენასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული ტრენინგის გავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ ლექტორს. აღნიშნული ტრენინგების შეთავაზება გაგრძელდება მომავალშიც, ყოველი სემესტრის დასაწყისში. | სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრი |
| სტუდენტთა ზოგადი | 2020-2021 აკადემიური წელი | სამივე ფაკულტეტზე, გამოკითხულ | აღსანიშნავია, რომ ყოველი სემესტრის დასაწყისში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | ბიბლიოთეკა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კმაყოფილების კვლევა | | სტუდენტთა უმეტესობამ, დასმული შეკითხვებით ბიბლიოთეკის საქმიანობა დადებითად შეაფასა. თუმცა, ბიზნესისა და ტექნოლოგიებისა და მედიცინის ფაკულტეტზე გამოკითხული სტუდენტებიდან რამდენიმემ დააფიქსირა ბიბლიოთეკაში, ზოგიერთ შემთხვევაში, სასწვალო კურსის სილაბუსით განსაზღვრული ლიტერატურის მოძიების საკითხი. | პროგრამის ხელმძღვანელებისაგან გამოითხოვს განახლებულ სილაბუსებს, მათ შორის, ინფორმაციას სასწავლო კურსებში ლიტერატურის ცვლილების შესახებ, რომელსაც აწვდის ბიბლიოთეკას და ხორციელდება განახლებული სასწავლო ლიტერატურის შეძენა. | |
| სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2020-2021 აკადემიური წელი | 1. მაღალია იმ გამოკითხულ სტუდენტთა მაჩვენებელი, რომლებიც მეტ-ნაკლებად იცნობენ, ან საერთოდ არ იცნობენ უნივერსიტეში მოქმედ რეგულაციებსა და წესებს.<br>2. სტუდენტების თითქმის ნახევარს არ მოსწონს სტუდენტების რაოდენობის განაწილება ლექციასა და პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე.<br>3. სტუდენტებმა დააფიქსირეს დამატებითი სტომატოლოგიური კაბინეტის მოწყობისა და | 1. სტუდენტებთან ჩატარებულ შეხვედრებზე ცალკე საკითხად გამოიყო და აქცენტი კეთდება უნივერსტეტში მოქმედ ყველა იმ მარეგულირებელ დოკუმენტზე, რომელიც მნიშვნელოვანია რომ სტუდენტმა იცოდეს. სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მარეგულირებელი დოკუმენტების ნახვა თავისუფლად შეუძლიათ უნივერსიტეტის ვებგვერდზე. გარდა ამისა, ყველა სტუდენტს მეილით დაეგზავნა ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ‘‘, ,,საგამოცდო პროცესის წესი’’ და ,, შპს ევროპის უნივერსიტეტის ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსი’’.<br>2. 2021-22 წლის შემოდგომის სემესტრის დაწყებამდე ჩატარდა ადმინისტრაციის რამდენიმე შეხვედრა დისტანციური სწავლების შემთხვევაში ჯგუფში სტუდენტების რაოდენობასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილებით გათვალისწინებული იქნა სტუდენტების და ლექტორების აზრი | მედიცინის ფაკულტეტის დეკანი ნათია ჯოჯუა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობის შეძენის საკითხი. | და იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც დისტანციურ რეჟიმში ხორციელდება სტუდენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. რაც შეეხება სტუდენტების რაოდენობას იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც სრულად ადგილზე/ოფლაინ ტარდება პრეტენზიები არც დაფიქსირებულა.<br>3. 2021-2022 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში უკვე დაემატა სრულად აღჭურვილი ორი სტომატოლოგიური კაბინეტი, ერთი მოწყობის პროცესშია. | |
| სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2020-2021 აკადემიური წელი | გამოკითხული სტუდენტების მხრიდან, საგამოცდო ცენტრის მიმართ დაფიქსირდა შემდეგი საყურადღებო შემთხვევები:<br>1.ქულების დროულად ასახვა ბაზაში;<br>2.საგამოცდო ცენტრის მხრიდან დროული უკუკავშირი სტუდენტების კითხვებზე;<br>3.სტუდენტების დროული ინფორმირება გამოცდების შესახებ. | 1.საგამოცდო ქულების ბაზაში დროულად ასახვის მიზნით, ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ლექტორებს საგამოცდო ცენტრიდან ეგზავნებათ ექსელის ფორმა, სადაც ხდება სტუდენტების შედეგების ასახვა ლექტორების მხრიდან. აღნიშნული შედეგები კი ბაზაში შეჰყავს საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელს მაქსიმუმ 2 დღის ვადაში.<br>2.იმისათვის რომ, ყველა სტუდენტს მაქსიმალურად ოპერატიულად გავცეთ პასუხი ყველა კითხვაზე, საგამოცდო ცენტრმა შექმნა მეილი exam.center@eu.edu.ge, საიდანაც ეგზავნებათ ყველა ტიპის ინფორმაცია, იღებენ დასმულ შეკითხვაზე პასუხებს, როგორც სტუდენტები, ასევე ლექტორები.<br>3. სტუდენტებს ყველა გამოცდის განრიგი ასახული აქვთ ბაზაში, მათ აღარ გაეგზავნებათ ექსელი ფორმა (როგროც, წინა სემესტრებში) და ავტომატურად გაყვებიან უნივერსიტეტის ბაზაში ასახულ ცხრილს. | საგამოცდო ცენტრი |
| სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2020-2021 აკადემიური წელი | პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებლი | 1. მომზადდა ინფოგრაფიკა ქართულ და ინგლისურ ენაზე პლაგიატის სახეების შესახებ; ინფოგრაფიკა გაზიარდა ყველა ფაკულტეტის სტუდენტთან უნივერსიტეტის კორპორატიული ელ.ფოსტის საშუალებით.<br>2. ჩატარდა (ონლაინ/ოფლაინ) საინფორმაციო შეხვედრები ყველა ფაკულტეტის სტუდენტთან აკადემიური კეთილსინდისიერებისა | სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სტუდენტების მხრიდან | და პლაგიატის თავიდან აცილების საკითხებთან დაკავშირებით. | |
| სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2020-2021 აკადემიური წელი | სასურველია მეტი დრო დაეთმოს დამატებითი ღონისძიებების ორგანიზებას (სპორტული, შემოქმედებითი, გასართობი) და სტუდენტური ინციატივების წახალისებას, რომელთა შეფასებისას უფრო მეტი უკმაყოფილება გამოიკვეთა ვიდრე პირიქით. | სპორტული, შემოქმედებითი და გასართობი ღონისძიებების ნაწილზე, ზეგავლენა იქონია კოვიდ პანდემიამ და დისტანციური სწავლების რეჟიმმა, მიუხედავად ამისა, ფუტსალის გუნდმა გააგრძელა ასპარეზობა ლიგაში და არაერთ წარმატებას მიაღწია. რაც შეეხება სტუდენტური ინიციატივების წახალისებას, ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრმა, სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად, სტუდენტური პროექტების კონკურსი განახორციელა, რომელიც სამივე ფაკულტეტის სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა. | სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიში | 2020-2021 აკადემიური წელი | ტურიზმის ადმინისტრირების პროგრამა:<br>1.სტუდნეტები აღნიშნავენ, რომ არ აქვთ აქტიური კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>2.სტუდენტები აღნიშნავენ, რომ გამოცდების დრო არ არის საკმარის, განსაკუთრებით ისეთ საგნებში, სადაც ვრცელი თეორიული საკითხებია დასაწერი;<br>ინფორმატიკის პროგრამა: დაფიქსირდა ლექტორების მოტივაციის საკითხი, რომ კარგი იქნებოდა ისინი მეტად მოტივირებულები ყოფილიყვნენ და უფრო საინტერესოდ წარემართათ | ტურიზმის ადმინიტრირების პროგრამა:<br>1. ტურიზმის ადმინისტრირებას ჰყავს 11 აქტიური სტუდენტი და პროგრამის ხელმძღვანელი მუდმივ კომუნიკაციაშია სტუდენტებთან გარდა სტატუსშეჩერებული სტუდენტებისა. პროგრამის ხელმძღვანელისგან მოვიძიეთ შესაბამისი ინფორმაცია და დავასკვენით, რომ შესაძლოა, სტუდენტი, რომელიც დაესწრო შეხვედრას და გამოთქვა სურვილი პროგრამის ხელმძღვანელის გაცნობისა, იყოს სტატუსშეჩერებული, რომელმაც შემდგომში აღიდგინა სტატუსი. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი სტუდენტებს მუდმივად ხვდება, აცნობს ინფორმაციას გაცვლითი პროგრამების, პროგრამასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხებისა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ.<br>2. განვიხილეთ საკითხი გამოცდის დროის გაზრდის შესახებ, ამ ეტაპზე საგამოცდო დრო ლექტორების აზრით არის შესაბამისი.<br>ინფორმატიკის პროგრამა:<br>პროგრამის ხელმძღვანელს მუდმივი | ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ლექციები;<br>ფინანსებისა და საბანკო საქმის პროგრამა: სტუდენტების სურვილია სასწავლო ცხრილი ისე იყოს აწყობილი რომ ლექციებს შორის გათვალისწინებული იყოს შუალედები.<br>მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა:<br>1. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სასურველია პროგრამაში პრაქტიკული ნაწილი გაუმჯობესდეს;<br>2. საგამოცდო დროის ადმინისტრირების თაობაზე ზოგადად აღინიშნა, რომ გამოცდისათვის განსაზღვრული დრო არ არის საკმარისი, განსაკუთრებით ისეთ საგნებში, სადაც ვრცელი თეორიული საკითხებია დასაწერი (კონკრეტულად დასახელდა სასწავლო კურსი: „მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები და მეთოდები“).<br>3. ზუმ-პლატფორმით გამოცდების ადმინისტრირების პროცესის შეფასებასთან მიმართებით აღინიშნა, რომ გამოცდების დროს | კომუნიკაცია აქვს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს საკუთარი პერსონალის მხარდაჭერაზე სხვადასხვა ტრენინგებისა თუ სამეცნიერო აქტივობების შეთავაზებით.<br>გარდა ამისა, უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც დგება წლიური რეიტინგი და ფაკულტეტების მიხედვით პირველ სამ ადგილზე გასული აკადემიური და მოწვეული პერსონალი იღებს ფულად ჯილდოს. ასევე, აფილირებული აკადემიური პერსონალისათვის, სამეცნიერო აქტივობისათვის გასაზღვრული მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, განსაზღვრულია დამატებითი ანაზღაურება კვლევითი საქმიანობისათვის.<br>ფინანსებისა და საბანკო საქმის პროგრამა:<br>1.ვიმსჯელეთ ლექციებს შორის შუალედების გაზრდის შესახებ, შედეგად გადაწყდა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში (სტუდენტთა უმრავლესობის სურვილის შემთხვევაში) იქნება გათვალისწინებული სტდენტთა ინტერესი.<br>მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა:<br>1. მენეჯმენტის სასწავლო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტს არჩევითი სტატუსი აქვს, თუმცაღა, ცალკეული სასწავლო კურსები საკმაოდ გაჯერებულია პრაქტიკული დავალებებით და სამუშაოებით. პრაქტიკის კომპონენტის არჩევითობა განაპირობა პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა (მათ შორის სტუდენტების და კურსდამთავრებულების) გამოკითხვის შედეგების ანალიზმა. პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების უმეტესობა დასაქმებულია, ამიტომ კონკრეტულ ობიექტზე პრაქტიკის დამატებით გავლა ხშირად დისკომფორტს ქმნის | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | საკმაოდ ბევრი სტუდენტი იყო ზუუმში, მათ შორის სხვა პროგრამის სტუდენტები, რაც იწვევდა ხმაურს და ხელი ეშლებოდათ გამოცდების დაწერისას.<br>4. სასწავლო პროცესში ზუუმის პლატფორმის გამოყენების თაობაზე ზოგადად აღინიშნა, რომ ერთგვარი დისკომფორტია უფასო ვერსიის დროის ლიმიტი.<br>ბიზნესის ადმინიტრირების პროგრამა:<br>1. სტუდენტთა ნაწილმა დააფიქსირა, რომ არ აქვს საკმარისი კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანელთან და ისურვებდა დამატებითი გაცნობითი ხასიათის შეხვედრებს;<br>2. სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი, რომ უფრო დეტალური ინფორმაცია ჰქონდეთ პროგრამის შესახებ, მათ შორის არჩევითი და სავალდებულო სასწავლო კურსების შესახებ;<br>3. სტუდენტთა მხრიდან დაფიქსირდა სურვილი, რომ დროულად მოხდეს მათთან უკუკავშირი და რეაგირება | და ფორმალურ ხასიათს იღებს. სწორედ ამ მიზნით პროგრამის ცალკეულ სასწავლო კურსებში ინტეგრირდა პრაქტიკული დავალებები, კვლევითი სამუშაოები, რომლებიც ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების განვითარება-განმტკიცებაზე. ხოლო, იმ სტუდენტებს კი, ვისაც არ აქვს მუშაობის გამოცდილება, პრაქტიკის გავლა საკუთარი არჩევანის შესაბამისად შეუძლიათ. პრაქტიკის გავლა სასწავლო გეგმით მე-3 სემესტრშია გათვალისწინებული. ამდენად, სტუდენტებს შეუძლიათ ამ შესაძლებლობის გამოყენება.<br>2. საგამოცდო დროის თაობაზე გამოთქმული რეკომენდაცია პროგრამის ხელმძღვანელმა სასწავლო კურსის ავტორთან ერთად განიხილა, შეფასდა საგამოცდო საკითხებად შერჩეული დავალებების მოცულობა, სირთულე, აგრეთვე მათ შესასრულებლად განსაზღვრული დრო და არ გამოიკვეთა გამოცდისათვის განსაზღვრული დროის / საკითხების რაოდენობის/სირთულის კორექტირების საჭიროება, რადგან სილაბუსიც და მასში შემავალი სწავლება-შეფასების კომპონენტებიც (აქტივობებიც და ინსტრუმენტებიც) შერჩეულია საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტზე გათვლით. თუმცაღა, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევებზე დაკვირვება და შემდგომი ანალიზი კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს ამ რეკომენდაციის გათვალისწინების საჭიროებას.<br>3.აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა საგამოცდო ცენტრის წარმომადგენლებთან და შედეგად განისაზღვრა ერთ საგამოცდო სესიაზე ლიმიტირებული რაოდენობის სტუდენეტების დასმა.<br>4. ვინსჯელეთ ზუუმ-ის პლატფორმის სასწავლო პროცესში გამოყენების, მისი უპირატესობებისა და ხარვეზების თაობაზე. ლექტორებს აქვთ თავისუფალი არჩევანი - სასწავლო პროცესი ჩაატარონ ნებისმიერი ალტერნატიული | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მოწერილ მეილებზე, როგორც ფაკულტეტისაგან, ისე სხვა სტრუქტურული ერთეულების მხრიდან.<br>4. სტუდენტთა მხრიდან დაფიქსირდა, რომ სასურველია ფაკულტეტსა და სტუდენტებს შორის უფრო მჭიდრო კომუნიკაცია და სტუდენტთა მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ დროული უკუკავშირი. | პლატფორმის (თუნდაც გუგლ-მიით-ი) მეშვეობით, რომელსაც არ აქვს დროის ლიმიტი. ზოგიერთი სასწავლო კურსის განმახორციელებელი სწორედ გუგლ-მითს იყენებს.<br>ბიზნესის ადმინიტრირების პროგრამა:<br>1.ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე პროგრამის ხელმძღვანელმა მოამზადა პრეზენტაციები და ონლაინ ფორმატში შეხვდა სტუდენტებს სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე სემესტრის მიმდინარეობისას. თუმცა, ცხადია, ონლაინ ფორმატში შეხვედრა ვერ ცვლის ცოცხალ კომუნიკაციას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ პროგრამაზე ირიცხება როგორც აქტიური, ისე სტატუსშეჩერებული სტუდენტები. პროგრამის ხელმძღვანელს არ ჰქონია კომუნიკაცია სტატუსშეჩერებულ სტუდენტებთან. მიმდინარე ეტაპზე ამ მიმართულებითაც გააქტიურდა მუშაობა.<br>2.ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ონლაინ შეხვედრებზე პრეზენტაციისათვის პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული მასალა ოფიციალურ მეილებზე დაეგზავნათ სტუდენტებს (მათ შორის, იმ სტუდენტებსაც, რომელთაც მიზეზთა გამო ვერ მოახერხეს შეხვედრაზე დასწრება და/ან სტატუსი ჰქონდათ შეჩერებული და აღდგენას აპირებდნენ). აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის მოკლე აღწერა და სასწავლო გეგმა ელექტრონული ვერსიის სახით განთავსებულია ევროპის უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (იხ. https://eu.edu.ge/ge/program/598-biznesis-administrireba). გარდა აღნიშნულისა, პროგრამის სასწავლო გეგმაში ასახული სავალდებულო თუ არჩევითი სასწავლო კურსების თაობაზე სტუდენტებს კონსულტაციას უწევს სასწავლო | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | პროცესის მართვის მენეჯერიც, რომელიც კონკრეტული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით ეხმარება თითოეულ მათგანს სასწავლო კურს(ებ)თან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში. ასევე სტუდენეტს სასწავლო პროცესის ელექტრონულ ბაზაში თავის პირად გვერდზე უჩანს მთლიანი სასწავლო პროგრამა, რომელშიც დაზუსტებულია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები.<br>3. ფაკულტეტის ადმინისტრაცია მუდმივად უკეთებს უკუკავშირს სტუდენტებს მოწერილ მეილზე (არამარტო მეილზე არამედ სოციალური ქსელისს საშუალებით მოწერილ წერილებზეც);<br>4. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი მუდმივ კომუნიკაციაშია სტუდენტებთან გარდა სტატუსშეჩერებული სტუდენტებისა, ხოლო დეკანი სემეტრში ორჯერ ახორციელებს შეხვედრას სტუდენტებთან, რათა მოისმინოს სტუდენტების მხრიდან გამოთქმული უკუკავშირი მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება პრობლემურ საკითხებზე. | |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიში | 2020-2021 აკადემიური წელი | 1. პროგრამული ნაწილის თაობაზე სტუდენტთა ნაკლები ინფორმირებულობა (საგანამანათლებლო პროგრამის, კრედიტების განაწილებისა და სავალდებულო/არჩევითი საგნების შესახებ); ინტეგრირებული პროგრამის სტუდენტებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ გამოცდებისა და შეფასებების შესახებ.<br>2. გამოთქვეს | 1. როგორც წესი ფაკულტეტი, პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად ხვდება სტუდენტებს სემესტრის დასაწყისში. ტარდება რამდენიმე შეხვედრა პროგრამების მიხედვით. მიმდინარე სემესტრში დაიგეგმა დამატებითი ინდივიდუალური შეხვედრები ახალჩარიცხულ სტუდენტებთან. სტუდენტებს გაეგზავნათ მარეგულირებელი დოკუმენტები სასწავლო და საგამოცდო პროცესის შესახებ. რეგულარულად ტარდება შეხვედრები მიმდინარე სემესტრის განმახორციელებელ პერსონალთან, სადაც ერთ-ერთი მთავარი საკითხი არის მათი მხრიდან სტუდენტების ინფორმირება ინტეგრირებული სასწავლო კურსის ძირითადი პრინციპების და შეფასების სისტემის | მედიცინის ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | პრეტენზია მიმდინარე პრაქტიკული მეცადინეობებზე პრაქტიკის სავარჯიშო დრო რომ მეტი ქონდეთ OSCE-ის გამოცდამდე. OSCE-ის გამოცდაზე სადგურებზე დროის ნაკლებობა. არ იღებენ გამოცდების შემდეგ ლექტორების მხრიდან უკუკავშირს;<br>3. მიმდინარე შეფასებების ასახვა სასწავლო ბაზაში არ ხდება დროულად;<br>4. გამოთქვეს პრეტენზია ჯგუფში დიდი რაოდენობით სტუდენტების არსებობაზე, რადგან ვერ ხდება შესაბამისი კომუნიკაცია ლექტორთან და შეფასებებს ლექტორი ვერ ახერხებს სრულფასოვნად. | შესახებ. ინტეგრირებული პროგრამის შეფასების ნაწილი პროგრამულად დაიხვეწა სასწავლო ბაზაში.<br>2. სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელის, მისი მოადგილის და პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობით ზაფხულის პერიოდში ჩატარდა რეგულარული შეხვედრები კლინიკური უნარების სასწავლო კურსების განმახორციელებელ პერსონალთან. შეხვედრებზე დეტალურად იქნა განხილული თითოეული სასწავლო კურსის თემატიკა, შედეგები, სწავლების მეთოდები. ლექტორების მიერ მომზადდა სასწავლო ვიდეოები და დაიხვეწა შუალედური და დასკვნითი OSCE - ის გამოცდის საგამოცდო ფურცლები (ჩექლისთები) . მოხდა თითოეული ჩექლისთის დროში დატესტვა. სიმულაციურ ცენტრში დაინერგა საგამოცდო დროის მართვის ელექტრონული სისტემა, პერსონალისთვის ჩატარდა საჭირო ტრენინგები. შუალედური გამოცდების პერიოდში სტუდენტები იღებენ უკუკავშირს OSCE-ის თითოეული სადგურის გამომცდელის მხრიდან.<br>3. ლექტორებთან შეხვედრებზე მუდმივად ხაზი ესმევა მიმდინარე შეფასებების სასწავლო ბაზაში დროულად ასახვის აუცილებლობას. ამას გარდა, შუალედურ და დასკვნით გამოცდებამდე ხდება სასწავლო ბაზაში უწყისების მონიტორინგი სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების მიერ. საჭიროების შემთხვევაში ლექტორებთან კომუნიკაცია.<br>4. 2021-22 წლის შემოდგომის სემესტრის დაწყებამდე ჩატარდა ადმინისტრაციის რამდენიმე შეხვედრა დისტანციური სწავლების შემთხვევაში ჯგუფში სტუდენტების რაოდენობასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული იქნა სტუდენტების და ლექტორების აზრი, იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც დისტანციურ რეჟიმში ხორციელდება | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | სტუდენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. | |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიში | 2020-2021 აკადემიური წელი | 1. ისურვებდნენ უფრო აქტიურ კომუნიკაციას პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>2. ისურვებდნენ, რომ მოხდეს უფრო დროული და ზუსტი ინფორმირება პრაქტიკის კომპონენტის დაცვასა და წარსადგენი დოკუმენტების შესახებ; | 1. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურ კომუნიკაციაშია პროგრამაზე ჩარიცხულ პირებთან. უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრის შემდგომ, საჭიროებიდან გამომდინარე, დაიგეგმა მორიგი შეხვედრა მათთან. აღნიშნული შეხვედრის ფაგლებში, პროგრამის ხელმძღვანელმა და ფაკულტეტის დეკანმა, კიდევ ერთხელ განიხილეს მათთვის საინტერესო ყველა საკითხი.<br>2. რაც შეეხება პრაქტიკის კომპონენტს, ამ საკითხთან დაკავშირებით გვქონდა არაერთი შეხვედრა როგორც პირველ, ასევე მე-2 სემესტრში. სტუდენტებს პირველი სემესტრის დასრულებისთანავე გადაეგზავნა ყველა საჭირო დოკუმენტი, რომელსაც უნდა გაცნობოდნენ. საკითხი, კიდევ ერთხელ იქნა გავლილი ზემოაღნიშნულ შეხვედრაზეც. | მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიში | 2020-2021 აკადემიური წელი | 1. სტუდენტებმა დააფიქსირეს მოსაზრება კონკრეტულ ლექტორთან (კახა გოშაძესთან) დაკავშირებით. მათი თქმით, ლექტორი არ მიყვება სილაბუსს. იყენებს განსხვავებულ შეფასების სისტემას, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, გაუგებარია სტუდენტებისათვის. ამასთან, ვერ იღებენ შესაბამის უკუკავშირს;<br>2. სტუნდენტები საუბრობენ, რომ ლექტორები გვიან ასახავენ მიმდინარე შეფასებებს სასწავლო პროცესის მართვის | 1. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს დისტანციური სწავლების მონიტორინგის სისტემა, რის ფარგლებშიც პროგრამის ხელმძღვანელი უწევს მონიტორინგს აღნიშნულ პლატფორმაზე სემესტრის განმავლობაში ატვირთული მასალების შესაბამისობას სილაბუსით გათვალისწინებულ თემატიკასთან. აღნიშნული დააკვირვების ფარგლებში, ყურადსაღებია, რომ არ გამოკვეთილა რაიმე ცდომილება სალექციო კურსის მიმდინარეობასთან დაკავშირებით სილაბუსის შინაარსთან მიმართებაში. შესაბამისად, რთულია დავადგინოთ, რამდენად ობიექტური იყო სტუდენტი ამ შეფასების პროცესში. საყურადღებო საკითხად გამოიკვეთა სტუდენტებთან კომუნიკაციის პრობლემა, ამიტომ პროგრამის ხელმძღვანელებმა მოახდინეს კომუნიკაცია შესაბამის ლექტორთან. მისი მხრიდან საკითხი განასხვავებულად იყო აღქმული, რაც ბუნებრივია საკმარისი ვერ იქნებოდა, რაზეც მას მიეცა რეკომენდაცია, რომ | სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ელექტრონულ სისტემაში (მაგალითის სახით ასახელებენ სასამართლო უნარჩვევების სასწავლო კურსს, ლექტორი ნინო აღლემაშვილი). | განსაკუთრებული გულისხმიერება გამოოიჩინოს სტუდენტებთან და მეტი დრო დაუთმოს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს და კონსულტაციებს.<br>2. აღნიშნულ საკითხზე ყოველსემესტრულ შეხვედრაზე მუდმივად კეთდება აქცენტი, ასევე იგზავნება მეილები ლექტორებთან ამ საკითხის შემცველი ინფორმაციით. მიუხედავად ამისა ლექტორების მხრიდან მაინც აქვს გადაცდომებს ადგილი, რის გამოც პროგრამის ხელმძღვანელი შეხვდა დასახელებულ ლექტორს და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საკითხის მნიშვნელობას. | |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიში | 2020-2021 აკადემიური წელი | 1. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ გარკვეულ სასწავლო კურსებში საგამოცდო დრო არ არის საკმარისი. საუბრობენ, რომ კონკრეტული ლექტორის შემთხვევაში - თამარ უსანეთაშვილი - უფრო ნაკლები დრო მიეცათ სტუდნეტებს შუალედური გამოცდის დასაწერად, ვიდრე იყო განსაზღვრული.<br>2. სტუდენტები საუბრობენ, რომ გამოცდები აქვთ მიყოლებით. | 1. საგამოცდო დროის სიმცირესთან დაკავშირებული საკითხის გამოკვეთის გამო პროგრამის ხელმძღვანელების მხრიდან მოხდა სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა, შედეგად, გამოიკვეთა, რომ იმ ფორმატისა და სასწავლო მასალისათვის, რაც ასახულია სილაბუსში შეესაბამება იმ დროს, რაც გამოცდისთვისაა განკუთვნილი. გარდა ამისა, იმისათვის, რომ აღნიშნული ცვლილება განხორციელდეს საჭიროა კონკრეტული საგნის იდენტიფიცირება. კონკრეტულ ლექტორთან, თამარ უსანეთაშვილთან დაკავშირებულ საკითხზე მოხდა მყისიერი რეაგირება, ეს შემთხვევა დაკავშირებული იყო ტექნიკურ ხარვეზთან, რომელიც დარეგულირდა გამოცდების პერიოდშივე.<br>2. საგამოცდო განრიგის შედგენა ხდება სპეციალური პროგრამის საშუალებით, რომელიც განსაზღვრავს ამ განრიგს. ხელით საგამოცდო თარიღის შესწორება ხდება მაშინ, თუ სტუდენტს ერთმანეთზე ემთხვევა გამოცდები. | ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტებთან | 2020-2021 აკადემიური წელი | 1. დროულად არ იტვირთება გამოცდაზე მიღებული შედეგები | 1. გამოცდაზე მიღებული შედეგების ბაზაში დროულად ატვირთვა დამოკიდებულია ლექტორების მხრიდან მათ დროულად შესწორებაზე და საგამოცდო | საგამოცდო ცენტრი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| განხორციელებული შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიში | | სტუდენტურ ბაზებში.<br>2. კომუნიკაციის ნაკლებობა და არადროული საპასუხო შეტყობინებების მიღება საგამოცდო ცენტრის მხრიდან.<br>3. გამოცდის მიმდინარეობისას დაფიქსირებული ტექნიკური შეცდომის თაობაზე, არ მომხდარა საგამოცდო ცენტრის მხრიდან რეაგირება. | ცენტრისთვის შეფასებების მიწოდებაზე. ლექტორებს აქვთ 5 დღე ნაშრომების გასასწორებლად. როგორც კი ისინი დადგენილ ვადაში აწვდიან საგამოცდო ცენტრს საგამოცდო საკითხებს, შეფასებები იტვირთება სტუდენტურ ბაზებზე. ლექტორებთან ხდება მუდმივი კომუნიკაცია, დადგენილ ვადაში გასწორებული ნაშრომების მოწოდების თაობაზე.<br>2. ვინაიდან საგამოცდო პროცესის მიმდიანერობისას სხვა საქმიანობასთან ერთად შეტყობინებებზე პასუხის გაცემა რთულია, ამიტომაც პრიორიტეტების მიხედვით ხდება შემოსულ მეილებზე პასუხის დაბრუნება (რამდენად სასწრაფოა ამა თუ იმ საკითხის მოგვარება და დროული რეაგირება). თავის მხრივ პრიორიტეტიზაცია იწვევს გარკვეულ შეტყობინებებზე პასუხის დაგვიანებას.<br>3. საგამოცდო ცენტრის მხრიდან ინფორმირებულია თითოეული სტუდენტი, რომ შინაარსობრივი ხასიათის ხარვეზის დაფიქსირების შემთხვევაში საგამოცდო ნაშრომშივე დააფიქსირონ კომენტარის სახით, რათა ლექტორმა (როგორც დარგის სპეციალისტმა და სასწავლო კურსის განმახორციელებელმა) მოახდინოს შესაბამისი რეგიარება. რაც შეეხება ტექნიკური ხასიათის ხარვეზებს, საგამოცდოს მხრიდან ხდება მათი იდენტიფიცირება და შემდგომი რეაგირება, რომ არცერთ სტუდენტს არ დაეკარგოს შეფასება.<br>მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანთ სასწავლო კურსი „ენდოკრინოლოგია“ (ლექტორი რამაზ ყურაშვილი), სადაც 10 ქულის ნაცვლად საგამოცდო საკითხები შეფასდა 1 ქულის ფარგლებში. განხილული იქნა აღნიშნული შემთხვევა, ლექტორის მხრიდან დაიწერა ოფიციალური განცხადება მანამდე გაკეთებული შეფასებების ანულირების და ხელახალი შეფასებების ბაზებში ატვირთვის თაობაზე. შეფასება ლექტორმა ხელახლა განახორციელა, ამჯერად 10 ქულის ფარგლებში და მიაწოდა | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | საგამოცდო ცენტრს.<br>ასევე მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ, რომ სასწავლო კურსში „ქირურგიული დაავადებები 2“ (ლექტორი გიორგი კოსმანი) ერთ-ერთ დავალებაში ფიქსირდებოდა ორი სწორი პასუხი, ხოლო ლექტორს სწორ პასუხად საგამოცდო ცენტრისთვის გადმოცემული ჰქონდა მხოლოდ ერთი, შესაბამისად სისტემაც აღიქვამდა მხოლოდ ერთ სწორ პასუხს, ხოლო მეორე პასუხს (რომელიც ასევე სწორი იყო) არ ანიჭებდა შეფასებას. განხილული იქნა საკითხი სააპელაციო კომისიაზე და ყველა სტუდენტს, რომლებსაც ამ ორი სწორი პასუხიდან ერთ-ერთი მაინც ჰქონდა დაფიქსირებული ჩაეთვალათ შეფასებები და მიენიჭათ შესაბამისი ქულა. | |
| საერთაშორისო მობილობით სტდენტთა კმაყოფილების კითხვარი | 2020-2021 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი | 1. „უარყოფითი იყო პირობები უნივერსიტეტის მხრიდან არასახარბიელო და ასევე მათი დამოკიდებულება სტუდენტების მიმართ, ვერ აგვარებდნენ სათანადოდ პრობლემებს რომლებიც სტუდენტებს ექმნებოდათ უნივერსიტეტსა და შენობაში“- საუბარია მიმღებ უნივერსიტეტზე.<br>2. სტუდენტებმა გამოთქვეს უკმაყოფილება იმის გამო, რომ პანდემიის მიზეზით გაუქმებულ რეისზე პასუხისმგებლობა არ აიღო უნივერსიტეტმა და ბილეთების გადაცვლისას მათ თავად მოუწიათ | 1. მოხდა კომენტარის ავტორთან კომუნიკაცია, რათა დაგვეზუსტებინა პრობლემის არსი. სტუდენტმა ჩვენს კითხვაზე საპასუხოდ აღნიშნა, რომ არ იყო კმაყოფილი უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის პირობებით, რამეთუ საზიარო ოთახებში არ იყო ჰიგიენის ნორმები დაცული. მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სტუდენტების აღნიშნულ უნივერსიტეტში გაგზავნის შემთხვევაში, ისინი საცხოვრებლად განვათავსოთ მეორე კამპუსში, სადაც სტუდენტისვე ინფორამციით ბევრად უკეთესი პირობებია. ამასთან, მოხდება წინასწარი კომუნიკაცია პარტნიორ უნივერსიტეტთან, რათა დავრწმუნდეთ, რომ ისინი ინფორმირებულები არიან ამ პრობლემატიკის შესახებ და მოხდება შეთანხმება რომ ეცდებიან, სტუდენტისთვის შესაბამისი პირობების შექმნას.<br>2. რაც შეეხება ფინანსურ საკითხს, ბილეთი სრულად დაფინანსდა უნივერსიტეტის მხრიდან, თუმცა პანდემიის გამო მოხდა რეისის გაუქმება და სტუდენტებს მოუწიათ სხვა რეისით მგზავრობა, რის გამოც დადგა თანხის დამატების საჭიროება. | საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მცირეოდენი თანხის დამატება. | უნივერსიტეტმა შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და თავიდანვე შეიძინა ორმხრივი ბილეთი, მაგრამ ფორს მაჟორზე პასუხისმგებლობა ტურისტულმა სააგენტომ თავის თავზე არ აიღო. იმისათვის, რომ სტუდენტები უკეთ იყვნენ ინფორმირებულები ერთი მხრივ, მათი, მეორე მხრივ ტურისტული სააგენტოს და აგრეთვე უნივერსიტეტის პასუხისმგებლობების შესახებ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მომდევნო სემესტრიდან, მობილობით მიმავალ სტუდენტებს, წერილობით განემარტოთ სტიპენდიის პირობები, სადაც ცალსახად იქნება აღნიშნული, რომ პანდემიისა თუ სხვა ფორს მაჟორით გამოწვეულ პრობლემებზე უნივერსიტეტი ფინანსურ ვალდებულებას არ იღებს. | |
| მობილობაში მონაწილე სტუდენტების გამოკითხვა | 2020-2021 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი | 1.სასწავლო გარემო;<br>2.სტუდენტური ცხოვრება;<br>3.პროფესიული და კარიერული ზრდა. | მოგეხსენებათ 2020 წელს პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე რთულია სტუდენტებისათვის სხვადასხვა კულტურული და შემეცნებითი აქტივობების დაგეგმვა. თუმცა, ვფიქრობთ უნივერსიტეტი იყენებს ყველა რესურს და შესაძლებლობას, რომ ჩატარდეს აქტივობები, რომლებიც შესაძლებელია ონლაინ ფორმატში განხორციელდეს. | მედიცინის ფაკულტეტი |
| მობილობაში მონაწილე სტუდენტების გამოკითხვა | 2020-2021 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი | 1. სტუდენტებისა და პროფესორების ურთიერთობა<br>2. პროფესორები<br>3. სწავლების ხარისხი | 1. როგორც სტუდენტებთან, ისე პროფესორ-მასწავლებლებთან განხორციელდა შეხვედრები მათგან სასწავლო პროცესთან დავშირებით არსებულ საჭიროებებზე ინფორმაციის მიღების მიზნით. ასევე დაგეგმილია კიდევ ერთი შეხვედრა ნოემბრის ბოლოს როგორც აკადემიურ პეროსნალთან, ასევე სტუდნეტებთან.<br>2. რაც შეეხება მეორე საკითხს, რომელიც დაასახელეს სტუდენტებმა - პროფესორების ნაწილში აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს აკადემიური კონკურსი პერსონალის განახლების და მრავალფეროვანი და მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვის მიზნით.<br>3. რაც შეეხება სწავლების ხარისხს, როგორც მოგეხსენებათ ახლა | სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ვიმყოფებით ელ. სწავლების ფარგლებში. უნივერსიტეტს გააჩნია ელექტრონული სწავლების ხარისხის კონტროლის მექანიზმები, რის საფუძველზეც მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი ელ. სწავლებაზე. აქტიურად მიმდინარეობს ახალ ლექტორებტან დასწრება ლექციებზე. მინმდინარეობს ლექტორების გადამზადება სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრის მიერ. | |
| შალედური გამოცდებით კმაყოფილების კვლევა | 2020-2021 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი | 1. მუდლის პლატფორმის დახვეწვა და ფუნქციების დამატება;<br>2. სტუდენტებთან შეხვედრების ორგანიზება | 1. მუდლის პლათფორმა გაძლიერდა და სტუდენტების მეტ რაოდენობას უძლებს სერვერი ერთდროულად, დაემატა სხვა ტაბების გახსნის შეზღუდვა გამოცდის წერის პროცესში და საიტს შეეცვალა ინტერფეისი;<br>2. შეხვედრები დეველოპერთან და მისი მხრიდან მოძიებულ იქნა სხვა უნივერსიტეტების პრაქტიკა, მან გაიარა კონსულტაციები მათთანაც. | საგამოცდო ცენტრი |
| დასკვნითი გამოცდებით კმაყოფილების კვლევა | 2020-2021 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი | 1. საგამოცდო დროის განსაზღვრა პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად<br>2. ტუდენტებისთვის ცხრილში ცვლილებებზე ინფორმაციის მიწოდება | 1. იქიდან გამომდინარე, რომ იყო უკმაყოფილება საგამოცდო დროის სიმცირეზე, ყველა პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გადაიხედა. განკუთვნილი დრო რელევანტურია და დადასტურებულია ლექტორების მხრიდანაც.<br>2. ცხრილში ასახული ცვლილებების შესახებ სტუდენტებს მისდიოდათ მეილები. | საგამოცდო ცენტრი |
| შალედური გამოცდებით კმაყოფილების კვლევა | 2020-2021 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი | 1. შუალედური გამოცდების მიმდინარეობისას MOODLE- ში მითითებული სწორი პასუხები სტუდენტებს ეთვლებათ არასწორად. ხშირად კითხვები არაა დასრულებული.<br>2. შუალედური გამოცდა არ იწყება მითითებულ დროს.<br>3. ხშირად სილაბუსში მითითებული დრო არ ემთხვევა | 1. შუალედური საგამოცდო საკითხების MOODLE- ში ატვირთვა ხდება ლექტორის მიერ გადმოგზავნილი, მონიშნული პასუხების მიხედვით, რათა სისტემამ შესაბამისი აღნიშვნა აღიქვას სწორ პასუხად. ატვირთვის პროცესშივე რა ხერვეზიც გამოიკვეთება, მაშინვე ხდება ლექტორთან კომუნიკაცია და მისი გასწორება ჯერ კიდევ გამოცდის ჩატარებამდე. იმ შემთხვევაში, თუკი ხარვეზები დაფიქსირდება გამოცდის ჩატარების შემდეგ, ყველა არასწორად აღქმული პასუხი ჩაეთველება სტუდენტს სწორ შეფასებად. შესაბამისად ის ქულას არ კარგავს. მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანთ სასწავლო კურსი | საგამოცდო ცენტრი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გამოცდისათვის გამოყოფილ დროს.<br>4. სტუდენტი აფიქსირებს, რომ ხშირად მის პასუხებს პროგრამა არ იმახსოვრებს და პასუხგაუცემელ კითხვად უთვლის.<br>5. დროულად არ იტვირთება გამოცდაზე მიღებული შედეგები ბაზაში.<br>6. სტუდენტთა ძალიან მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ არ იწყებოდა გამოცდა განრიგით გათვალისწინებულ დროს.<br>7. სტუდენტთა ძალიან მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ გამოცდის დაწყებამდე და მსვლელობისას სტუდენტთა უზრუნველყოფა ყველა საჭირო ინსტრუქციით არ მომხდარა.<br>8. სტუდენტთა ძალიან მცირე ნაწილი გამოთქვამს უკმაყოფილებას გამოცდის დამკვირვებელთა ორგანიზებულობისა და თავაზიანობის შესახებ.<br>9. სტუდენტთა მცირე ნაწილი გამოთქვამს უკმაყოფილებას, რომ არ მომხდარა მათი ინფორმირება გამოცდის თარიღის ცვლილებასთან დაკავშირებით | „ენდოკრინოლოგია“ (ლექტორი რამაზ ყურაშვილი), სადაც 10 ქულის ნაცვლად საგამოცდო საკითხები შეფასდა 1 ქულის ფარგლებში. განხილული იქნა აღნიშნული შემთხვევა, ლექტორის მხრიდან დაიწერა ოფიციალური განცხადება მანამდე გაკეთებული შეფასებების ანულირების და ხელახალი შეფასებების ბაზებში ატვირთვის თაობაზე. შეფასება ლექტორმა ხელახლა განახორციელა, ამჯერად 10 ქულის ფარგლებში და მიაწოდა საგამოცდო ცენტრს.<br>ასევე, მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ, რომ სასწავლო კურსში „ქირურგიული დაავადებები 2“ (ლექტორი გიორგი კოსმანი) ერთ-ერთ დავალებაში ფიქსირდებოდა ორი სწორი პასუხი, ხოლო ლექტორს სწორ პასუხად საგამოცდო ცენტრისთვის გადმოცემული ჰქონდა მხოლოდ ერთი, შესაბამისად სისტემაც აღიქვამდა მხოლოდ ერთ სწორ პასუხს, ხოლო მეორე პასუხს (რომელიც ასევე სწორი იყო) არ ანიჭებდა შეფასებას. განხილული იქნა საკითხი სააპელაციო კომისიაზე და ყველა სტუდენტს, რომლებსაც ამ ორი სწორი პასუხიდან ერთ-ერთი მაინც ჰქონდა დაფიქსირებული ჩაეთვალათ შეფასებები და მიენიჭათ შესაბამისი ქულა.<br>2. ყველა შუალედური გამოცდა იწყება ცხრილში მითითებულ დროს. დროის ცვლილების შემთხვევაში სტუდენტებს ეცნობებათ უნივერსიტეტის საფოსტო მისამართზე.<br>3. დისტანციური პირობების გათვალისწინებით მოხდა საგამოცდო კომპონენტების ცვლილება, რამაც გამოიწვია საგამოცდო დროისთვის განსაზღვრული ხანგრძლივობის დაკორექტირებაც, აღსანიშნავია, რომ გამოცდის ხანგრძლივობის ცვლილება განხორციელებულია ლექტორის მიერ და მხოლოდ მასთან შეთანხმებით, ცვლილების შესახებ ინფორმაცია გაგზავნილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთანაც. თითოეული გამოცდისთვის გამოყოფილ დროს ლექტორი | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | უთითებს გადმოგზავნილ საგამოცდო საკითხების თავფურცელში, საგამოცდო მასალის სირთულიდან გამომდინარე.<br>4. თუკი დაიდენტიფიცირდება, რომ პროგრამამ პასუხები არ დაიმახსოვრა და სტუდენტს პასუხგაუცემელ კითხვად ჩაუთვალა, ასეთი პასუხი დაკორექტირდება და სტუდენტს ეს შეფასება არ დაეკარგება. მიმდინარე სემესტრში მსგავსი პრეცენდენტი არ დაფიქსირებულა, თუმცა გასულ სემესტრში სტუდენტის მხრიდან გაკეთებული შეფასებები არ დაიმახსოვრა სისტემამ. საგამოცდო ცენტრმა, ტექნიკურ სამსახურთან ერთად იმუშავა ამ კონკრეტულ ქეისზე, გაიხსნა საგამოცდო ნაშრომი და ხელახლა მოხდა ტექნიკურად გასწორება, ისე რომ სტუდენტის მხრიდან მონიშნული პასუხები საბოლოოდ დაფიქსირდა და შენახულ იქნა moodle-ზე.<br>5. გამოცდაზე მიღებული შედეგების ბაზაში დროულად ატვირთვა დამოკიდებულია ლექტორების მხრიდან მათ დროულად შესწორებაზე და შეფასებების მოწოდებაზე. ლექტორებს აქვთ 5 დღე ნაშრომების გასასწორებლად. როგორც კი ისინი დადგენილ ვადაში მოაწვდიან საგამოცდო ცენტრს გასწორებულ საგამოცდო საკითხებს, შეფასებები იტვირთება სტუდენტურ ბაზებზე. ლექტორებთან ხდება მუდმივი კომუნიკაცია, დადგენილ ვადაში გასწორებული ნაშრომების მოწოდების თაობაზე.<br>6. გამოცდა ყოველთვის იწყება განრიგით გათვალისწინებულ დროს. მცირედი დაგვიანება შესაძლოა განპირობებული იყოს სტუდენტთა იდენტიფიცირებისთვის დახარჯული დროის ან რაიმე ტექნიკური ხარვეზის გამო, თუმცა ამას ბუნებრივია არა აქვს პერმანენტული ხასიათი.<br>7. თითოეული დამკვირვებელი წინასწარ არის დატრენინგებული, რომ მოახდინოს სტუდენტთა უზრუნველყოფა ყველა საჭირო ინსტრუქციით.<br>8. თითოეული დამკვირვებელი | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | წინასწარ არის დატრენინგებული, გამოცდაზე მოქცევის წესების თაობაზე, რაც მოიცავს დამკვირვებელთა ორგანიზებულობისა და თავაზიანობის შესახებ მითითებებსაც.<br>9. ყოველთვის ხდება სტუდენტთა ინფორმირება გამოცდის თარიღის ცვლილებასთან დაკავშირებით. საკომუნიკაციო წყარო არის მეილი და აუცილებელია, რომ სტუდენტებმა დროულად შეამოწმონ მეილზე მისული შეტყობინებები. | |
| შალედური გამოცდებით კმაყოფილების კვლევა (ოსკი) | 2020-2021 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი | 1. სტუდენტებს მიეცეს გამოცდის წინ ზუსტი ინსტრუქცია;<br>2. გადაიხედოს და ზუსტად გაიწეროს გამოცდის მთლიანი და თითოეული სადგურის საგამოცდო დრო;<br>3. თითოეულ სადგურზე სტუდენტისთვის მიცემული ინსტრუქცია იყოს უფრო გასაგები და შესაბამისი მოცემულ დავალებასთან;<br>4. გამომცდელებს მიეცეთ მკაცრი ინსტრუქცია, რათა გამოცდა მოხდეს დავალების შესაბამისი ჩექლისტის კრიტერიუმების მიხედვით და სტუდენტებთან გამომცდელის კომუნიკაცია იყოს მინიმალური. | 1. სტუდენტები გამოცდის წინ იკრიბებიან მოსაცდელ ოთახში სადაც ზუსტად, ყველა დეტალის გავლით ხდება გამოცდის მიმდინარეობის ტექნიკური საკითხების ახსნა;<br>2. მოხდა სიმულაციური ლაბორატორიის ყველა ლექტორთან შეხვედრა სადაც განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ჩექლისტების სრულყოფას არა მარტო შინაარსობრივად, არამედ სადგურის ხანგრძლივობის თვალსაზრისით. აღნიშნული მონაცემებით და სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით ოპტიმალურად დაიგეგმა გამოცდის დროც;<br>3. ლექტორებთან შეხვედრას ასევე დიდი ყურადღება მიექცა თითოეული სადგურზე შესასრულებელი დავალების ინსტრუქციის დახვეწას;<br>4. ლექტორებთან შეხვედრაზე განხილულ იქნა ცალკეულ სადგურზე გამომცდელის მიერ სტუდენტების შეფასების კრიტერიუმები და მინიმალური კომუნიკაციის უპირობო შესრულება მათი მხრიდან. ასევე უშუალოდ გამოცდის წინ გამომცდელებს კიდევ ერთხელ ეძლეოდათ ზუსტი ინსტრუქცია თუ როგორ უნდა ჩატარებულიყო გამოცდა. | სიმულაციური ცენტრი |
| დასკვნითი გამოცდებით კმაყოფილების კვლევა | 2020-2021 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი | 1. მნიშვნელოვანია, საგამოცდო ცხრილების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდოთ, | 1. იქედან გამომდინარე, რომ სტუდენტების მხრიდან იყო უკმაყოფილება ცხრილის დაგვიანებით მიწოდებასთან დაკავშირებით, მათთვის საბაზისო საგნების ცხრილი იტვირეთება ორი | საგამოცდო ცენტრი (მედიცინის ფაკულტეტი) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გონივრულ ვადაში;<br>2. მნიშნელოვანია, საგამოცდო ცხრილების შედგენისას გათვალისწინებული იყოს საგნების დამთხვევის შემთვევები. | კვირით ადრე, ხოლო კურაციული საგნები აღარ გაეგზავნებათ ცალკე ექსელის სახით და მიყვებიან იმ თარიღს რაც მათ ასახული აქვთ ბაზაში;<br>2. საგამოცდო ცხრილი აღარ ემთხვევათ სტუდენტებს, რადგან უკვე ხდება დამთხვევების შემოწმება. | |
| დასკვნითი გამოცდებით კმაყოფილების კვლევა | 2020-2021 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი | 1. საგამოცდო დროის განსაზღვრა;<br>2. ერთ-ერთი სტუდენტი აფიქსირებს, რომ არ მოხდა მისი ინდივიდუალური შემთხვევის გათვალისწინება. კერძოდ, საგამოცდო პროცესის მსვლელობისას ჩაქრა შუქი და ვერ მოახერხა გამოცდის დასრულება. | 1. იქიდან გამომდინარე, რომ იყო უკმაყოფილება საგამოცდო დროსთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ლექტორებთან ერთად გადაიხედა სილაბუსი, თუმცა დრო უცვლელი დარჩა, ვინაიდან შესაბამისი იყო სილაბუსის.<br>2. სტუდენტმა არ წარმოადგინა მტკიცებულება (სმს ან რაიმე სხვა) შესაბამისად, არ მოხდა აღნიშნულის გათვალისწინება. უნივერსიტეტი სტუდენტებს დასაბუთებული მტკიცებულების წარდგენს შემდეგ, აძლევს უფლებას აღადგინოს გამოცდა, ამიტომაც მათი მხრიდან გაკეთებული კომენტარი, რომ უნივერსიტეტი არ აძლევს საშუალებას, არ შეესაბამება რეალობას. | საგამოცდო ცენტრი (ბიზნესისა და ტექნოლოგიებისა და სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი) |
| დასკვნითი გამოცდებით კმაყოფილების კვლევა | 2020-2021 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი | აღსანიშნავია, რომ OSCE შუალედური გამოცდებით კმაყოფილების კვლევის შემდგომ გაზრდილია სტუდენტთა კმაყოფილება, კერძოდ:<br>1. დასკვნითი გამოცდების გამოკითხვის შედეგებში გამოკითხულთა თითქმის 82%-თვის მიღებული ინსტრუქცია იყო საკმარისი და გასაგები;<br>2. დასკვნითი გამოცდების გამოკითხვის შედეგებში | ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:<br>1. სტუდენტები გამოცდის წინ იკრიბებოდნენ მოსაცდელ ოთახში სადაც ზუსტად, ყველა დეტალის გავლით ხდებოდა გამოცდის მიმდინარეობის ტექნიკური საკითხების ახსნა;<br>2. მოხდა სიმულაციური ლაბორატორიის ყველა ლექტორთან შეხვედრა სადაც განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ჩექლისტების სრულყოფას არა მარტო შინაარსობრივად, არამედ სადგურის ხანგრძლივობის თვალსაზრისით. აღნიშნული მონაცემებით და სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით ოპტიმალურად დაიგეგმა გამოცდის დროც;<br>3. ლექტორებთან შეხვედრისას, ასევე, დიდი ყურადღება მიექცა თვითოეულ სადგურზე | სიმულაციური ცენტრი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გამოკითხულთა 69,09%-თვის გამოცდისთვის გამოყოფილი დრო იყო საკმარისი;<br>3. დასკვნითი გამოცდების გამოკითხვის შედეგად კითხვაზე „ინსტრუქცია თვითოეული სადგურზე იყო მკაფიო და ადექვატური" გამოკითხულთა 74.55% მისცა მაქსიმალური შეფასება, უკმაყოფილო იყო მხოლოდ 5.45%;<br>4. დასკვნითი გამოცდების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, გამომცდელების ობიექტურობასთან დაკავშირებით სტუდენტების კმაყოფილება გაიზარდა 37.33%-დან 54.55%-მდე, თუმცა აღნიშნული საკითხი კვლავ საჭიროებს დახვეწას. | შესასრულებელი დავალების ინსტრუქციის დახვეწას;<br>4. კიდევ ერთი საკითხი რაც განვიხილეთ ლექტორებთან შეხვედრაზე იყო ცალკეულ სადგურზე გამომცდელის მიერ სტუდენტების შეფასების კრიტერიუმები და მინიმალური კომუნიკაციის უპირობო შესრულება მათ მიერ. ასევე უშუალოდ გამოცდის წინ კიდევ ერთხელ იკრიბებოდნენ გამომცდელები და ხელმეორედ ეძლეოდათ ზუსტი ინსტრუქცია თუ როგორ უნდა ჩატარებული გამოცდა. | |
| ლექტორების გამოკითხვა ელექტორნული სწავლების შესახებ | 2020-2021 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი | სასწავლო პროცესში ხარისხიანი სწავლების შედეგები - კვლევისას დაფიქსირდა რიგ შემთხვევაში შეუსაბამო საკითხები, მაგალითად ლექტორი კმაყოფილია მიღებული შედეგით, სტუდენტები ნახევრად და ა.შ. ასევე სტუდენტების | შედეგების გადასამოწმებლად და შესაბამისი დასკვნების გამოსატანად, სასწავლო პროცესის განმავლობაში მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი პროგრამის ხელმძღვანელების და სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ. | ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ლექციებზე დასწრების საკითხი | | |
| ლექტორების გამოკითხვა ელექტორნული სწავლების შესახებ | 2020-2021 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი | 1. ლექტორების მხრიდან გამოითქვა თხოვნა, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლები დაეხმარონ მუდლის პლათფორმაზე ლიტერატურის ატვირთვაში;<br>2. ლექტორები გამოთქვამენ სურვილს ადმინისტრაციის მხრიდან იყოს მკაცრი მოთხოვნა ვიდეო კამერების ჩართვაზე და სტუდენტების დასწრებაზე;<br>3. ლექტორები და სტუდენტები ხაზს უსვამენ ონლაინ პროცესის დროს პრაქტიკული ნაწილის უნარების ნაკლებობას. | 1. აღნიშნული ხარვეზი მოგვარებულია, სავალდებულო ლიტერატურის ატვირთვა აღარ უწევთ პედაგოგებს და მუდლზე იტვირთება ადმინისტრაციის მიერ ყოველი კურაციის დაწყებისას ყველა ჯგუფისთვის.<br>2. ლექტორებს და სტუდენტებს გაეგზავნათ ინფორმაცია ონლაინ მეცადიენეობების დროს კამერის ჩართვის აუცილებლობის თაობაზე.<br>3. ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე სასწავლო პროცესი დაიწყო ონლაინ რეჟიმში. თუმცა 19 ოქტომბრიდან, კლინიკური კურაციების პრაქტიკული მეცადინეობები, ასევე ლაბორატორიული სამუშაობები შეძლებისდაგვარად ხორციელდება უნივერსიტეტში. | მედიცინის ფაკულტეტი |
| ლექტორების გამოკითხვა ელექტორნული სწავლების შესახებ | 2020-2021 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი | ზოგიერთი ლექტორის თქმით, სტუდენტები, მოთხოვნის მიუხედავად, არ იყენებენ ვიდეო კამერას, რაც ლექციის სრულყოფილად წარმართვისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. | ამ საკითხთან დაკავშირებით მოხდა სტუდენტების ინფორმირება, როგორც საერთო შეხვედრაზე, ისე ინდივიდუალური კომუნიკაციით მეილის საშუალებით. ყველა სტუდენტს მიეწოდა ინფორმაცია კამერების ჩართვის სავალდებულოობასთან დაკავშირებით. ყველა სტუდენტს მიეცა გაფრთხილება იმასთან დაკავშირებით, რომ იმ შემთხვევაში თუ კამერას ვერ ჩართავენ წინასწარ უნდა დაწერონ ამასთან დაკავშირებით განცხადება, სადაც საპატიო მიზეზს მიუთითებენ და მტკიცებულებებით გაამყარებენ თუ რის გამო ვერ რთავენ კამერას. | სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| ლექტორების გამოკითხვა ელექტორნული სწავლების შესახებ | 2020-2021 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი | გამოკითხული ლექტორების უმეტესობა დადებითად აფასებს სასწავლო პროცესის | აღნიშნულთან დაკავშირებით სასწავლო პროცესის დაწყების შემდგომ გაიმართა შეხვედრა სტუდენტებთან, შეხვედრაზე საუბარი იყო ლექციებზე დასწრებასთან დაკავშირებითაც. | ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მიმდინარეობას დისტანციურ რეჟიმში. ამასთან, გამოითქვა მოსაზრებები სტუდენტების დასწრებასთან დაკავშირებით. | მოხდა მიზეზების დადგენა და აღმოჩნდა, რომ ლექციებზე სტუდენტთა სიმცირე, ძირითადად გამოწვეულია პირადი მიზეზით. აღსანიშნავია, რომ ყოველი სემესტრის დასაწყისში ხდება დისტანციური სწავლების მიღმა დარჩენილი სტუდენტების იდენტიფიცირება, მიზეზების კვლევა და შესაბამისი რეაგირება. | |
| ლექტორების გამოკითხვა ელექტრონული სწავლების შესახებ | 2020-2021 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი | 1. ლექტორებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ჯგუფის მენეჯერის შესახებ ინფორმაცია ყოფილიყო ასახული მუდლზე. | 1. განვიხილეთ აღნიშნული საკითხი სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერებთან შეხვედრაზე. მათ მიერ ყველა მიმდინარე და შემდგომ სასწავლო კურაციებზე მოხდა ჯგუფზე პასუხისმგებელი მენეჯერის შესახებ ინფორმაციის განთავსება მუდლზე, შესაბამისი სასწავლო კურსის საინფორმაციო ველში. | მედიცინის ფაკულტეტი |
| ლექტორების გამოკითხვა ელექტრონული სწავლების შესახებ | 2020-2021 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი | ლექტორების მხრიდან დაფიქსირდა შემდეგი კომენტარები:<br>1.„დიახ. შერეული მეთოდით ლექციის წაყვანის დროს, საკმაოდ რთულია, როცა პროექტორი ვერ აჩვენებს უფრო მკვეთრად“<br>2.„კარგი იქნება, თუ სტუდენტებს ხშირად მოვუწოდებთ, რომ დაესწრონ ლექციებს, რამდენადაც ეს აამაღლებს მათ მიერ კურსის წარმატებით დასრულების შანსებს.“;<br>3.„მუდლში გაგზავნილ შეტყობინებებს სტუდენტები არ ნახულობენ. ალბათ რამე notification უნდა მისდიოდეთ მეილზეც.“; | 1. აღნიშნულთან დაკავშირებით მოხდა კომუნიკაცია ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურთან და ეთხოვათ, შემდეგი სემესტრის დაწყებამდე ყველა აუდიტორიაში გადაამოწმდეს პროექტორების გამართული მუშობა.<br>2. ყოველი სემესტრის დასაწყისში, ფაკულტეტის დეკანი, სასწავლო პროცესის მენეჯერთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მართავს შეხვედრებს სტუდენტებთან, რად დროსაც განიხილება ყველა მნიშნელოვანი და საყურადღებო საკითხი, მათ შორის, ლექციებზე დასწრებასთან დაკავშირებით. ამასთან, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი მუდმივ კომუნიკაციაშია, როგორც სტუდენტებთან, ისე ლექტორებთან. ლექციების მონიტორინგისათვის ასევე, შემუშავებულია ლექციებზე დასწრების მექანიზმი, რა დროსაც ხდება სტუდენტთა დასწრების მონიტორინგი და შესაბამისი რეაგირება. მიმდინარე სემესტრის მანძილზე გაიმართა არაერთი შეხვედრა სტუდენტებთან სწორედ ლექციებზე დასწრების გააქტიურების მიზნით. მათ შორის სამოტივაციო მიმართვები გაკეთდა შეხვედრებზე. ასევე, სასწავლო პროცესის მენეჯერი ლექციის შემოწმების დროს | სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | აიდენტიფიცირებს ვინ აცდენს ლექციას და წერს სტუდენტებს ან ურეკავს ლექციაზე შემოსვლის მოწოდების მიზნით, რაზეც მათ საკმაოდ უარყოფითი რეაქციები აქვთ.<br>3. სტუდენტებთან ნებისმიერი ინფორმაციის გაგზავნის დროს, ბაზის საშუალებით იქნება ეს, მუდლის თუ მეილის სტუდენტებთან ხდება სატელეფონო შეტყობინებების გაგზავნაც და რიგ შემთხვევებში, ზარების განხორციელებაც. შესაბამისად, მათთან ინფორმაციის მიწოდება ხდება რამდენიმე საკომუნიკაციო არხის საშუალებით. | |
| სტუდენტების გამოკითხვა ელექტრონული სწავლების შესახებ | 2020-2021 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი | 1. გამოკითხული სტუდენტების 90% აცხადებს, რომ აქვს შესაძლებლობა (საჭირო პირობები: ინტერნეტი, კომპიუტერი) იმისათვის, რომ დაესწრონ ონლაინ ლექციებს, ხოლო 10%-ს არ აქვს შესაძლებლობა.<br>2. სასურველია, ზუმის ლინკი ლექციამდე მინიმუმ 1 დღით ადრე მაინც აიტვირთოს. | 1. 2020-2021 წლის შემოდგომის სემესტრის დაწყებამდე გაიმართა სტუდენტებთან საერთო შეხვედრა, რომელზეც სტუდენტებთან გაჟღერდა ინფორმაცია ტექნიკური პრობლემების შემთხვევაში ფაკულტეტზე მომართვის შესაძლებლობის შესახებ, მათთან ასევე გაზიარდა კითხვარი, რომელშიც შესაძლებლობა ჰქონდათ მიეთითებინათ თავიანთი პრობლემა. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში თუკი სტუდენტს არ უფიქსირდება ლექციაზე დასწრება - სასწავლო პროცესის მენეჯერი ურეკავს და არკვევს მისი გაცდენის მიზეზს.<br>2. 2020-2021 წლის შემოდგომის სემესტრის დაწყებამდე გაიმართა ლექტორებთან საერთო შეხვედრა, ასევე პროგრამის ხელმძღვანელების და სასწავლო პროცესის მენეჯერის ჩართულობით კონტროლდება ლექციაზე შესასვლელი ბმულის წინასწარ გაზიარების საკითხი, თუმცა არ არსებობს ბმულის 1 დღით ადრე გაზიარების საჭიროება, მნიშვნელოვანია ლექციამდე რამდენიმე წუთით ადრე ჰქონდეს ყველა სტუდენტს ბმული.<br>რიგ შემთხვევებში, ლექტორები ლექციის ბმულს არ ცვლიან. | ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი |
| სტუდენტების გამოკითხვა ელექტრონული | 2020-2021 აკადემიური წლის | 1. სასურველია, პრეზენტაციები უფრო გამართულად ჩატარდეს ლექტორის | 1. 2020-21 სასწავლო წლის დაწყებამდე ჩატარდა შეხვედრები დიპლომირებული მედიკოსის და სტომატოლოგიის პროგრამის განმახორციელებელ ყველა | მედიცინის ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სწავლების შესახებ | შემოდგომის სემესტრი | მხრიდან, დაიხვეწოს სწავლების მეთოდების გამოყენება;<br>2. ლექტორმა არ იცის როგორ გადასცეს ცოდნა სტუდენტს;<br>3. ლექტორს არ აქვს გადმოცემის უნარი, სწრაფად ხსნის მასალას, შესაბამისად, ძირითადი საკითხები სტუდენტებისთვის გაუგებარი რჩება;<br>4. ლექტორი საკითხის მიღმა სვამს კითხვებს, რაც აბნევთ სტუდენტებს;<br>5. სტუდენტები გამოთქვამენ სურვილს, ადმინისტრაციის მხრიდან იყოს მკაცრი მოთხოვნა ვიდეო კამერების ჩართვაზე და სტუდენტების დასწრებაზე. | პედაგოგთან, რომლებიც მიმდინარე სემესტრში არიან ჩართულები. შეხვედრებს ესწრებოდა ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის მენეჯერი და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი. საბოლოო ჯამში ჩატარდა 20 მდე შეხვედრა სასწავლო კურსების მიხედვით, სადაც დეტალურად იქნა განხილული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. კერძოდ, სილაბუსით გათვალისწინებული სწავლებისა და შეფასების მეთოდები, სასწავლო ლიტერატურა, სასწავლო ბაზაში ქულების ატვირთვის და ონლაინ პლატფორმებზე სასწავლო რესურსების განთავსების საკითხი და ა.შ.<br>2. ლექტორებს გაეგზავნათ ვიდეო ტუტორიალების ლინკები.<br>3. პროგრამის ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის მიერ ხდება ონლაინ ლექციებზე დასწრება და იმის მონიტორინგი რომ განხილული თემატიკა შესაბამისობაშია სილაბუსთან.<br>4. ლექტორებმა, რომლებიც პირველად ჩაერთნენ ჩვენს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესში გაიარეს ტრენინგ ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები;<br>5. გაიგზავნა ინფორმაცია ონლაინ მეცადიენეობების დროს კამერის ჩართვის აუცილებლობის თაობაზე. შეფასებების დროს კამერის ჩართვა სავალდებულოა როგორც სტუდენტისთვის, ასევე ლექტორისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი ვერ მონაწილეობს შეფასების პროცესში. | |
| სტუდენტების გამოკითხვა ელექტრონული სწავლების შესახებ | 2020-2021 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი | ორი სტუდენტი უკმაყოფილების მიზეზად ასახელებს ფაქტს, რომ მათ არ აქვთ საჭირო რესურსი (კომპიუტერი, ინტერნეტი), შესაბამისად ვერ | ამ საკითხთან დაკავშირებით მოხდა სტუდენტებთან ინდივიდუალური კომუნიკაცია. გაირკვა დეტალურად სტუდენტის პრობლემა. გამოიკვეთა სტდენტის მაღალი მოტივაცია. უნივერსიტეტის ტოპმენეჯმენტთან მოხდა კომუნიკაცია ამ საკითხთან დაკავშირებით, სტუდენტს გაუწია ფასილიტაცია ფაკულტეტმა და | სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ახერხებენ დავალებების ზედმიწევნით შესრულებას. | პრეზიდენტის გადაწყვეტილებით გადაეცა სტუდენტს ლექტოპი დროებით სარგებლობაში. | |
| სტუდენტების გამოკითხვა ელექტორნული სწავლების შესახებ | 2020-2021 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი | გამოკითხული სტუდენტების უმეტესობა დადებითად აფასებეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას დისტანციურ რეჟიმში. ამასთან, გამოითქვა მოსაზრებები გარკვეულ ტექნიკურ ხარვეზებთან დაკავშირებით. | აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დისტანციური სწავლების მიმდინარეობის მონიტორინგის მექანიზმი. აღნიშული მოიაზრებს სასწავლო პროცესის მენეჯერის მხრიდან ლექციებზე დასწრებას ყოველდღიურად. მისი მხრიდან მოწმდება იწყება თუ არა ლექციები დროულად და ზიარდება თუ არა შესაბამისი სალექციო ბმული სტუდენტებთან დროულად. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს არსებული ტექნიკური ხარვეზის მყისიერად დაფიქსირებას და მის აღმოფხვრის უზრუნველყოფას, შესაბამისი პირების ჩართულობით. მექანიზმის ფარგლებში ხდება სტუდენტთა ლექციებზე დასწრების მონიტორინგიც.<br>რაც შეეხება, სასწავლო კურსის შინაარსს და მის სილაბუსთან შესაბამისობას, ამავე მექანიზმის ფარგლებში, პროგრამის ხელმძღვანელი ამოწმებს, სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობას მუდლის პლაქტფორმაზე და იმას, თუ რამდენად მიყვება ლექტორი სილაბუსით განსაზღვრულ თემატიკას, სწავლება-სწავლის მეთოდებს/აქტივობებსა და შეფასების ფორმებს. პროცესს პერიოდულად აკვირდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიც. | ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი |
| სტუდენტების გამოკითხვა ელექტორნული სწავლების შესახებ | 2020-2021 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი | 1. სტუდენტების მიერ გამოითქვა პრეტენზიები გამოცდების თარიღების შესახებ მათი გვიანი ინფორმირების და საგამოცდო შედეგების გვიანი ასახვის შესახებ. | 1. სტუდენტებისგან მიღებული წერილები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუდმივად ზიარდება საგამოცდო ცენტრთან. აღნიშნულ საკითხზე კომუნიკაცია კვლავ განხორციელდა საგამოცდო ცენტრთან. | მედიცინის ფაკულტეტი |
| სტუდენტების გამოკითხვა | 2020-2021 აკადემიური | სტუდენტების მხრიდან | ყოველი სემესტრის დასაწყისში, ფაკულტეტის დეკანი, სასწავლო | სამართლის, ჰუმანიტარულ და |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ელექტორნული სწავლების შესახებ | წლის გაზაფხულის სემესტრი | დაფიქსირდა შემდეგი კომენტარები ლექციების მიმდინარეობისას არსებული ტექნიკური ხარვეზების შესახებ:<br>• „ბევრჯერ ყოფილა მსგავსი, ხან ვერ შევსულვართ ზუმში, ხან ლექტორები ვერ რთავდნენ ან ვერ გვიშვებდნენ ლექციაზე და კიდე უამრავი სხვა რამეები“.<br>• „იყო რამდენიმე ტექნიკური ხასიათის შეფერხება ლექტორების მხრიდან“. | პროცესის მართვის მენეჯერთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მართავს შეხვედრებს სტუდენტებთან და ლექტორებთან, რა დროსაც განიხილება ყველა მნიშნელოვანი და საყურადღებო საკითხი, მათ შორის, ლექციების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. ამასთან, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი მუდმივ კომუნიკაციაშია, როგორც სტუდენტებთან, ისე ლექტორებთან. ლექციების მონიტორინგისათვის ასევე, შემუშავებულია ლექციებზე დასწრების მექანიზმი, რა დროსაც ხდება წარმოქმნილი ტექნიკური თუ სხვა სახის შეფერხების მყისიერად დაფიქსირება, სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, აღნიშნული საკითხი გადაეცემა პასუხისმგებელ პირებს და შესაძლებლობის ფარგლებში ხდება ხარვეზების აღმოფხვრა. ამასთან, ლექტორებისათვის შემუშავებულია შესაბამისი ტუტორიალები ონლაინ ფორმატში ლექციების უხარვეზოდ ჩატარების უზრუნველსაყოფად. | სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| მართვის პროცესების შეფასება | 2020-2021 აკადმეიური წელი | 1. კადრების შენარჩუნება;<br>2. სამუშაო საათების აღრიცხვა;<br>3. ადამიანური რესურსების ნაკლებობა - პერსონალის დამატება სხვადასხვა მიმართულებით.<br>4. სახელფასო პოლიტიკის გადახედვა. | 1. 2021 წელს თანამშრომელთა წასული რაოდენობა შემდეგია:<br>- აკადემიური და მოწვეული პერსონალი - 70 თანამშრომელი, დასაქმებულთა 15 %;<br>- ადმინისტრაციული პერსონალი - 13 თანამშრომელი, დასაქმებულთა 11%;<br>- დამხამრე პერსონალი - 14 თანამშრომელი, დასაქმებულთა 24%.<br>აკადემიური და მოწვეული პერსონალის ყველა მათგანი წავიდა პირადი განცხადებით, ასევე დამხმარე პერსონალი.<br>ადმინსიტრაციული პერსონალიდან მხოლოდ 1 თანამშრომელთან მოხდა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განთავისუფლება.<br>ასევე, ყველა განთავისუფლებულ თანამშრომელთან ყოველ 2 თვეში იგზავნება ე.წ. EXIT INTERVIEW, რომლის მიზანია გამოიკვეთოს რაიმე უკმაყოფილების საბაბი და გაუმჯობესდეს სხვა თანამშრომლებისთვის სამუშაო პირობები. | ადამიანური რესურსების მართვის სამსახური |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | 1. სამუშაო საათების აღრიცხვის რეპორტი 2021 წლის აპრილის თვეში განახლდა და დაიხვეწა გარე მომსახურე კონტრაქტორ კომპანიასთან ერთად. განახლებულ რეპორტში ასახულია ყოველი დღის საათები შესაბამისი კანონდებლობით გათვალისწინებული ველებით. ადმინისტრაციულ პერსონალთან თვეში 2-ჯერ იგზავნება რეპორტები და ხდება უშუალო ხელმძღვანელის მიერ დადასტურება, რის შემდეგომაც აისახება ერთიან რეპორტში. აღსანიშნავია, რომ სამუშაო საათების აღრიცხვა გათვალისწინებულია და რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.<br>2. ადამიანური რესურსების ნაკლებობა - პერსონალის დამატება სხვადასხვა მიმართულებით, 2021 წელს უნივერსიტეტის საშტატო განრიგი გაიზარდა 7 ერთეულით, ასევე, მოხდა მთლიანი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის 5 %-იანი ზრდა. თანამშრომლების რაოდენობა გაიზარდა შემდეგი მიმართულებით, ბიბლიოთეკა, საერთაშორისო ურთიერთობები, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლები და პროგრამის ხელმძღვანელები.<br>3. სახელფასო განაკვეთი სრულ შესაბამისობაშია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობებთან, შესაბამისად მათ დატვირთვასთან. რიგ შემთხვევებში, მოხდა სახელფასო განაკვეთის გადახედვა, მომატება და სტანდარტიზება (მაგ. ბიბლიოთეკარი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, იურიდიული სამსახური, ფინანსური სამსახური). აღნიშნული პროცესი მუდმივია, და საჭიროებიდან გამომდინარე, გაგრძელდება მომავალშიც. | |
| მართვის პროცესების შეფასება | 2020-2021 აკადმეიური წელი | მეცნიერების პოპულარიზაცია | მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან, ვინც ამავდროულად ადმინისტრაციულ პოზიციებს იკავებს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის | სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ცენტრის მხრიდან სისტემატიურად ზიარდება ინფორმაცია სხვდასხვა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის (საგრანტო კვლევითი პროგრამები, საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენცები, საერთაშორისო ვებინარები, ა.შ.) შესახებ.<br>გარდა ამისა, 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის ნოემბრის თვის პერიოდში, პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი უნარების გაძლიერების მიზნით ცენტრის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა ექვსი ონლაინ ტრენინგი/ვორქშოპი, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ტრენერების ჩართულობით.<br>ამასთან, აღვნიშნავთ, რომ როგორც აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტებს, ისე ადმინისტრაციულ პერსონალს წვდომა აქვთ სამეცნიერო ბაზებთან. | |

შეფასების შედეგად გამოკვეთილ საყურადღებო საკითხებზე მომავალშიც დაგეგმილია რეაგირებების მიზნით სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მხრიდან გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. განსაზღვრულია მათი შესრულების ვადებიც (დეტალებისთვის იხ. დანართი #23 - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში 2020-2021 აკადემიურ წელს განხორციელებული შეფასების შედეგებზე რეაგირების ანალიზი).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს დაგეგმილი აქტივობების შესრულების მონიტორინგსაც. 2019-2020 აკადემიურ წელს სტრუქტურურლი ერთეულების, სამსახურების მხრიდან წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით სამომავლოდ დაგეგმილი რეაგირებებების შესრულების საკითხი 2020-2021 აკადემიურ წელს შეფასებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ:

| გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეები, რომელზეც დაგეგმილია რეაგირებები მომავალში | რეაგირების მიზნით დაგეგმილი აქტივობები | რეაგირების მიზნით დაგეგმილი აქტივობების განხორციელების ვადა | დაგეგმილი აქტივობის შესრულების თაობაზე უკუკავშირი |
| --- | --- | --- | --- |
| 1. სტუდენტთათვის აუცილებელი რეგულაციების შესახებ ნაკლები ინფორმირებულობა;<br>2. ნაშრომებს გასწორება იმ ლექტორის მიერ, რომელიც არ უძღვება აღნიშნულ სასწავლო კურსს | 1. იგეგმება ყოველი სემესტრის დასაწყისში სტუდენტებთან დეკანატის მხრიდან საინფორმაცია ტიპის შეხვედრების ორგანიზება, სადაც გაეცნობათ ის ძირითადი წესები და რეგულაციები, რომელიც უნივერსიტეტში მოქმედებს.<br>2. საგამოცდო ნაშრომის ელექტრონული ფორმა მიბმული უნდა იყოს სტუდენტის საგამოცდო გვერდთან, რომლის გასწორების შესაძლებლობაც ექნება მხოლოდ იმ ლექტორს ვინც უშუალოდ კითხულობს სასწავლო კურსს და ასწავლის ამ სტუდენტს. | - | 1. სემესტრის დაწყებისას ხორციელდება სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრის დაორგანიზება ფაკულტეტის მხრიდან. შეხვედრას დეკანთან ერთად ესწრება სასწავლო პროცესის მენეჯერი. შეხვედრაზე ძირითადი აქცენტი კეთდება სასწავლო პროცესზე და ფაკულტეტზე დაგეგმილ აქტივობებზე, სადაც სტუდენტების მხრიდან ხდება მნიშვნელოვანი უკუკავშირის გაზიარება სასწავლო პროცესთან დაკავშირებით და შეძლებისდაგვარად მათი გათვალისწინება .<br>2. საგამოცდო ნაშრომებს ასწორებს მხოლოდ ის ლექტორი , რომელიც უძღვება სასწავლო კურსს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის განცხადების საფუძველზე იქმნება სააპელაციო კომისია. |

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ლექტორების უმეტესობა ნაკლებად იცნობს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული რეგულაციებს<br>2. პროფესორებისათვის ინფორმაციის მიწოდება უნივერსიტეტში დაგეგმილი აქტივობების შესახებ | 1. სემესტრის დაწყებამდე ყოველთვის ხდება სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან შეხვედრები დეკანის და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მენეჯერის მიერ. შეხვედრების ერთ-ერთ მიზანს სწორედ სასწვალო პროცესთან დაკავშირებული რეგულაციების გაცნობა წარმოადგენს. თუმცა გამოკითხვის არსებული შედეგების გათალისწინებით, ვგეგმავთ რომ სემესტრის განმავლობაში დაიგეგმოს რამდენიმე შეხვედრა, რომელიც უშუალოდ აღნიშნული რეგულაციის განხილვას დაეთმობა. მოხდება შესაბამისი დოკუმენტების ლექტოებისათვის ელ. ფოსტით მიწოდებაც. იგივე ღონისძიებები დაიგეგმება სტუდენტების შემთხვევაშიც.<br>2. ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე და ხდება უნივერსიტეტის საიტზე განთავსება. მიღებული შედეგების გათვალისწინებით ვგეგმავთ უფრო მეტად ჩავრთოთ შეხვედრებში მოწვეული პერსონალი და ელ.ფოსტების საშუალებით გადავუგზავნოთ ინფორმაცია დაგეგმილი აქტივოების შესახებ. | 2020 წლის აგვისტო | შეხვედრები ტარდება პერიოდულად, ასევე ხდება მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაზიარება ელ. ფოსტის საშუალებით. |
| 1. სიმულაციური ცენტრის აღჭურვა მულაჟებით, მანეკენებით | 1. დაიგეგმა 4 სიმულაციური ოთახის დამატება, ჯამში 12 სიმულაციური ოთახის მოწყობა და სიმულატორების დამატებით შეძენა. | 2020 წლის აგვისტო | 2020 წლის ზაფხულში დასრულდა 12 ოთახის მოწყობა სიმულაციურ ცენტრში. დამატებით შეძენილი იქნა სიმულატორები და მულაჟები |

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ბაზებში ისეთი ფუნქციის არარსებობა, რომელიც გულისხმობს სტუდენტებისთვის დავალებების ატვირთვას; | 1. უკვე დაწყებულია სტუდენტთა სასწავლო ელექტრონული პლატფორმის MOODLE -ის დანერგვა, რომლის ერთ-ერთ ფუნქციასაც წარმოადგენს სტუდენტთათვის დავალებების მიცემა და დათქმულ ვადაში მათი მხრიდან შესრულებული დავალების ლექტორისათვის წარდგენა ელექტრონული სახით,იმავე პლატფორმაზე შესრულებული დავალების ატვირთვის გზით. | 2019-2020 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი. | დანერგილია მუდლის სისტემა, გადამზადებულია სემესტრში აქტიური ყველა ლექტორი ტრენინგცენტრის მიერ. ყოველთვიურად ივსება სპეციალური რეპორტი, სადაც ხდება ასახვა მუდლის პლათფორმის ინტერფეისის, გამოყენებისა და გამართულობის შესახებ. |
| 1. საგამოცდო კითხვების სილაბუსთან შეუსაბამობა; 2. სტუდენტთათვის აუცილებელი რეგულაციების შესახებ ნაკლები ინფორმირებულობა; | 1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ფაკულტეტის დეკანატთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან კოორდინაციით, იგეგმება საგამოცდო საკითხების მონიტორინგი, მისი სილაბუსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით; 2. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იგეგმება სტუდენტებისთვის, დეკანატის მხრიდან საინფორმაციო ტიპის შეხვედრების ორგანიზება, სადაც გაეცნობათ ის ძირითადი წესები და რეგულაციები, რომელიც უნივერსიტეტში მოქმედებს. | 2020 წლის დეკემბერი | 1. საგამოცდო საკითხების შესაბამისობასთან დაკავშირებით სილაბუსთან მიმართებაში- გამართულ შეხედრებზე დეკანატსა და ლექტორებს შორის გაჟღერდა აღნიშნნულის შესახებ/ასევე პროგრამის ხელმძღვანელები ამოწმებენ აღნიშნულს და ამის შემდეგ იგზავნება საგამოცდო ცენტრთან საგამოცდო საკითხები. |
| 1. კომპიუტერების მოდერნიზაცია | 1.უნივერსიტეტში არსებულ კომპიუტერებში ჩასამატებელია SSD დისკები, რაც თავის მხრივ გაცილებით გააძლიერებს კომპიუტერებს და აღმოიფხვრება ისეთ პრობლემები როგორიც არის მაგალითად კომპიუტერის შეფერხებით მუშაობა და ინტერნეტის პრობლემები. | ამ წლის ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული აღნიშნული თანხა. მიმდინარე წელს მხოლოდ ადმინისტრაციის კომპიუტერების განახლება იგეგმება. | ეტაპობრივად მიმდინარეობს SSD მყარი დისკების ჩყენება ადმინისტრაციის კომპიუტერებში. დიდ ნაწილში უკვე ჩაყენებულია |

| | | | |
|---|---|---|---|
| ·კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის გაუმჯობესება;<br>·სტუდენტური პრაქტიკის ხელშეწყობა;<br>·დამატებითი ღონისძიებების ორგანიზება (სპორტული, შემოქმედებითი, გასართობი);<br>·სტუდენტური ინციატივების წახალისება;<br>·საჯარო ლექციების თემატიკის მრავალფეროვნება. | ზემოთ ჩამოთვლილ აქტივობებზე მართალია ცენტრმა უკვე მოახდინა რეაგირება, თუმცა ყოველი მათგანის თემატიკა გულისხმობს მათზე განუწყვეტელ მუშაობას და ცენტრი უზრუნველყობს მათ კიდევ უფრო მეტად დახვეწას, გაუმჯობესებას და გამრავალფეროვნებას. | ზემოაღნიშნული აქტივობების განსახორციელებლად აუცილებელი ხარჯი გაწერილია ბიუჯეტში. აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილი იქნება 2025 წელს, როდესაც სტუდენტთა ახალი კონტიგენტის პირველი გამოშვება გვეყოლება. | |
| ·საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ ინფორმირებულობით უკმაყოფილება<br>·გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის / საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით უკმაყოფილება<br>·საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობით უკმაყოფილება<br>·გაცვლით პროგრამებში მონაწილეობით მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით უკმაყოფილება | ·სხვადასხვა სამსახურის მხარდაჭერით რეგულარულად ხდება სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდით, სიახლეების ბლოგის მეშვეობით (internationalgazette.wordpress.com), სასწავლო ბაზიდან, მობილურ ტელეფონზე გზავნილის, სოციალურ ქსელში ევროპის უნივერსიტეტის ჯგუფში სიახლის გაზიარებით, საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებით, პოსტერების, ასევე ჯგუფებში შესვლისა და სატელეფონო კომუნიკაციის გზით. ინფორმაციის გავრცელების მიმართლებით საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ყველაზე მჭიდროდ თანამშრომლობს სტუდენტური მომსახურების ცენტრთან, სასწავლო ნაწილთან და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურთან. სტუდენტთა კმაყოფილების დონის გასაზრდელად, განიხილება საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დამატებითი პირდაპირი საინფორმაციო არხების შექმნა. გახშირდება საინფორმაციო შეხვედრები.<br>·გაცვლით პროგრამებში მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით | რესურსები რომლებიც საჭიროა აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად:<br>• საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი;<br>აღნიშნული სისუსტეები აღმოფხვრილი იქნება: ·2020 წლის აგვისტოს თვეში ერასმუს+ პასუხები იქნება ცნობილი საერთაშორისო მობილობისა და პროექტების მიმართულებით. შედეგები მეტწილად განსაზღვრავს შემდგომ სამოქმედო გეგმას, აქტიური მუშაობა იგეგმება 2020 წლის იანვრის ჩათვლით, რომ | ყველა აქტივობა რეგულარულად ტარდება. სტუდენტებს ეგზავნებათ ინფორმაცია ელექტრონული ფოსტითა და სმს-ების მეშვეობით სასწავლო პროცესის მენეჯერებისგან; დამატებით სოციალურ ქსელებში ხდება ინფორმაციის გაზიარება სტუდენტური მომსახურების ცენტრის მიერ; ასევე ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ და ფბ გვერდებზე. ბოლო სემესტრში დაბალი გამოხმაურების გამო დამატებით განხორციელდა სატელეფონო ზარებიც შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელების მხრიდან. ინფორმაცია მიეწოდა ყველას, ყველა შესაძლო არხით. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | კმაყოფილების გაზრდის მიზნით, ევროპის უნივერსიტეტი მუშაობს საპარტნიორო ქსელის გაფართოებაზე, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, აარჩიონ მათთვის სასურველი მობილობა, რომელიც მათ მეტ კმაყოფილებას მოჰგვრის. წარმატებით მიმდინარე მოლაპარაკებების ფონზე, ახლო მომავალში ველოდებით პარტნიორი უნივერსიტეტების სიის გაორმაგებას და რაც მთავარია, გეოგრაფიული მასშტაბების ზრდას (გაძლიერებას დასავლეთის მიმართულებით). ამჟამად ევროპის უნივერსიტეტი საერთაშორისო მობილობის მიზნით თანამშრომლობს 11 ქვეყნის 22 უნივერსიტეტთან.<br>·მემორანდუმების გაფორმებასა და ბილატერალური შეთანხმებების ზრდასთან ერთად, იგეგმება ერასმუსის, ატლანტას, ვისეგრადის და სხვა საგნრატო სქემებით სარგებლობა. მიმდინარეობს აქტიური მუშაობა პარტნიორების მოსაძიებლად და კონსორციუმისთვის ამ მიმართულებითაც. | ერასმუსის შემდეგი განაცხადის შეტანის დროისთვის გვყავდეს მეტი პარტნიორი უნივერსიტეტი<br>• ბილატერალური გაცვლების კუთხით, განსაკუთრებულა დ აქტიური იქნება ზაფხულის მეორე ნახევარი, რომ შემოდგომის სემესტრში სტუდენტებს მობილობის მეტი შესაძლებლობა შევთავაზოთ.<br><br>• აიტი მხარდაჭერა<br>• დამატებითი სტაჟიორი | |
| ·შენობაში არსებული სივრცის ნაკლებობა<br>·კაფეტერიიდან გამომავალი უსიამოვნო სუნი<br>·სპორტული სივრცის მოწყობა | უნივერსიტეტის მიერ მოხდა აუქციონზე მიმდებარე მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების შესყიდვა, მომზადდა კაფის პროექტი. კაფე განთავსდება ეზოში, ახალ ფართზე, რაც უზრუნველყოფს უსიამოვნო სუნის აღმოფხვრას უნივერსიტეტის შენობაში, ასევე გამოთავისუფლდება დამატებითი ფართი.<br>მომდევნო ეტაპზე დაგეგმილია სპორტული დარბაზის მშენებლობა | - | ეზოში მოხდა დამატებითი შენობის აგება, რომელიც განკუთვნილია კაფეტერიისათვის |

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

| | | | |
|---|---|---|---|
| •ბიბლიოთეკაში კომპიუტერების რაოდენობის გაზრდა;<br>•ინტერნეტის სიჩქარის გაუმჯობესება; | გამოვლენილ სისუსტესთან დაკავშირებით ინფორმირებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური. კომპიუტერების დამატებისათვის უკვე დაწყებულია კონკრეტული სამუშაოები. | აღნიშნული საკითხი აღმოფხვრილი იქნება 2019-2020 აკადემიური წლის მეორე სემესტრის დასასრულს. სემესტრის დასასრულს დამატებული ახალი კომპიუტერები | • დაგეგმილი აქტივობა შესრულებულია, ადმინისტრაციული კორპუსის ბიბლიოთეკაში დაემატა ოთხი კომპიუტერი;<br>• ინტერნეტის სიჩქარე გაუმჯობესულია. |
| მედიცინის ფაკულტეტის პერსონალის გადამზადება სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში და სერტიფიცირება. | დაგეგმვის პროცესში. | აღნიშნული სისუსტეები აღმოფხვრილი იქნება 2020 წლის, ნოემბერში | მედიცინის ფაკულტეტი, 2019-2020 წლების მონაცემებით. გადამზადდა პერსონალი: ჯამური რიცხვი 265.<br>ჩამონათვალში ასახულია მოდულების მიხედვით რამდენს აქვს გავლილი, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ლექტორი დასწრებულია რამდენიმე ტრენინგზე.<br>სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა -66<br>შეფასების თანამედროვე მეთოდები - 28<br>PBL - 50<br>სწავლების თანამედროვე მეთოდები - 32<br>აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები (პლაგიატის პროგრამა) - 6<br>ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება (Moodle, Zoom) – 83. |
| მნიშვნელოვანია უმოკლეს დროში გადაიდგას ნაბიჯები ტექნოლოგიური რესურსების სრულყოფისა და გამართვის მიზნით; | იგეგმება ლიცენზირებული ოპერაციული სისტემის შეძენა. ასევე, არსებული კომპიუტერების წარმადობის გასაუმჯობესებლად დაგეგმილია SSD მყარი დისკების შეძენა და არსებულის შეცვლა. დაგეგმილია ლიცენზირებული ანტივირუსების შეძენა. განხორციელდება ახალი ბაზის პერიოდული გაუმჯობესება. | აღნიშნული სისუსტეები აღმოფხვრილი იქნება 2019-2020 აკადემიურ სასწავლო წელს | SSD მყარი დისკების შეცვლა მიმდინარეობს ეტაპობრივად, ხოლო რაც შეეხება ლიცენზირებულ პროგრამებს და ანტივირუსს, მიმდინარე წლის ზაფხულში გვაქვს გაწერილი სამოქმედო გეგმაში |

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. საგამოცდოდ განკუთვნილი დროის ლიმიტი<br>2. საკითხების თანხვედრა სილაბუსთან<br>3. ყველა სტუდენტის საგამოცდოდ იდენტიფიცირება | 1.შუალედური გამოცდებზე დაკვირვების შედეგად, გათვალისწინებული იქნება დასკვნითი გამოცდებისათვის დროის გონივრულად გაზრდა. საკითხი განიხილება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად<br>2. დასკვნითი გამოცდებისათვის პროგრამის ხელმძღვანელებს გაეგზავნებათ საგამოცდო საკითხები სილაბუსთან თანხვედრის დასადგენად. პროგრამის ხელმძღვანელები საბოლოო ანგარიშს წარუდგენენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საგამოცდო საკითხების სილაბუსებთან თავსებადობის თაობაზე<br>3. გამოცდის დაწყებამდე მოითხოვება ყველა დამკვირვებლისგან სტუდენტების იდენტიფიცირების დადასტურება | აღნიშნული პრობლემა აღმოფხვრილი იქნება: 2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრის დასკვნითი გამოცდების პერიოდამდე | 1. საგამოცდოდ გაკუთვნილი დროები გადაიხედა პროგრამის ხელმძღვანელების და ლექტორების მიერ და აღნიშნული რელევანტურია ყველა გამოცდაზე. 2. პროგრამის ხელმძღვანელებს დაეგზავნათ საგამოცდო საკითხები სიალბუსთან თანხვედრის დასადგენად.<br>3. ყველა სტუდენტის იდენთიფიკაცია ხდება გამოცდის დაწყებამდე |
| მასწავლებლის მომზადების პროგრამა:<br>•დასაქმებასთან დაკავშირებით შეტყობინება არ მიუღიათ. სტუდენტებმა დააფიქსირეს დასაქმების სურვილი.<br>ფსიქოლოგიის პროგრამა:<br>•როგორც გამოიკვეთა სტუდენტთა უმრავლესობა არ არის დასაქმებული პროფესიული ნიშნით; მართალია ინფორმაციას დასაქმებაზე მუდმივად იღებენ როგორც მეილზე ასევე facebook ჯგუფში, | • იგეგმება, სპეციალურად მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტებისთვის ვაკანსიების შეთავაზება და ონლაინ საკომუნიკაციო/საინფორმაციო პლატფორმის ოპმტიმიზაცია. არსებული მემორანდუმების მოქმედებაში მოყვანა და ახალი მემორანდუმების გაფორმება აღნიშნული მიმართულებით. პროგრამის სტუდენტებისთვის ვორქშოფების, მასტერკლასებისა და ტრენინგ კურსების შეთავაზება და მათი მაქსიმალური ჩართვა ექსტრაკურიკულარულ აქტივობებში.<br>• ფსიქოლოგიიის პროგრამის სტუდენტებისთვის პროფილური ვაკანსიების შეთავაზება დასაქმებისა და სტაჟირების მიმართულებით. ასევე, ონლაინ საკომუნიკაციო პლატფორმების ოპტიმიზაცია.<br>• როგორც სამართლის, ასევე სხვა პროგრამების სტუდენტების მოტივაციის გაზრდის მიზნით, სპეციალიზირებული კონკურსების ორგანიზება, სადაც გამოვლინდება | აღნიშნული სისუსტეების გამოსწორებისთვის სრულიად დამაკმაყოფილებელია მომსახურების ცენტრის ბიუჯეტი და დამატებითი თანხის გამოყოფა, არ იქნება აუცილებელი. აღნიშნული სისუსტეების ნაწილი აღმოიფხვება წლის ბოლომდე, ნაწილი კი 2021 წლის გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში. | 1. მასწავლებლის მომზადების 60 დ 300 კრედიტინი პროგრამების სესაბამისად, გაფორმდა ურთიერთთანამსრომლობის მემორანდუმი 40-მდე სკოლასთან, რომლებშიც პირები გადიან პრაქტიკულ კურსს. ამავდროულად, მომსახურების ცენტრმა განახორციელა მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტების სეხვედრა დამსაქმებელთან, კერძოდ, თბილისის კლასიკურ გიმნაზიასთან მემორანდუმის ხელმოწერის პროცესს დაესწრო 10 პირი, რომლებმაც მათთვის საინტერსსო კითხვები დაუსვეს სკოლის დირექტოს, უკეთ შეძლეს გარკვევა სკიოლის, როგორც სასწავლო დაწესებულების სპეციფიკაში და, ამავდროულად მოისმინეს ყველა იმ მათთვის არსებული დასაქმებისა და და |

| | | | |
|---|---|---|---|
